პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

1 დეკემბერი, 1936 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების ათდღიური ორგანო ფასი 50 კაპ. № 20

ბიბლიოთეკა
თბილისი

საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობა

ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ

(ამხანაგ **სტალინის** გამოჩენას ტრიბუნაზე მთელი დარბაზი ხანგრძლივი მქუხარე ოვაციით ხვდება. მთელი დარბაზი ფეხზე დგება. ყოველი მხრიდან გაისმის ძახილი: „ვაშა ამხანაგ **სტალინს!**“ „გაუმარჯოს ამხანაგ **სტალინს!**“ „გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**“ „დიდ გენიოსს ამხანაგ **სტალინს** ვაშა!“. „ვივატ!“ „როტ ფრონტ!“ „ამხანაგ **სტალინს** დიდება!“).

I

საკონსტიტუციო კომისიის შექმნა და მისი ამოცანები

ამხანაგებო!

საკონსტიტუციო კომისია, რომლის პროექტი განსახილველად წარედგინა ამ ყრილობას, როგორც ვიცით, შექმნილი იყო სსრ კავშირის საბჭოების VII ყრილობის სპეციალური დადგენილებით. ეს დადგენილება მიღებულ იქნა 1935 წლის 6 თებერვალს. იქ ნათქვამია:

„1. შეტანილ იქნას სსრ კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებანი შემდეგი მიმართულებით:

ა) მოხდეს საარჩევნო სისტემის შემდგომი დემოკრატიზაცია იმ მხრივ, რომ არა სავსებით თანასწორი არჩევნები შეიცვალოს თანასწორით, მრავალსაფეხურიანი — პირდაპირით, აშკარა — ფარულით.

ბ) დაზუსტდეს კონსტიტუციის სოციალურ-ეკონომიური საფუძველი იმ მხრივ, რომ კონსტიტუცია შეესაბამოს კლასობრივ ძალთა ახლანდელ თანაფარდობას სსრ კავშირში (ახალი სოციალისტური ინდუსტრიის შექმნა, კულაკობის განადგურება, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება, სოციალისტური საკუთრების, როგორც საბჭოთა საზოგადოების საფუძვლის, დამკვიდრება და ა. შ.).

2. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს აირჩიოს საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც დაევალოს კონსტიტუციის შესწორებული ტექსტის შემუშავება პირველ პუნქტში აღნიშნულ საფუძვლებზე და მისი წარდგენა სსრ კავშირის ცაკის სესიაზე დასამტკიცებლად.

3. საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების უახლოესი მორიგი არჩევნები სსრ კავშირში ჩატარდეს ახალი საარჩევნო სისტემის საფუძველზე“.

ეს იყო 1935 წლის ექვს თებერვალს. ამ დადგენილების მიღებიდან ერთი დღის შემდეგ, ე. ი. 1935 წლის შვიდ თებერვალს, შეიკრიბა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სესია და სსრ კავშირის საბჭოების VII ყრილობის დადგენილების შესასრულებლად შექმნა საკონსტიტუციო კომისია 31 კაცის რაოდენობით. მან საკონსტიტუციო კომისიას დაავალა სსრ კავშირის შესწორებული კონსტიტუციის პროექტის შემუშავება.

ასეთია ფორმალური საფუძვლები და სსრ კავშირის უზენაესი ორგანოს დირექტივები, რომელთა ბაზაზე უნდა გაეშალა თავისი მუშაობა საკონსტიტუციო კომისიას.

ამრიგად საკონსტიტუციო კომისიას უნდა შეეტანა ცვლილებანი ამჟამად მოქმედ კონსტიტუციაში, რომელიც მიღებულია 1924 წელს, და ამასთან გაეთვალისწინებინა ის ძვრანი სსრ კავშირის ცხოვრებაში სოციალიზმის მიმართულებით, რომელნიც განხორციელდნენ 1924 წლიდან დღევანდლამდე განვლილ პერიოდში.

II

ცვლილებანი სსრ კავშირის ცხოვრებაში 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში

როგორია ის ცვლილებანი სსრ კავშირის ცხოვრებაში, რომელნიც განხორციელდნენ 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში და რომელნიც უნდა აესახა საკონსტიტუციო კომისიას თავის კონსტიტუციის პროექტში?

რაშია ამ ცვლილებათა არსება?

რა გვქონდა ჩვენ 1924 წელს?

ეს იყო ნეპის პირველი პერიოდი, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ დაუშვა კაპიტალიზმის ერთგვარი გამოცოცხლება სოციალიზმის ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად, როცა ის ითვალისწინებდა, რომ მეურნეობის ორი სისტემის, კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების, შეჯიბრების მსვლელობაში შეექმნა სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტური სისტემის მიმართ. ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ ამ შეჯიბრების მსვლელობაში გაგვემტკიცებინა სოციალიზმის პოზიციები, მიგვეღწია კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისათვის და დაგვემთავრებინა სოციალისტური სისტემის, როგორც სახალხო მეურნეობის ძირითადი სისტემის, გამარჯვება.

ჩვენი მრეწველობა მაშინ წარმოადგენდა არასახარბიელო სურათს, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობა. მართალია, ხდებოდა მისი თანდათანობითი აღდგენა, მაგრამ ის ჯერ კიდევ სრულიადაც ვერ აღწია თავისი პროდუქციის ომამდელ დონემდე. იგი ემყარებოდა ძველ ჩამორჩენილ და არამდიდარ ტექნიკას. რა თქმა უნდა, იგი ვითარდებოდა სოციალიზმის მიმართულებით. ჩვენი მრეწველობის სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა მაშინ შეადგენდა დაახლოვებით [illegible] პროცენტს. მაგრამ კაპიტალიზმის სექტორს მაინც ჰქონდა მრეწველობის არანაკლებ 20 პროცენტისა.

ჩვენი სოფლის მეურნეობა კიდევ უფრო არასახარბიელო სურათს წარმოადგენდა. მართალია, მემამულეთა კლასი უკვე ლიკვიდირებული იყო, მაგრამ სამაგიეროდ სასოფლო-სამეურნეო კაპიტალისტების კლასი, კულაკების კლასი, ჯერ კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა.

მთლიანად სოფლის მეურნეობა მაშინ მოგვაგონებდა წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა თვალუწვდენ ოკეანეს თავიანთი ჩამორჩენილი შუასაუკუნოებრივი ტექნიკით. ამ ოკეანეში ცალკეული წერტილებისა და პატარა კუნძულების სახით არსებობდნენ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, რომელთაც, კაცმა რომ სთქვას, ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ცოტად თუ ბევრად სერიოზული მნიშვნელობა ჩვენს სახალხო მეურნეობაში. კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი სუსტნი იყვნენ, ხოლო კულაკი ჯერ კიდევ ძალაში იყო. ჩვენ მაშინ ვლაპარაკობდით კულაკობის არა ლიკვიდაციაზე, არამედ მის შეზღუდვაზე.

იგივე უნდა ითქვას საქონელბრუნვაზე ჩვენს ქვეყანაში. სოციალისტური სექტორი საქონელბრუნვაში შეადგენდა რაღაც 50-60 პროცენტს,—არა მეტს, ხოლო მთელი დანარჩენი არე ეკავათ ვაჭრებს, სპეკულანტებს და სხვა კერძოებს.

ასეთი იყო ჩვენი ეკონომიკის სურათი 1924 წელს.

რა გვაქვს ჩვენ ახლა, 1936 წელს?

თუ ჩვენ მაშინ გვქონდა ნეპის პირველი პერიოდი, ნეპის დასაწყისი, კაპიტალიზმის ერთგვარი გამოცოცხლების პერიოდი, ახლა ჩვენ გვაქვს ნეპის უკანასკნელი პერიოდი, ნეპის დასასრული, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში კაპიტალიზმის სრული ლიკვიდაციის პერიოდი.

დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ ამ პერიოდში ჩვენი მრეწველობა გიგანტურ ძალად გაიზარდა. ახლა უკვე არ შეიძლება ვუწოდოთ მას სუსტი და ტექნიკურად ცუდად შეჭურვილი. პირიქით, ახლა იგი ემყარება ახალ, მდიდარ თანამედროვე ტექნიკას ძლიერ განვითარებული მძიმე ინდუსტრიით და კიდევ უფრო მეტად განვითარებული მანქანათმშენებლობით. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ კაპიტალიზმი სრულიად განდევნილია ჩვენი მრეწველობის სფეროდან, ხოლო წარმოების სოციალისტური ფორმა ახლა წარმოადგენს განუყოფლად გაბატონებულ სისტემას ჩვენი მრეწველობის დარგში. წვრილმანად არ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ჩვენი ახლანდელი სოციალისტური ინდუსტრია პროდუქციის მოცულობის თვალსაზრისით შვიდჯერ და კიდევ უფრო მეტად სჭარბობს ომამდელი დროის ინდუსტრიას.

სოფლის მეურნეობის დარგში ნაცვლად წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა ოკეანისა, მათი სუსტი ტექნიკით და კულაკის ძალაგავლენით, ახლა ჩვენ გვაქვს მსოფლიოში ყველაზე მსხვილი მაშინიზებული, ახალი ტექნიკით შეიარაღებული წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოვლისშემცველი სისტემის სახით. ყველასათვის ცნობილია, რომ კულაკობა სოფლის მეურნეობაში ლიკვიდირებულია, ხოლო წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა სექტორს თავისი ჩამორჩენილი შუასაუკუნოებრივი ტექნიკით ახლა უმნიშვნელო ადგილი უჭირავს; ამასთან მისი ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობაში სათესი ფართობების ოდენობის მხრივ შეადგენს არაუმეტეს 2-3 პროცენტისა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ახლა კოლმეურნეობებს თავიანთ განკარგულებაში აქვთ 316 ათასი ტრაქტორი 5.700 ათასი ცხენისძალის სიმძლავრით, ხოლო საბჭოთა მეურნეობებთან ერთად აქვთ 400 ათასზე მეტი ტრაქტორი 7.580 ათასი ცხენისძალის სიმძლავრით.

რაც შეეხება საქონელბრუნვას ჩვენს ქვეყანაში, ვაჭრები და სპეკულანტები სრულიად განდევნილი არიან ამ დარგიდან. ახლა მთელი საქონელბრუნვა სახელმწიფოს, კოოპერაციისა და კოლმეურნეობების ხელში იმყოფება. წარმოიშვა და განვითარდა ახალი, საბჭოთა ვაჭრობა, ვაჭრობა უსპეკულანტებოდ, ვაჭრობა უკაპიტალისტებოდ.

ამგვარად, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში სოციალისტური სისტემის სრული გამარჯვება ახლა ფაქტს წარმოადგენს.

ხოლო ეს რას ნიშნავს?

ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია მოსპობილია, ლიკვიდირებულია, ხოლო საწარმოო იარაღებისა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება დამკვიდრებულია, როგორც ჩვენი საბჭოთა საზოგადოების ურყევი საფუძველი **(ხანგრძლივი ტაში).**

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დარგში ყველა ამ ცვლილების შედეგად ჩვენ ახლა გვაქვს ახალი, სოციალისტური ეკონომიკა, რომელმაც არ იცის კრიზისები და უმუშევრობა, არ იცის სიღატაკე და გაჩანაგება და რომელიც აძლევს მოქალაქეებს ყოველგვარ საშუალებას შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის.

ასეთია ძირითადად ის ცვლილებანი, რომლებიც მოხდა ჩვენი **ეკონომიკის** დარგში 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში.

სსრ კავშირის ეკონომიკის დარგში მომხდარ ამ ცვლილებათა შესაბამისად შეიცვალა ჩვენი საზოგადოების **კლასობრივი სტრუქტურაც.**

მემამულეთა კლასი, როგორც ცნობილია, უკვე ლიკვიდირებული იყო სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრების შედეგად. რაც შეეხება სხვა ექსპლოატატორულ კლასებს, მათ მემამულეთა კლასის ბედი გაიზიარეს. აღარ არის კაპიტალისტთა კლასი მრეწველობის დარგში. აღარ არის კულაკების კლასი სოფლის მეურნეობის დარგში, აღარ არიან ვაჭრები და სპეკულანტები საქონელბრუნვის დარგში. ამგვარად, ყველა ექსპლოატატორული კლასი ლიკვიდირებული აღმოჩნდა.

დარჩა მუშათა კლასი.

დარჩა გლეხთა კლასი.

დარჩა ინტელიგენცია.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ამ სოციალურ ჯგუფებს ამ ხნის განმავლობაში არავითარი ცვლილება არ განეცადოთ, თითქოს ისინი დარჩენილიყვნენ ისეთებადვე, როგორიც ისინი, ვთქვათ, კაპიტალიზმის პერიოდში იყვნენ.

ავიღოთ, მაგალითად, სსრ კავშირის მუშათა კლასი. მას ძველი ჩვეულების მიხედვით ხშირად პროლეტარიატს უწოდებენ. მაგრამ რა არის პროლეტარიატი? პროლეტარიატი არის კლასი, მოკლებული საწარმოო იარაღებსა და საშუალებებს მეურნეობის ისეთი სისტემის დროს, როდესაც საწარმოო იარაღები და საშუალებანი კაპიტალისტებს ეკუთვნით და როდესაც კაპიტალისტთა კლასი ეწევა პროლეტარიატის ექსპლოატაციას. პროლეტარიატი — ეს არის კაპიტალისტების მიერ ექსპლოატირებული კლასი. მაგრამ ჩვენში კაპიტალისტთა კლასი, როგორც ცნობილია, უკვე ლიკვიდირებულია, საწარმოო იარაღები და საშუალებანი ჩამოერთვა კაპიტალისტებს და გადაეცა სახელმწიფოს, რომლის ხელმძღვანელ ძალას მუშათა კლასი წარმოადგენს. მაშასადამე, აღარ არის კაპიტალისტთა კლასი, რომელსაც შეეძლოს ექსპლოატაცია გაუწიოს მუშათა კლასს. მაშასადამე, ჩვენი მუშათა კლასი არა თუ მოკლებული არ არის საწარმოო იარაღებსა და საშუალებებს, არამედ, პირიქით, იგი მათ ჰფლობს მთელ ხალხთან ერთად. რაკი იგი მათ ჰფლობს, ხოლო კაპიტალისტთა კლასი ლიკვიდირებულია, — გამორიცხულია მუშათა კლასის ექსპლოატაციის ყოველგვარი შესაძლებლობა. შეიძლება თუ არა ამის შემდეგ ჩვენს მუშათა კლასს პროლეტარიატი ეწოდოს? ცხადია, არ შეიძლება. მარქსი ამბობდა: იმისათვის, რომ პროლეტარიატმა თავი გაინთავისუფლოს, მან უნდა გაანადგუროს კაპიტალისტთა კლასი, ჩამოართვას კაპიტალისტებს საწარმოო იარაღები და საშუალებანი და მოსპოს წარმოების ის პირობები, რომლებიც პროლეტარიატს წარმოშობენ. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ სსრ კავშირის მუშათა კლასმა უკვე განახორციელა თავისი განთავისუფლების ეს პირობები? უსათუოდ შეიძლება და უნდა ითქვას. ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ სსრ კავშირის პროლეტარიატი გადაიქცა სრულიად ახალ კლასად, სსრ კავშირის მუშათა კლასად, რომელმაც მოსპო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა, დაამკვიდრა საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება და საბჭოთა საზოგადოებას კომუნიზმის გზით წარმართავს.

როგორც ხედავთ, სსრ კავშირის მუშათა კლასი — ეს სრულიად ახალი, ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული, მუშათა კლასია, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას ჯერ კიდევ არ სცოდნია.

გადავიდეთ გლეხობის საკითხზე. ჩვეულებრივ ამბობენ, რომ გლეხობა — ეს წვრილ მწარმოებელთა ისეთი კლასია, რომლის წევრნი ატომიზებული, მთელ ქვეყანაში გაბნეული არიან, ცალცალკე ცოდვილობენ თავიანთ წვრილ მეურნეობებში თავიანთი ჩამორჩენილი ტექნიკით, წარმოადგენენ კერძო საკუთრების მონებს და მათ დაუსჯელად უწევენ ექსპლოატაციას მემამულენი, კულაკები, ვაჭრები, სპეკულანტები, მევახშენი და მათი მსგავსნი. და მართლაც, გლეხობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, თუ მხედველობაში მის ძირითად მასას მივიღებთ, სწორედ ასეთ კლასს წარმოადგენს. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჩვენი თანამედროვე გლეხობა, საბჭოთა გლეხობა, თავისი მასით ამგვარ გლეხობას წააგავს? არა, ამის თქმა არ შეიძლება, ასეთი გლეხობა ჩვენში უკვე აღარ არის, ჩვენი საბჭოთა გლეხობა სრულიად ახალ გლეხობას წარმოადგენს. ჩვენში აღარ არიან მემამულეები და კულაკები, ვაჭრები და მევახშეები, რომელთაც შეეძლოთ გლეხთა ექსპლოატირება. მაშასადამე, ჩვენი გლეხობა არის ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული გლეხობა, შემდეგ, ჩვენი საბჭოთა გლეხობა თავისი უდიდესი უმრავლესობით არის კოლმეურნე გლეხობა, ე. ი. იგი თავის მუშაობასა და თავის დოვლათს ამყარებს არა ერთპიროვნულ შრომასა და ჩამორჩენილ ტექნიკაზე, არამედ კოლექტიურ შრომასა და თანამედროვე ტექნიკაზე. ბოლოს, ჩვენი გლეხობის მეურნეობას საფუძვლად უდევს არა კერძო საკუთრება, არამედ კოლექტიური საკუთრება, რომელიც კოლექტიური შრომის ბაზაზე გაიზარდა.

როგორც ხედავთ, საბჭოთა გლეხობა — ეს სრულიად ახალი გლეხობაა, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას ჯერ კიდევ არ სცოდნია.

დასასრულ, გადავიდეთ ინტელიგენციის საკითხზე, საკითხზე ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა, კულტურული ფრონტის მუშაკთა, საერთოდ მოსამსახურეთა და სხვ. მან აგრეთვე დიდი ცვლილებანი განიცადა განვლილ პერიოდში. ეს უკვე ის ძველი დახავსებული ინტელიგენცია კი არ არის, რომელიც ცდილობდა თავისი თავი კლასებს ზევით დაეყენებინა, ნამდვილად კი თავისი მასით ემსახურებოდა მემამულეებსა და კაპიტალისტებს, ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია —ეს სრულიად ახალი ინტელიგენციაა, რომელიც მთელი ფესვებით დაკავშირებულია მუშათა კლასთან და გლეხობასთან. ჯერ-ერთი, შეიცვალა ინტელიგენციის შემადგენლობა. თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის წრიდან გამოსულები შეადგენენ ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის მცირე პროცენტს. საბჭოთა ინტელიგენციის 80-90 პროცენტი — ეს მუშათა კლასის, გლეხობის და მშრომელთა სხვა ფენებიდან არის გამოსული. ბოლოს, შეიცვალა თვით ინტელიგენციის საქმიანობის ხასიათიც. წინათ მას უნდა ემსახურნა მდიდარი კლასებისათვის, ვინაიდან მას სხვა გამოსავალი არა ჰქონდა. ახლა იგი უნდა ემსახუროს ხალხს, ვინაიდან უკვე აღარ არიან ექსპლოატატორული კლასები. და სწორედ ამიტომ იგი ახლა წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების თანასწორუფლებიან წევრს, სადაც იგი მუშებთან და გლეხებთან ერთად, მათთან ხელიხელ ჩაკიდებული, ეწევა ახალი უკლასო სოციალისტური საზოგადოების შენებას.

როგორც ხედავთ, ეს სავსებით ახალი, მშრომელი ინტელიგენციაა, რომლის მსგავსს დედამიწის ვერც ერთ ქვეყანაში ვერ იპოვით.

ასეთია ის ცვლილებანი, რომლებიც განვლილი დროის მანძილზე მოხდა საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის დარგში.

რას გვეუბნებიან ეს ცვლილებანი?

ისინი გვეუბნებიან, ჯერ—ერთი, იმას, რომ საზღვარი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, ისევე როგორც ამ კლასებსა და ინტელიგენციას შორის—იშლება, ხოლო ძველი კლასობრივი განკერძოებულობა ქრება. ეს იმას ნიშნავს, რომ სულ უფრო და უფრო მცირდება მანძილი ამ სოციალურ ჯგუფებს შორის.

მეორე, ისინი გვეუბნებიან იმას, რომ ეცემა, იშლება ეკონომიური წინააღმდეგობანი ამ სოციალურ ჯგუფებს შორის.

დასასრულ, ისინი გვეუბნებიან იმას, რომ ეცემა და იშლება აგრეთვე პოლიტიკური წინააღმდეგობანი მათ შორის.

ასეთია საქმის ვითარება სსრ კავშირის **კლასობრივი სტრუქტურის** დარგში ცვლილებათა მხრივ.

სსრ კავშირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცვლილებათა სურათი არ იქნებოდა სრული, რამდენიმე სიტყვა რომ არ გვეთქვა ცვლილებებზე კიდევ ერთ დარგში. მე მხედველობაში მაქვს სსრ კავშირში **ნაციონალურ** ურთიერთდამოკიდებულებათა სფერო. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში შედის დაახლოვებით სამოცი ნაცია, ნაციონალური ჯგუფი და ეროვნება. საბჭოთა სახელმწიფო მრავალეროვანი სახელმწიფოა. გასაგებია, რომ სსრ კავშირის ხალხებს შორის ურთიერთ დამოკიდებულებათა საკითხს არ შეიძლება არ ჰქონდეს ჩვენთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, როგორც ცნობილია, შეიქმნა 1922 წელს სსრ კავშირის საბჭოების პირველ ყრილობაზე. იგი შეიქმნა სსრ კავშირის ხალხთა თანასწორობისა და ნებაყოფლობის საფუძვლებზე. ამჟამად მოქმედი კონსტიტუცია, მიღებული 1924 წელს, არის სსრ კავშირის პირველი კონსტიტუცია. ეს იყო პერიოდი, როცა ხალხებს შორის ურთიერთობანი ჯერ კიდევ არ იყო წესიერად მოგვარებული, როცა ჯერ კიდევ არ იყო გამქრალი ველიკორუსებისადმი უნდობლობის ნაშთები, როცა **ცენტრმსრბოლი** ძალები ჯერ კიდევ განაგრძობდნენ მოქმედებას. საჭირო იყო ამ პირობებში მოგვეგვარებინა ხალხთა ძმური თანამშრომლობა ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთდახმარების ბაზაზე, მათი ერთ საკავშირო მრავალეროვან სახელმწიფოდ გაერთიანებით. საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო არ დაენახა ამ საქმის სიძნელენი. მის თვალწინ იყო ბურჟუაზიულ ქვეყნებში მრავალეროვან სახელმწიფოთა მარცხით დამთავრებული **ცდები.** მის თვალწინ იყო ძველი ავსტრია-უნგრეთის მარცხით დამთავრებული **ცდა.** და მან მაინც მიმართა მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდას, ვინაიდან მან იცოდა, რომ სოციალიზმის ბაზაზე წარმოშობილმა მრავალეროვანმა სახელმწიფომ უნდა გაუძლოს ყველა და ყოველგვარ განსაცდელს.

მას შემდეგ 14 წელმა განვლო. პერიოდი საკმარისია იმისათვის, რომ შევამოწმოთ ცდა. და მერე? განვლილმა პერიოდმა უეჭველად დაგვანახვა, რომ სოციალიზმის ბაზაზე წარმოშობილი მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდა სრული წარმატებით დამთავრდა. ეს არის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის უეჭველი გამარჯვება. **(ხანგრძლივი ტაში).**

რითი უნდა აიხსნას ეს გამარჯვება?

არარსებობამ ექსპლოატატორთა კლასებისამ, რომლებიც ნაციათა შორის ჩხუბის ძირითად ორგანიზატორებს წარმოადგენენ; არარსებობამ ექსპლოატაციისამ, რომელიც ურთიერთუნდობლობას ნერგავს და ნაციონალისტურ ვნებებს აღვივებს; იმან, რომ ძალაუფლების სათავეში სდგას მუშათა კლასი, რომელიც მტერია ყოველგვარი დამონებისა და ერთგული მატარებელია ინტერნაციონალიზმის იდეებისა; ხალხთა ურთიერთდახმარების ფაქტიურმა განხორციელებამ სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში; ბოლოს, სსრ კავშირის ხალხთა ნაციონალური კულტურის, ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებამ, — ყოველივე ამან და მათმა მსგავსმა ფაქტორებმა მიგვიყვანა იქამდე, რომ ძირფესვიანად შეიცვალა სსრ კავშირის ხალხთა სახე, გაჰქრა მათში ურთიერთ უნდობლობის გრძნობა,

გაგრძელება იხ. მე-2 გვ.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ

გაგრძელება

ანვითარდა მათში ურთიერთ მე-
ობრობის გრძნობა და, ამგვარად,
ოვარდა ხალხთა ნამდვილი ძმური
ანამშრომლობა ერთიანი საკავში-
ო სახელმწიფოს სისტემაში.
ამის შედეგად ახლა ჩვენ გვაქვს
ავსებით ჩამოყალიბებული მრავალ-
როვანი სოციალისტური სახელმწი-
ო, რომელმაც ყოველგვარ განსაც-
ელს გაუძლო და რომლის სიმტკი-
ეც შეშურდებოდა რომელიც გნე-
ვაი ნაციონალურ სახელმწიფოს

ქვეყნიერების რომელიც გნებავთ ნაწილში. **(მქუხარე ტაში).**

ასეთია ის ცვლილებანი, რომლებიც განვლილი პერიოდის მანძილზე მოხდა სსრ კავშირში **ნაციონალურ ურთიერთდამოკიდებულებათა** სფეროში.

ასეთია სსრ კავშირის სამეურნეო და საზოგადოებრივ პოლიტიკური ცხოვრების იმ ცვლილებათა საერთო შედეგი, რომლებიც 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში მოხდა.

III

კონსტიტუციის პროექტის ძირითადი თავისებურებანი

რა ასახვა ჰპოვა სსრ კავშირის
ოვრებაში მომხდარმა ყველა ამ
ლილებამ ახალი კონსტიტუციის
ოექტში?
ახვანაირად რომ ვთქვათ: როგო-
ა ძირითადი თავისებურებანი
ნსტიტუციის პროექტისა, რომე-
ც აქ ყრილობის განსახილველად
წარმოდგენილი?
აკონსტიტუციო კომისიას დავა-
ბული ჰქონდა შეეტანა ცვლილე-
ი 1924 წლის კონსტიტუციის
ქსტში. საკონსტიტუციო კომისიის
აობის შედეგად მივიღეთ კონს-
ტუციის ახალი ტექსტი, სსრ კავ-
ის ახალი კონსტიტუციის პრო-
ი. ახალი კონსტიტუციის პრო-
ის შედგენისას საკონსტიტუციო
ისია იქიდან გამოდიოდა, რომ
სტიტუცია არ უნდა იქნას არეუ-
პროგრამასთან. ეს ნიშნავს, რომ
გრამასა და კონსტიტუციას შო-
არსებითი განსხვავებაა არის. მა-
როდესაც პროგრამა ლაპარა-
ს იმაზე, რაც ჯერ კიდევ არ
ს და რაც ჯერ კიდევ მიღწეულ
მოპოვებულ უნდა იქნას მომა-
ში, კონსტიტუცია, პირიქით,
ა ლაპარაკობდეს იმაზე, რაც
არის, რაც უკვე მიღწეული
მოპოვებულია ახლა, აწმყოში.
გრამა უმთავრესად ეხება მომა-
ს, კონსტიტუცია — აწმყოს.
რი მაგალითი ილუსტრაციისათ-

ვენმა საბჭოთა საზოგადოებამ
წია იმას, რომ ძირითადად უკვე
ხორციელა სოციალიზმი, შექმ-
ოციალისტური წყობილება, ე. ი.
ხორციელა ის, რასაც მარქსის-
ი სხვანაირად კომუნიზმის პირ-
ანუ დაბალ ფაზას უწოდებენ.
სადამე, ჩვენში ძირითადად უკ-
განხორციელებულია კომუნიზმის
ველი ფაზა, სოციალიზმი **(ხან-**
ლივი ტაში). კომუნიზმის ამ
ის ძირითად პრინციპს, როგორც
ბილია, წარმოადგენს ფორმუ-
„თვითეულისაგან მისი უნარის
დვით, თვითეულს—მისი შრომის
დვით". უნდა ასახოს თუ არა
მა კონსტიტუციამ ეს ფაქტი,
იალიზმის მოპოვების ფაქტი?
ა დაემყაროს თუ არა იგი ამ
აპოვარს? უსათუოდ უნდა დაემ-
ოს. უნდა დაემყაროს, რადგან
იალიზმი სსრ კავშირისათვის
ის. რაც უკვე მიღწეული და
ოვებულია.
გრამ საბჭოთა საზოგადოებას
კიდევ არ მიუღწევია კომუნიზ-
მაღალი ფაზის განხორციელები-
ვის, სადაც გაბატონებული პრინ-
ი იქნება ფორმულა: „თვითეუ-
აგან მისი უნარის მიხედვით,
თეულს მისი მოთხოვნილების
დვით", თუმცა კი იგი მიზნად
ავს მიაღწიოს მომავალში კომუ-
მის უმაღლესი ფაზის განხორ-
ლებას. შეუძლიან თუ არა ჩვენს
სტიტუციას დაემყაროს კომუ-
მის უმაღლეს ფაზას, რომელიც
კიდევ არ არის და რომელიც
კიდევ მოპოვებულ უნდა იქ-
? არა, არ შეუძლიან, რადგან კო-
იზმის უმაღლესი ფაზა სსრ კავ-
ისათვის არის ის, რაც ჯერ კი-
არ განხორციელებულა და რაც
მავალში უნდა განხორციელდის.
შეუძლიან, თუ არ უნდა მას
აიქცეს პროგრამად, ან დეკლა-
ციად მომავალ მონაპოვართა შე-
ებ.
სეთია ჩვენი კონსტიტუციის ჩარ-
ები მოცემულ ისტორიულ მო-
ტში.
მგვარად, ახალი კონსტიტუციის
ოექტი წარმოადგენს განვლილი
ის შედეგს. უკვე მიღწეულ მონა-
ვართა შედეგს. იგი, მაშასადამე,
რმოადგენს იმის რეგისტრაციასა
საკანონმდებლო განმტკიცებას,
ც საქმით უკვე მიღწეული და
პოვებულია **(მქუხარე ტაში).**
ამაშია სსრ კავშირის ახალი კონს-
ტუციის პროექტის პირველი თა-
ებურება.
შემდეგ. ბურჟუაზიული ქვეყნების
ნსტიტუციები ჩვეულებრივ გამო-
ან კაპიტალისტური წყობილების
რყევლობის რწმენიდან. ამ კონს-
ტუციათა მთავარ საფუძველს შე-
გენენ კაპიტალიზმის პრინციპები,
სი ძირითადი საყრდენები: მიწის,
ყეების, ფაბრიკების, ქარხნებისა და
ვა საწარმოო იარაღთა და საშუა-
ებათა კერძო საკუთრება; ადამია-
საგან ადამიანის ექსპლოატაცია
ა ექსპლოატატორთა და ექსპლოა-
ირებულთა არსებობა; მშრომელი
მრავლესობის არაუზრუნველყოფა

საზოგადოების ერთ პოლუსზე და არამშრომელი, მაგრამ უზრუნველყოფილი უმცირესობის ფუფუნება მეორე პოლუსზე; და სხვ. და ა. შ. ისინი ეყრდნობიან კაპიტალიზმის ამ და მათ მსგავს საყრდენებს. ისინი იმათ ასახავენ, ისინი იმათ განამტკიცებენ საკანონმდებლო წესით.

მათგან განსხვავებით სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი გამოდის კაპიტალისტური წყობილების ლიკვიდაციის ფაქტიდან, სსრ კავშირში სოციალისტური წყობილების გამარჯვების ფაქტიდან. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის მთავარ საფუძველს შეადგენენ სოციალიზმის პრინციპები, მისი ძირითადი საყრდენები, უკვე მოპოვებულნი და განხორციელებულნი: მიწის, ტყეების, ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვა საწარმოო იარაღებისა და საშუალებების სოციალისტური საკუთრება; ექსპლოატაციისა და ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაცია; უმრავლესობის სიღატაკისა და უმცირესობის ფუფუნების ლიკვიდაცია; უმუშევრობის ლიკვიდაცია; შრომა, როგორც თვითეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმე ფორმულით: „ვინც არ მუშაობს, ის ვერც სჭამს". შრომის უფლება, ე. ი. თვითეული მოქალაქის უფლება მიიღოს გარანტირებული სამუშაო; დასვენების უფლება; განათლების უფლება; და სხვ. და ა. შ. ახალი კონსტიტუციის პროექტი ეყრდნობა სოციალიზმის ამ და მათ მსგავს საყრდენებს. იგი მათ ასახავს, იგი მათ განამტკიცებს საკანონმდებლო წესით.

ასეთია ახალი კონსტიტუციის პროექტის მეორე თავისებურება.

შემდეგ. ბურჟუაზიული კონსტიტუციები მდუმარედ გამოდიან იმ წანამძღვარიდან, რომ საზოგადოება შესდგება ანტაგონისტური კლასებისაგან, იმ კლასებისაგან, რომლებიც სიმდიდრესა ჰფლობენ, და იმ კლასებისაგან, რომლებიც მას არ ჰფლობენ, რომ რომელი პარტიაც უნდა ჩაუდგეს ხელისუფლებას სათავეში, საზოგადოების სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა (დიქტატურა) უნდა ეკუთვნოდეს ბურჟუაზიას, რომ კონსტიტუცია საჭიროა იმისათვის, რათა განმტკიცდეს საზოგადოებრივი წესწყობილება, რომელიც სასურველი და ხელსაყრელია შეძლებული კლასებისათვის.

ბურჟუაზიული კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი გამოდის იქიდან, რომ საზოგადოებაში უკვე აღარ არიან ანტაგონისტური კლასები, რომ საზოგადოება შესდგება ორი ერთმანეთის მეგობრული კლასისაგან, მუშებისა და გლეხებისაგან, რომ ხელისუფლების სათავეში დგანან სწორედ ეს მშრომელი კლასები, რომ საზოგადოების სახელმწიფო ხელმძღვანელობა (დიქტატურა) ეკუთვნის მუშათა კლასს, როგორც საზოგადოების მოწინავე კლასს, რომ კონსტიტუცია საჭიროა იმისათვის, რათა განვამტკიცოთ საზოგადოებრივი წესწყობილება, რომელიც სასურველი და ხელსაყრელია მშრომელებისათვის.

ასეთია ახალი კონსტიტუციის პროექტის მესამე თავისებურება.

შემდეგ. ბურჟუაზიული კონსტიტუციები მდუმარედ გამოდიან იმ წანამძღვარიდან, რომ ნაციები და რასები არ შეიძლება თანასწორუფლებიანი იყვნენ, რომ არიან სრულუფლებიანი ნაციები და არიან არასრულუფლებიანი ნაციები, რომ, ამას გარდა, არსებობს კიდევ ნაციებისა ან რასების მესამე კატეგორია, მაგალითად, კოლონიებში, რომლებსაც კიდევ უფრო ნაკლები უფლებები აქვთ, ვიდრე არასრულუფლებიან ნაციებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ეს კონსტიტუცია თავისი საფუძვლით წარმოადგენს ნაციონალისტურს, ე. ი. გაბატონებული ნაციების კონსტიტუციებს.

ამ კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, პირიქით, ღრმად ინტერნაციონალურია. იგი გამოდის იქიდან, რომ ყველა ნაცია და რასა თანასწორუფლებიანია. იგი გამოდის იქიდან, რომ განსხვავება კანის ფერისა ან ენისა, კულტურული დონისა, ან სახელმწიფო განვითარების დონისა, ისევე როგორც სხვა რომელიმე განსხვავება ნაციებსა და რასებს შორის—არ შეიძლება გახდეს იმის საფუძველი, რომ გავამართლოთ ნაციონალური არათანასწორუფლებიანობა. იგი გამოდის იქიდან, რომ ყველა ნაცია და რასა, მათი წარსული და ახლანდელი მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად, მათი ძალისა ან სისუსტისაგან დამოუკიდებლად, — უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებით საზოგადოების სამეურნეო, საზოგადოებრივი, სახელმწიფო და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

ასეთია ახალი კონსტიტუციის პროექტის მეოთხე თავისებურება.

ახალი კონსტიტუციის პროექტის მეხუთე თავისებურებას წარმოადგენს მისი თანმიმდევრობითი და ბოლომდე დაცული დემოკრატიზმი. დემოკრატიზმის თვალსაზრისით ბურჟუაზიული კონსტიტუციები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: კონსტიტუციათა ერთი ჯგუფი პირდაპირ უარჰყოფს ან ფაქტიურად არარაობად აქცევს მოქალაქეთა უფლებების თანასწორობას და დემოკრატიულ თავისუფლებებს. კონსტიტუციათა მეორე ჯგუფი ხალისით ღებულობს და საქვეყნოდ გაჰკივის დემოკრატიულ საწყისებზე. მაგრამ ამასთან უკეთებს ისეთ შენიშვნებსა და შეზღუდვებს, რომ დემოკრატიული უფლებები და თავისუფლებანი სრულიად დამახინჯებული გამოდის. ისინი ლაპარაკობენ თანასწორ საარჩევნო უფლებებზე ყველა მოქალაქისათვის, მაგრამ იქვე ზღუდავენ მათ ბინადრობით, განათლების ცენზით და ქონებრივი ცენზითაც კი. ისინი ლაპარაკობენ მოქალაქეთა თანასწორ უფლებებზე, მაგრამ იქვე უკეთებენ შენიშვნას, რომ ეს არ შეეხება ქალებს, ან შეეხება მათ ნაწილობრივ. და სხვ. ა. შ.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავისუფალია მსგავსი შენიშვნებისა და შეზღუდვებისაგან. მისთვის არ არსებობენ აქტიური ან პასიური მოქალაქენი, მისთვის ყველა მოქალაქე აქტიურია. იგი არ სცნობს განსხვავებას მამაკაცთა და დედაკაცთა, „ბინადართა" და „არა-ბინადართა". მქონებელთა და უქონელთა, განათლებულთა და გაუნათლებელთა უფლებებში. მისთვის ყველა მოქალაქე თანასწორია თავის უფლებებში. არა ქონებრივი მდგომარეობა, არა ნაციონალური წარმოშობა, არა სქესი, არა სამსახურებრივი მდგომარეობა, არამედ თვითეული მოქალაქის პირადი უნარი და პირადი შრომა განსაზღვრავენ მის მდგომარეობას საზოგადოებაში.

დასასრულ, ახალი კონსტიტუციის პროექტის კიდევ ერთი თავისებურება. ბურჟუაზიული კონსტიტუციები ჩვეულებრივ სჯერდებიან მოქალაქეების ფორმალურ უფლებათა ფიქსირებას და არ ზრუნავენ ამ უფლებათა განხორციელების პირობებზე, მათი განხორციელების შესაძლებლობაზე, მათი განხორციელების საშუალებებზე. ლაპარაკობენ მოქალაქეთა თანასწორობაზე, მაგრამ ავიწყდებათ, რომ არ შეიძლება ნამდვილი თანასწორობა მეპატრონესა და მუშას შორის, მემამულესა და გლეხს შორის, თუ პირველთ აქვთ სიმდიდრე და პოლიტიკური წონა საზოგადოებაში, ხოლო მეორენი მოკლებული არიან ერთსაც და მეორესაც, თუ პირველნი წარმოადგენენ ექსპლოატატორებს, ხოლო მეორენი—ექსპლოატირებულთ. ან კიდევ: ლაპარაკობენ სიტყვის, კრებებისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე, მაგრამ ივიწყებენ, რომ ყველა ეს თავისუფლება შეიძლება მუშათა კლასისათვის ლიტონსიტყვად გადაიქცეს, თუ იგი მოკლებულია შესაძლებლობას იქონიოს თავის განკარგულებაში შესაფერისი შენობები კრებებისათვის, კარგი სტამბები, საბეჭდი ქაღალდის საკმაო რაოდენობა და ა. შ.

ახალი კონსტიტუციის პროექტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ სჯერდება მოქალაქეების ფორმალურ უფლებათა ფიქსირებას, არამედ სიმძიმის ცენტრი გადააქვს ამ უფლებათა გარანტიების საკითხზე, ამ უფლებათა განხორციელების საშუალებების საკითხზე. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს მოქალაქეების უფლებათა თანასწორობას, არამედ კიდეც უზრუნველჰყოფს მათ ექსპლოატაციის რეჟიმის ლიკვიდაციის ფაქტის, ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან მოქალაქეთა განთავისუფლების ფაქტის საკანონმდებლო განმტკიცებით. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს შრომის უფლებას, არამედ კიდეც უზრუნველჰყოფს მას საბჭოთა სახელმწიფოში კრიზისების არარსებობის ფაქტის, უმუშევრობის მოსპობის ფაქტის საკანონმდებლო განმტკიცებით. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს დემოკრატიულ თავისუფლებებს, არამედ კიდეც უზრუნველჰყოფს მათ საკანონმდებლო წესით გარკვეული მატერიალური საშუალებებით. ამიტომ გასაგებია, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტის დემოკრატიზმი წარმოადგენს არა „ჩვეულებრივს" და „საყოველთაოდ აღიარებულ" დემოკრატიზმს საერთოდ, არამედ **სოციალისტურ** დემოკრატიზმს.

ასეთია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის ძირითადი თავისებურებანი.

ასეთია სსრ კავშირის სამეურნეო და საზოგადოებრივ - პოლიტიკური ცხოვრების იმ ძვრათა და ცვლილებათა ასახვა ახალი კონსტიტუციის პროექტში, რომლებიც განხორციელდნენ 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში.

IV

კონსტიტუციის პროექტის ბურჟუაზიული კრიტიკა

რამდენიმე სიტყვა კონსტიტუციის პროექტის ბურჟუაზიული კრიტიკის შესახებ.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უყურებს კონსტიტუციის პროექტს უცხოეთის ბურჟუაზიული პრესა, უდავოდ წარმოადგენს ერთგვარ ინტერესს.

რამდენადაც უცხოეთის პრესა ასახავს ბურჟუაზიულ ქვეყანათა მოსახლეობის სხვადასხვა ფენების საზოგადოებრივ აზრს, ჩვენ არ შეგვიძლიან გვერდი ავუხვიოთ იმ კრიტიკას, რომელიც ამ პრესამ კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ გაშალა.

კონსტიტუციის პროექტის მიმართ უცხოეთის პრესის რეაქციის პირველი ნიშნები გამოიხატა გარკვეულ ტენდენციაში — დუმილით შეხვედროდნენ კონსტიტუციის პროექტს. მე ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს ყველაზე უფრო რეაქციული, ფაშისტური პრესა. კრიტიკოსთა ამ ჯგუფმა უმჯობესად ჩასთვალა უბრალო დუმილით შეხვედროდა კონსტიტუციის პროექტს, ისე წარმოედგინა საქმე, თითქოს პროექტი არ ყოფილიყოს და იგი საერთოდ არ არსებობდეს ბუნებაში. შეიძლება სთქვან, დუმილით შეხვედრა არ არის კრიტიკაო. მაგრამ ეს არაა მართალი. დუმილით შეხვედრის მეთოდიც, როგორც უგულებელყოფის განსაკუთრებული საშუალება, არის აგრეთვე კრიტიკის ფორმა, მართალია, სულელური და სასაცილო, მაგრამ მაინც კრიტიკის ფორმა **(საერთო სიცილი. ტაში).** მაგრამ დუმილით შეხვედრის მეთოდიდან მათ არაფერი გამოუვიდათ. ბოლოსდაბოლოს ისინი იძულებული გახდნენ აეხსნათ სარქველი და ეუწყებინათ მსოფლიოსათვის, რომ რარიგ სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს, სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი მაინც არსებობს, და არა თუ არსებობს, არამედ მავნე ზემოქმედებასაც ახდენს ადამიანთა გონებაზე. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან მაინც არის ქვეყნად რაღაც საზოგადოებრივი აზრი, მკითხველები, ცოცხალი ადამიანები, რომელთაც სურთ იცოდნენ სიმართლე ფაქტების შესახებ, და მათი დიდხანს ყოლა მოტყუების მარწუხებში ყოვლად შეუძლებელია. მოტყუებით შორს ვერ წახვალ...

მეორე ჯგუფი კრიტიკოსებისა აღიარებს, რომ კონსტიტუციის პროექტი ნამდვილად არსებობს ბუნებაში, მაგრამ იგი სთვლის, რომ პროექტი არ წარმოადგენს დიდ ინტერესს, რადგან იგი არსებითად არის არა კონსტიტუციის პროექტი, არამედ ფარატინა ქაღალდი, ცალიერი დაპირება, ნავარაუდევი ერთგვარი მანევრის გასაკეთებლად და ხალხის მოსატყუებლად. ამასთან ისინი დასძენენ, რომ უკეთესი პროექტის მოცემა საბჭოთა კავშირს არც შეეძლო, რადგან თვითონ სსრ კავშირი წარმოადგენს არა სახელმწიფოს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ — გეოგრაფიულ ცნებას **(საერთო სიცილი),** ხოლო რაკი იგი სახელმწიფოს არ წარმოადგენს, ამიტომ მისი კონსტიტუცია არ შეიძლება ნამდვილი კონსტიტუცია იყოს. კრიტიკოსთა ამ ჯგუფის ტიპიური წარმომადგენელია, რარიგ უცნაურიც არ უნდა იყოს ეს, გერმანიის ოფიციოზი „დეიტშე დიპლომატიშ-პოლიტიშე კორესპონდენც". ეს ჟურნალი პირდაპირ ამბობს, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი წარმოადგენს ცალიერ დაპირებას, მოტყუებას, „პოტიომკინის სოფელს". იგი უყოყმანოდ აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი არ არის სახელმწიფო, რომ საბჭოთა კავშირი „სხვა არაფერია, თუ არა ზუსტად განსაზღვრული გეოგრაფიული ცნება" **(საერთო სიცილი),** რომ ამიტომ საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია არ შეიძლება ნამდვილ კონსტიტუციას იქნას აღიარებულიო.

რა შეიძლება ითქვას ასეთ, უკაცრავად პასუხია, კრიტიკოსებზე?

ერთერთ თავის ზღაპარ-მოთხრობაში დიდი რუსი მწერალი შჩედრინი იძლევა თავნება ბიუროკრატის ტიპს, რომელიც ძალიან შეზღუდულია და გონებაჩლუნგი, მაგრამ უაღრესად დარწმუნებული თავისთავში და ფიცხი. მას შემდეგ, რაც ამ ბიუროკრატმა მისდამი „რწმუნებულ" ოლქში „წესრიგი და სიწყნარე" დაამყარა, რისთვისაც ათასობით მცხოვრებნი გაჟლიტა და ათობით ქალაქები გადასწვა, მან ირგვლივ მიმოიხედა და ჰორიზონტზე შენიშნა ამერიკა, რასაკვირველია, ნაკლებადცნობილი ქვეყანა, სადაც, თურმე, არის რაღაც თავისუფლებები, რომლებსაც ხალხში შფოთი შეაქვთ და სადაც სახელმწიფოს სხვა მეთოდებით მართავენ. ბიუროკრატმა ამერიკა შენიშნა და აღშფოთდა: ეს რა ქვეყანაა, საიდან გაჩნდა იგი, რომელი ასეთი საბუთით არსებობს იგი? **(საერთო სიცილი, ტაში).** რასაკვირველია, იგი შემთხვევით აღმოაჩინეს რამდენიმე საუკუნის წინათ, მაგრამ განა არ შეიძლება მისი კვლავ დახურვა, რომ მისი ხსენებაც აღარ იყოს? **(საერთო სიცილი).** და, სთქვა თუ არა ეს, დაადო რეზოლუცია: „კვლავ დაიხუროს ამერიკა". **(საერთო სიცილი).**

მე მგონია, რომ ვაჟბატონები „დეიტშე დიპლომატიშ - პოლიტიშე კორესპონდენციდან" როგორც ორი წვეთი წყალი, ისე ჰგვანან შჩედრინის ბიუროკრატს **(საერთო სიცილი, მოწონების ტაში).** ამ ვაჟბატონებს საბჭოთა კავშირი უკვე დიდი ხანია თვალში ეჩხირებათ. ცხრამეტი წელიწადია დგას საბჭოთა კავშირი, როგორც შუქურა, რომელიც განთავისუფლების სულით მსჭვალავს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს და ცოფს ჰგვრის მუშათა კლასის მტრებს და იგი, ეს საბჭოთა კავშირი, თურმე, არა თუ მხოლოდ არსებობს, არამედ იზრდება კიდეც, და არა თუ იზრდება, არამედ წარმატებასაც აღწევს, და არა თუ წარმატებასაც აღწევს, არამედ ახალი კონსტიტუციის პროექტსაც კი სთხზავს, პროექტს, რომელიც აღაგზნებს ადამიანთა გონებას, ახალ იმედებს უნერგავს დაჩაგრულ კლასებს **(ტაში).** როგორ არ უნდა აღშფოთდნენ ამის შემდეგ ვაჟბატონები გერმანული ოფიციოზიდან? რა ქვეყანაა ეს ქვეყანა, გოდებენ ისინი, რომელი ასეთი საბუთით არსებობს იგი **(საერთო სიცილი),** და თუ იგი 1917 წლის ოქტომბერში აღმოაჩინეს, რატომ არ შეიძლება მისი კვლავ დახურვა, რომ მისი ხსენებაც აღარ იყოს? და, სთქვეს რა ეს, დაადგინეს: კვლავ დაიხუროს საბჭოთა კავშირი, ყველას გასაგონად გამოცხადდეს, რომ საბჭოთა კავშირი როგორც სახელმწიფო, არ არსებობს, რომ საბჭოთა კავშირი სხვა არაფერია, თუ არა უბრალო გეოგრაფიული ცნება! **(საერთო სიცილი).**

ადებდა რა რეზოლუციას იმის შესახებ, რომ კვლავ დახურულიყო ამერიკა, შჩედრინის ბიუროკრატმა, მიუხედავად მთელი თავისი სიჩლუნგისა, მაინც მონახა თავისთავში რეალურის გაგების ელემენტები, ჩაილაპარაკა რა იქვე თავისთვის: „მაგრამ, მგონი, საქმე ესე ჩემზე არ არის დამოკიდებულიო". **(მხიარული სიცილის გრიალი, მქუხარე ტაში).** მე არ ვიცი, ეყოფათ თუ არა ჭკუა ვაჟბატონებს გერმანული ოფიციოზიდან მიხვდნენ, რომ ამათუიმ სახელმწიფოს „დახურვა" ქაღალდზე მათ, რასაკვირველია, შეუძლიათ, მაგრამ თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, „საქმე ესე მათზე არ არის დამოკიდებული"... **(მხიარული სიცილის გრიალი, მქუხარე ტაში).**

რაც შეეხება იმას, ვითომც სსრ კავშირის კონსტიტუცია წარმოადგენდეს ცალიერ დაპირებას, „პოტიომკინის სოფელს" და ა. შ., მე მინდა მივუთითო მთელ რიგ დადგენილ ფაქტებზე, რომლებიც თავისთავად მეტყველებენ.

1917 წელს სსრ კავშირის ხალხებმა დაამხეს ბურჟუაზია და დაამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა, დაამყარეს საბჭოთა ძალაუფლება, ეს ფაქტია და არა დაპირება.

შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა მემამულეთა კლასის ლიკვიდაცია და გლეხებს გადასცა 150 მილიონზე მეტი ჰექტარი ყოფილი მემამულური, სახაზინო და სამონასტრო მიწები და ეს — იმ მიწების გარდა, რომლებიც წინათაც გლეხთა ხელში იყო. ეს ფაქტია და არა დაპირება.

შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა კაპიტალისტთა კლასის ექსპროპრიაცია, ჩამოართვა მათ ბანკები, ქარხნები, რკინიგზები და სხვა საწარმოო იარაღნი და საშუალებანი, გამოაცხადა ისინი სოციალისტურ საკუთრებად და ამ საწარმოთა სათავეში დააყენა მუშათა კლასის საუკეთესო ადამიანები. ეს ფაქტია და არა დაპირება. **(ხანგრძლივი ტაში).**

შემდეგ, მოაწყო რა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ახალ, სოციალისტურ საფუძველზე, ახალი ტექნიკური ბაზით, საბჭოთა ხელისუფლებამ მიაღწია იმას, რომ ამჟამად მიწათმოქმედება სსრ კავშირში იძლევა ერთნახევარჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე ომამდე იძლეოდა, ინდუსტრია აწარმოებს შვიდჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე ომამდე, ხოლო სახალხო შემოსავალი გაიზარდა ერთიოთხად ომამდელ დროსთან შედარებით. ყოველივე ეს ფაქტებია და არა დაპირებანი. **(ხანგრძლივი ტაში).**

შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო უმუშევრობა, ცხოვრებაში გაატარა შრომის უფლება, დასვენების უფლება, განათლების უფლება, უზრუნველჰყო უკეთესი მატერიალური და კულტურული პირობები მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციისათვის, უზრუნველჰყო საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების გატარება ცხოვრებაში მოქალაქეთა ფარული კენჭისყრით. ყოველივე ეს ფაქტებია და არა დაპირებანი. **(ხანგრძლივი ტაში).**

დასასრულ, სსრ კავშირმა მოგვცა ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც წარმოადგენს არა დაპირებას, არამედ ამ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების რეგისტრაციასა და საკანონმდებლო განმტკიცებას, იმის რეგისტრაციასა და საკანონმდებლო განმტკიცებას, რაც უკვე მიღწეული და მოპოვებულია.

კითხვა ისმება, რა აზრი აქვს ყოველივე ამის შემდეგ გერმანული ოფიციოზის ვაჟბატონთა ლაყბობას „პოტიომკინის სოფლების" შესახებ, თუ არა ის, რომ მათ მიზნად დაისახეს დაუმალონ ხალხს სიმართლე სსრ კავშირის შესახებ, შეიყვანონ ხალხი შეცდომაში, მოატყუონ იგი.

ასეთია ფაქტები. ხოლო ფაქტები, როგორც იტყვიან, ჯიუტი რამ არის. ვაჟბატონებს გერმანული ოფიციოზიდან შეუძლიანთ სთქვან: მით უარესი ფაქტებისათვისო **(საერთო სიცილი).** მაგრამ მაშინ მათ შეგვიძლიან ვუპასუხოთ ცნობილი რუსული ანდაზის სიტყვებით: „რეგვენთათვის კანონი არ იწერება" **(მხიარული სიცილი, ხანგრძლივი ტაში).**

მესამე ჯგუფი კრიტიკოსთა არ უარობს აღიაროს კონსტიტუციის პროექტის გარკვეული ღირსებანი, იგი მას დადებით მოვლენად მიაჩნია, მაგრამ იგი, თურმე ნუ იტყვით, ძალიან ეჭვობს, რომ შეიძლებოდეს მის მთელ რიგ დებულებათა ცხოვრებაში გატარება, ვინაიდან იგი დარწმუნებულია, რომ ეს დებულებანი საერთოდ განუხორციელებელია და ქაღალდზე უნდა დარჩნენ. ეს, რბილად რომ ვთქვათ, სკეპტიკოსები არიან. ისინი, ეს სკეპტიკოსები ყველა ქვეყანაში მოიპოვებიან.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ მათ პირველად როდი ვხვდებით. როცა ბოლშევიკები 1917 წელს ძალაუფლებას ხელში იღებდნენ, სკეპტიკოსები ამბობდნენ: ბოლშევიკები, შეიძლება ითქვას, ცუდი ადამიანები არ არიან, მაგრამ ხელისუფლების მხრივ მათ საქმე არ გამოუვათ. ისინი ჩაფლავდებიან. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ ჩაფლავდნენ არა ბოლშევიკები, არამედ სკეპტიკოსები.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის დროს სკეპტიკოსთა ეს ჯგუფი ამბობდა: საბჭოთა ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ცუდი რამ არ არის, მაგრამ დენიკინი და კოლჩაკი პლუს უცხოელები მას, ალბათ, დასძლევენო. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ სკეპტიკოსები აქაც მოტყუვდნენ ანგარიშში.

როცა საბჭოთა ხელისუფლებამ პირველი ხუთწლიანი გეგმა გამოაქვეყნა, სკეპტიკოსები კვლავ გამოვიდნენ სცენაზე და ამბობდნენ: ხუთწლედი, რა თქმა უნდა, კარგი საქმეა, მაგრამ არა გვგონია მისი განხორციელება შეიძლებოდეს, უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლშევიკებს ხუთწლედის მხრივ საქმე არ გამოუვათო. მაგრამ ფაქტებმა დაგვანახვეს, რომ სკეპტიკოსებს კვლავ უმტყუნა ბედმა: ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში იქნა განხორციელებული.

იგივე უნდა ითქვას ახალი კონსტიტუციის პროექტზე და მის კრიტიკაზე სკეპტიკოსთა მხრით. საკმარისი იყო პროექტის გამოქვეყნება, რომ კრიტიკოსთა ეს ჯგუფი კვლავ გამოჩენილიყო სცენაზე თავისი ხალვლიანი სკეფსისით, თავისი ეჭვებით კონსტიტუციის ზოგიერთი დებულების განხორციელების შესაძლებლობის შესახებ. არავითარი საფუძველი არ არსებობს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ სკეპტიკოსები ამ შემთხვევაშიაც ჩაფლავდებიან, ახლაც ისევე ჩაფლავდებიან, როგორც ისინი წარსულში არაერთხელ ჩაფლავებულან.

მეოთხე ჯგუფი კრიტიკოსებისა, იერიში მიაქვს რა ახალი კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ, ახასიათებს მას, როგორც „ძვრას მარჯვნივ", როგორც „ხელის აღებას პროლეტარიატის დიქტატურაზე", როგორც „ბოლშევიკური რეჟიმის ლიკვიდაციას". „ბოლშევიკები მარჯვნივ გადაქანდნენ, ეს ფაქტია"— ამბობენ ისინი სხვადასხვა ჰანგზე. ამ მხრივ განსაკუთრებით გულმოდგინეობენ ზოგიერთი პოლონური და ნაწილობრივ ამერიკული გაზეთები.

რა შეიძლება ითქვას ამ, უკაცრავად პასუხია, კრიტიკოსებზე?

თუ მუშათა კლასის დიქტატურის ბაზის გაფართოვებას და დიქტატურის გადაქცევას საზოგადოებისადმი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის უფრო მოქნილ, მაშასადამე, — უფრო მძლავრ სისტემად ისინი განმარტავენ არა როგორც მუშათა კლასის დიქტატურის გაძლიერებას, არამედ როგორც მის დასუსტებას ანდა მასზე ხელის აღებასაც კი, მაშინ უფლება გვაქვს ვიკითხოთ: იციან კი საერთოდ ამ ვაჟბატონებმა — რა არის მუშათა კლასის დიქტატურა?

თუ სოციალიზმის გამარჯვების საკანონმდებლო განმტკიცებას, ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციისა და დემოკრატიზაციის წარმატებათა საკანონმდებლო განმტკიცებას ისინი უწოდებენ „ძვრას მარჯვნივ", მაშინ უფლება გვაქვს ვიკითხოთ: იციან კი საერთოდ ამ ვაჟბატონებმა — რითი განსხვავდება მარცხენა მარჯვენისაგან? **(საერთო სიცილი, ტაში).**

არ შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს იმაში, რომ ეს ვაჟბატონები საბოლოოდ დაიბნენ კონსტიტუ
პროექტის თავიანთ კრიტიკაში
რაკი დაიბნენ, ერთმანეთში აუ
მარჯვენა და მარცხენა.
ამ შემთხვევის გამო არ შეიძ
არ გავიხსენოთ შინაყმა „გოგო"
ლაგია გოგოლის „მკვდარი სულ
დან". მან, როგორც გოგოლი მო
თხრობს, ერთხელ როგორღაც ი
რა გზა ეჩვენებინა ჩიჩიკოვის მ
ლე სელიფანისათვის, მაგრამ, რა
გან ვერ შესძლო გაერჩია გზის მ
ჯვენა მხარე მისი მარცხენა მხ
საგან, დაიბნა და უხერხულ მდგ
რეობაში ჩავარდა. უნდა აღვიარ
რომ ჩვენი კრიტიკოსები პოლონ
გაზეთებიდან, მთელი მათი ამბი
მიუხედავად, მაინც ბევრად ვერ
ცილებიან „მკვდარი სულების"
ნაყმა „გოგო" პელაგიას გაგებ
დონეს **(ტაში).** თუ გაიხსენებთ, მ
ტლე სელიფანმა საჭიროდ ჩასთვა
დაეტუქსა პელაგია იმისათვის,
მან ერთმანეთში აურია მარჯ
და მარცხენა, და უთხრა მას:
შე შავფეხავ... არ იცი სად
მარჯვენა და სად მარცხენა".
მგონია მართებული იქნებოდა ა
ვე დაგვეტუქსა ჩვენი ჭკუამოკ
კრიტიკოსები და გვეთქვა მათთ
ეხ, თქვე ვაი-კრიტიკოსებო...
იცით, სად არის მარჯვენა და ს
მარცხენა. **(ხანგრძლივი ტაში).**
დასასრულ, კიდევ ერთი ჯგუ
კრიტიკოსებისა. თუ წინა ჯგუ
ბრალსა სდებს კონსტიტუციის პ
ექტს იმაში, რომ იგი ხელს იღ
მუშათა კლასის დიქტატურაზე,
ჯგუფი, პირიქით, ბრალსა სდებს მ
იმაში, რომ იგი არაფერს
სცვლის სსრ კავშირში არსებ
მდგომარეობაში, რომ იგი ხელ
ლებელს სტოვებს მუშათა კლა
დიქტატურას, დაუშვებლად სთვ
პოლიტიკური პარტიების თავის
ლებას და ძალაში სტოვებს კო
ნისტთა პარტიის ახლანდელ ხე
მძღვანელ მდგომარეობას სსრ კა
შირში. ამასთან, კრიტიკოსთა
ჯგუფს მიაჩნია, რომ სსრ კავში
პარტიათა თავისუფლების არარ
ბობა დემოკრატიზმის საფუძვლ
დარღვევის ნიშანს წარმოადგენს.
მე უნდა აღვიარო, რომ ახ
კონსტიტუციის პროექტი მართლ
ძალაში სტოვებს მუშათა კლ
დიქტატურის რეჟიმს, ისევე
გორც უცვლელად სტოვებს ს
კავშირის კომუნისტური პარტ
ახლანდელ ხელმძღვანელ მდგომ
რეობას **(მქუხარე ტაში).** თუ პა
ცემულ კრიტიკოსებს ეს კონსტი
ციის პროექტის ნაკლად მიაჩნ
მაშინ შეგვიძლიან მხოლოდ სინ
ლი გამოვთქვათ ამის გამო. ჩვენ
ბოლშევიკები ამას კონსტიტუ
პროექტის ღირსებად ვთვლით. **(მ**
ხარე ტაში).
რაც შეეხება სხვადასხვა პო
ტიკური პარტიის თავისუფლ
ჩვენ აქ რაოდენადმე სხვა შეხ
ლებებისა ვართ. პარტია არის
სის ნაწილი, მისი მოწინავე ნაწ
რამდენიმე პარტია და, მაშასა
პარტიების თავისუფლება შეიძ
არსებობდეს მხოლოდ ისეთ საზ
დოებაში, სადაც არიან ანტაგ
ტური კლასები, რომელთა ინტ
სები მტრული და შეურიგებ
სადაც არიან, ვთქვათ, კაპიტალ
ბი და მუშები, მემამულეები
გლეხები, კულაკები და ღარ
და ა. შ. მაგრამ სსრ კავშირში
აღარ არიან ისეთი კლასები,
გორც კაპიტალისტები, მემამულ
ბი, კულაკები და ა.შ. სსრ კავშ
არის მხოლოდ ორი კლასი—მუ
და გლეხები, რომელთა ინტერ
არა თუ მტრული არ არის, არა
პირიქით—მეგობრულია. მაშასა
სსრ კავშირში არ არის ნიადაგი
დენიმე პარტიის არსებობისათვი
მაშასადამე, ამ პარტიების თავი
ლებისთვისაც. სსრ კავშირში
ნიადაგი მხოლოდ ერთი პარტ
თვის, კომუნისტური პარტიისა
სსრ კავშირში არსებობა შეუძ
მხოლოდ ერთ პარტიას—კომუნ
პარტიას, რომელიც გაბედულ
და ბოლომდე იცავს მუშათა
გლეხთა ინტერესებს. ხოლო რომ
ამ კლასთა ინტერესებს ცუდ
იცავს, ამაში არა მგონია შესაძ
ლი იყოს რაიმე ეჭვის შეტანა (
ხარე ტაში).
ლაპარაკობენ დემოკრატიაზე.
რამ რა არის დემოკრატია?
კრატია კაპიტალისტურ ქვეყ
სადაც ანტაგონისტური კლასებ
სებობენ, საბოლოო ანგარიშით
დემოკრატია ძლიერთათვის,
კრატია მქონებელი უმცირესობ
ვის. დემოკრატია სსრ კავშირში
რიქით, არის დემოკრატია მშრო
თათვის, ე. ი. დემოკრატია ყველ
თვის. მაგრამ აქედან გამომ
რეობს ის, რომ დემოკრატიზმი
ფუძვლებს არღვევს არა სსრ კ
რის ახალი კონსტიტუციის პრო
არამედ—ბურჟუაზიული კონსტ
ციები. აი რატომ ვფიქრობ მე
სსრ კავშირის კონსტიტუცია წ
ადგენს მსოფლიოში ერთადერთ
ლომდე დემოკრატიულ კონსტ
ციას.
ასეთია საქმის ვითარება სსრ
შირის ახალი კონსტიტუციის
ექტის ბურჟუაზიული კრ
მხრივ.

გაგრძელება იხ. მე-3

ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ

დასასრული

V

შესწორებანი და დამატებანი კონსტიტუციის პროექტისათვის

გადავიდეთ პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისას მოქალაქეთა მიერ კონსტიტუციის პროექტისათვის შემოტანილ შესწორებათა და დამატებათა საკითხზე.

კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვამ, როგორც ვიცით, შესწორებათა და დამატებათა საკმაოდ მნიშვნელოვანი ოდენობა მოგვცა. ყველა ისინი გამოქვეყნებულია საბჭოთა პრესაში. შესწორებათა დიდი მრავალფეროვნებისა და მათი არაერთნაირი ღირებულების გამო, ჩემის აზრით, მართებული იქნებოდა მათი დაყოფა სამ კატეგორიად.

პირველი კატეგორიის შესწორებათა განმასხვავებელი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი კონსტიტუციის საკითხებს კი არ შეეხებიან, არამედ მომავალი საკანონმდებლო ორგანოების მიმდინარე საკანონმდებლო მუშაობის საკითხებს. დაზღვევის ცალკეული საკითხები, საკოლმეურნეო მშენებლობის ზოგიერთი საკითხი, სამრეწველო მშენებლობის ზოგიერთი საკითხი, საფინანსო საქმის საკითხები, — ასეთია ამ შესწორებათა თემები. როგორც ჩანს, ამ შესწორებათა ავტორებს ვერ გაუთვალისწინებიათ განსხვავება საკონსტიტუციო საკითხებსა და მიმდინარე კანონმდებლობის საკითხებს შორის. სწორედ ამიტომ ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მეტი კანონი ჩასჭედონ კონსტიტუციაში, მიჰყავთ საქმე იქით, რომ კონსტიტუცია გადააქციონ კანონთა რაღაც კრებულის მაგვარად. მაგრამ კონსტიტუცია არ არის კანონთა კრებული. კონსტიტუცია არის ძირითადი კანონი, და მხოლოდ ძირითადი კანონი. კონსტიტუცია არა თუ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს მომავალი საკანონმდებლო ორგანოების მიმდინარე საკანონმდებლო მუშაობას. კონსტიტუცია იძლევა იურიდიულ ბაზას ასეთი ორგანოების მომავალი საკანონმდებლო მუშაობისათვის. ამიტომ ისეთი ხასიათის შესწორებანი და დამატებანი, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ კონსტიტუციასთან, ჩემის აზრით, უნდა გადაეცეს ქვეყნის მომავალ საკანონმდებლო ორგანოებს.

მეორე კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ისეთი შესწორებანი და დამატებანი, რომელნიც ცდილობენ შეიტანონ კონსტიტუციაში ისტორიულ ცნობათა ელემენტები ან დეკლარაციის ელემენტები იმაზე, თუ ჯერ კიდევ რას ვერ მიაღწია საბჭოთა ხელისუფლებამ და რას უნდა მიაღწიოს მან მომავალში. აღინიშნოს კონსტიტუციაში, თუ რა სიძნელეები გადალახეს მრავალი წლის მანძილზე პარტიამ, მუშათა კლასმა და ყველა მშრომელმა სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში; მითითებულ იქნას კონსტიტუციაში საბჭოთა მოძრაობის საბოლოო მიზანი, ე. ი. სრული კომუნისტური საზოგადოების აგება, — ასეთია ამ შესწორებათა თემები, რომლებიც სხვადასხვა ვარიაციით მეორდება. მე ვფიქრობ, ასეთი შესწორებანი და დამატებანი განზე უნდა გადაიდოს, რადგან მათ არა აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება კონსტიტუციასთან. კონსტიტუცია არის იმ მიღწევათა რეგისტრაცია და საკანონმდებლო განმტკიცება, რომლებიც უკვე მოპოვებულია და უზრუნველყოფილი. თუ ჩვენ არ გვინდა კონსტიტუციის ამ ძირითადი ხასიათის დამახინჯება, იგი არ უნდა ავავსოთ ისტორიული ცნობებით წარსულზე, ანდა დეკლარაციებით სსრ კავშირის მშრომელთა მომავალ მონაპოვრებზე. ამ საქმისათვის ჩვენ გვაქვს სხვა გზები და სხვა დოკუმენტები.

ბოლოს, მესამე კატეგორიას უნდა მიეკუთვნონ ისეთი შესწორებანი და დამატებანი, რომელთაც აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება კონსტიტუციის პროექტთან.

ამ კატეგორიის შესწორებათა მნიშვნელოვან ნაწილს სარედაქციო ხასიათი აქვს. ამიტომ შეიძლებოდა ისინი გადაგვეცა ამ ყრილობის სარედაქციო კომისიისათვის, რომელსაც, ვფიქრობ, ყრილობა შექმნის და დაავალებს მას დაადგინოს ახალი კონსტიტუციის ტექსტის საბოლოო რედაქცია.

რაც შეეხება მესამე კატეგორიის დანარჩენ შესწორებებს, მათ უფრო არსებითი მნიშვნელობა აქვთ, და მათ შესახებ, ჩემის აზრით, აქ უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა.

1) უწინარეს ყოვლისა შესწორებებზე კონსტიტუციის პროექტის 1-ლი მუხლისათვის. არის ოთხი შესწორება. ერთნი წინადადებას იძლევიან—ნაცვლად სიტყვებისა „მუშათა და გლეხთა სახელმწიფო" ითქვას: „მშრომელთა სახელმწიფო". მეორენი წინადადებას იძლევიან — სიტყვებს „მუშათა და გლეხთა სახელმწიფო" დაემატოს: „და მშრომელი ინტელიგენციის". მესამენი წინადადებას იძლევიან — ნაცვლად სიტყვებისა „მუშათა და გლეხთა სახელმწიფო" ითქვას: „სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა რასისა და ერონების სახელმწიფო". მეოთხენი წინადადებას იძლევიან — სიტყვა „გლეხთა" შეიცვალოს სიტყვით „კოლმეურნეთა", ან სიტყვებით: „სოციალისტური მიწათმოქმედების მშრომელთა".

უნდა მივიღოთ თუ არა ეს შესწორებანი? მე ვფიქრობ, რომ არ უნდა მივიღოთ.

რაზე ლაპარაკობს კონსტიტუციის პროექტის 1-ლი მუხლი? იგი ლაპარაკობს საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ შემადგენლობაზე. შეგვიძლიან თუ არა ჩვენ, მარქსისტებს, კონსტიტუციაში გვერდი ავუაროთ ჩვენი საზოგადოების კლასობრივი შემადგენლობის საკითხს? არა, არ შეგვიძლიან. საბჭოთა საზოგადოება, როგორც ცნობილია, შესდგება ორი კლასისაგან, მუშებისა და გლეხებისაგან. კონსტიტუციის პროექტის პირველი მუხლი სწორედ ამაზე ლაპარაკობს. მაშასადამე, კონსტიტუციის პროექტის 1-ლი მუხლი სწორად ასახავს ჩვენი საზოგადოების კლასობრივ შემადგენლობას. შეიძლება გვკითხონ: მშრომელი ინტელიგენცია? ინტელიგენცია არასოდეს არ ყოფილა კლასი და არც შეიძლება იყოს,—იგი იყო და რჩება ფენად, რომელიც თავის წევრებს იძენს საზოგადოების ყველა კლასს შორის. ძველ დროს ინტელიგენცია თავის წევრებს იძენდა თავადაზნაურთა, ბურჟუაზიასა, ნაწილობრივ გლეხთა შორის და მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით მუშათა შორის. ჩვენს, საბჭოთა დროში, ინტელიგენცია თავის წევრებს იძენს უმთავრესად მუშათა და გლეხთა შორის. მაგრამ როგორადაც უნდა სდგებოდეს იგი და რა ხასიათიც უნდა ჰქონდეს მას, ინტელიგენცია მაინც არის ფენა და არა კლასი.

ხომ არ ლახავს ეს გარემოება მშრომელი ინტელიგენციის უფლებებს? სრულიადაც არა! კონსტიტუციის პროექტის პირველი მუხლი საბჭოთა საზოგადოების სხვადასხვა ფენის უფლებებზე კი არ ლაპარაკობს, არამედ ამ საზოგადოების კლასობრივ შემადგენლობაზე. საბჭოთა საზოგადოების სხვადასხვა ფენის უფლებებზე, მათ შორის მშრომელი ინტელიგენციის უფლებებზე, ლაპარაკია უმთავრესად კონსტიტუციის პროექტის მეათე და მეთერთმეტე თავებში. ამ თავებიდან ნათლად სჩანს, რომ მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია სავსებით თანასწორი არიან ჩვენი ქვეყნის სამეურნეო, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში, მაშასადამე, მშრომელი ინტელიგენციის უფლებათა შელახვაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

იგივე უნდა ითქვას სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ნაციებისა და რასების შესახებ. კონსტიტუციის პროექტის მეორე თავში უკვე ნათქვამია, რომ სსრ კავშირი არის თანასწორუფლებიანი ნაციების თავისუფალი კავშირი. განა ღირს ამ ფორმულის განმეორება კონსტიტუციის პროექტის პირველ მუხლში, რომელიც ლაპარაკობს საბჭოთა საზოგადოების არა ნაციონალურ შემადგენლობაზე, არამედ მის კლასობრივ შემადგენლობაზე? ცხადია, რომ არა ღირს. რაც შეეხება სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ნაციებისა და რასების უფლებებს, ამაზე ლაპარაკია კონსტიტუციის პროექტის მეორე, მეათე და მეთერთმეტე თავებში. ამ თავებიდან ნათლად სჩანს, რომ სსრ კავშირის ერები და რასები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. მაშასადამე, ნაციონალურ უფლებათა შელახვაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

ასევე უმართებულო იქნებოდა შეგვეცვალა სიტყვა „გლეხი" სიტყვით „კოლმეურნე", ან სიტყვებით „სოციალისტური მიწათმოქმედების მშრომელი". ჯერ ერთი, გლეხთა შორის გარდა კოლმეურნეებისა ჯერ კიდევ არის მილიონზე მეტი კომლი არა კოლმეურნენი. რა ვუყოთ მათ? ხომ არ ფიქრობენ ამ შესწორების ავტორები, რომ ისინი სათვალავში არ მივიღოთ? ეს გონივრული არ იქნებოდა. მეორე, — თუ გლეხთა უმრავლესობა უკვე ეწევა საკოლმეურნეო მეურნეობას, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი აღარ არის გლეხობა, რომ მას უკვე არა აქვს თავისი პირადი მეურნეობა, პირადი კარმიდამო და ა. შ. მესამე, მაშინ საჭირო გახდებოდა შეგვეცვალა აგრეთვე სიტყვა „მუშა" სიტყვებით „სოციალისტური მრეწველობის მშრომელი". მაგრამ შესწორების ავტორები ასეთ წინადადებას რატომღაც არ იძლევიან. დასასრულ, განა ჩვენში უკვე გაჰქრნენ მუშათა კლასი და გლეხთა კლასი? ხოლო თუ ისინი არ გამქრალან, განა საჭიროა ამოვშალოთ ლექსიკონიდან მათთვის დადგენილი სახელწოდებანი? შესწორების ავტორებს, როგორც ეტყობათ, მხედველობაში აქვთ არა ახლანდელი, არამედ მომავალი საზოგადოება, როცა კლასები აღარ იქნებიან და როცა მუშები და გლეხები გადაიქცევიან ერთიანი კომუნისტური საზოგადოების მშრომელებად. მაშასადამე, ისინი აშკარად წინ მირბიან. მაგრამ კონსტიტუციის შედგენისას უნდა გამოვდიოდეთ არა მომავლიდან, არამედ ამწყოდან, იქიდან, რაც უკვე არის. კონსტიტუციას არ შეუძლიან და არც უნდა მირბოდეს წინ.

2) შემდეგ მიდის შესწორება კონსტიტუციის პროექტის მეჩვიდმეტე მუხლისათვის. შესწორება მდგომარეობს იმაში, რომ მოითხოვენ სრულიად გამოირიცხოს კონსტიტუციის პროექტიდან მეჩვიდმეტე მუხლი, რომელიც ლაპარაკობს სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების თავისუფლად გამოსვლის უფლების შენარჩუნებაზე. მე ვფიქრობ, რომ ეს წინადადება არ არის სწორი და ამიტომ იგი არ უნდა მიიღოს ყრილობამ. სსრ კავშირი არის თანასწორუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკათა ნებაყოფლობითი კავშირი. სსრ კავშირიდან თავისუფლად გამოსვლის უფლების მუხლის გამორიცხვა კონსტიტუციიდან—ნიშნავს ამ კავშირის ნებაყოფლობითი ხასიათის დარღვევას. შეგვიძლიან თუ არა ჩვენ გადავდგათ ეს ნაბიჯი? მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან და არც უნდა გადავდგათ ეს ნაბიჯი. ამბობენ: სსრ კავშირში არ მოიპოვება არცერთი რესპუბლიკა, რომელსაც სურდეს სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლა, ამის გამო მეჩვიდმეტე მუხლს არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობაო. ჩვენში რომ არ არსებობს არცერთი რესპუბლიკა, რომელსაც სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლა სურდეს, ეს, რასაკვირველია, მართალია. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ ჩვენ არ უნდა ჩავწეროთ კონსტიტუციაში სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკათა თავისუფლად გამოსვლის უფლება. სსრ კავშირში აგრეთვე არ არსებობს ისეთი მოკავშირე რესპუბლიკა, რომელსაც სურდეს დასთრგუნოს მეორე მოკავშირე რესპუბლიკა. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციიდან გამორიცხულ უნდა იქნას მუხლი, რომელიც ლაპარაკობს მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებების თანასწორობაზე.

3) შემდეგ არის წინადადება, კონსტიტუციის პროექტის მეორე თავი შევავსოთ ახალი მუხლით, რომლის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, როცა ისინი სამეურნეო და კულტურული განვითარების სათანადო დონეს მიაღწევენ, შეიძლება გარდაიქმნან მოკავშირე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებად. შეიძლება თუ არა მივიღოთ ეს წინადადება? მე ვფიქრობ, რომ მისი მიღება საჭირო არ არის. იგი არ არის სწორი არა მარტო თავისი შინაარსის მხრივ, არამედ თავისი მოტივების მხრივაც. შეუძლებელია ავტონომიური რესპუბლიკების გადაყვანა მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში მოტივირებულ იქნას მათი სამეურნეო და კულტურული მომწიფებით, ისევე როგორც შეუძლებელია მოტივირებულ იქნას ამა თუ იმ რესპუბლიკის დატოვება ავტონომიურ რესპუბლიკათა სიაში მისი სამეურნეო ან კულტურული ჩამორჩენილობით. ეს იქნებოდა არა მარქსისტული, არალენინური მიდგომა. მაგალითად, თათართა რესპუბლიკა რჩება ავტონომიური, ხოლო კაზახთა რესპუბლიკა ხდება მოკავშირე, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ კაზახთა რესპუბლიკა კულტურული და სამეურნეო განვითარების თვალსაზრისით უფრო მაღლა დგას, ვიდრე თათართა რესპუბლიკა. საქმე სწორედ რომ, პირიქით არის. იგივე უნდა ითქვას, მაგალითად ვოლგის მხარის გერმანელთა ავტონომიურ რესპუბლიკაზე და ყირგიზთა მოკავშირე რესპუბლიკაზე, რომელთაგან პირველი კულტურული და სამეურნეო მხრივ უფრო მაღლა დგას, ვიდრე მეორე; თუმცა იგი ავტონომიურ რესპუბლიკად რჩება.

როგორია ის ნიშნები, რომელთა არსებობაც საფუძველს გვაძლევს გადავიყვანოთ ავტონომიური რესპუბლიკები მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში?

ისინი, ეს ნიშნები, — სამია.

ჯერ ერთი, საჭიროა, რომ რესპუბლიკა იყოს განაპირა, რომელიც ყოველმხრივ არ არის გარშემორტყმული სსრ კავშირის ტერიტორიით. რატომ? იმიტომ რომ, თუ მოკავშირე რესპუბლიკას რჩება სსრ კავშირიდან გამოსვლის უფლება, მაშინ საჭიროა ამ რესპუბლიკას, რომელიც მოკავშირე გახდა, საშუალება ჰქონდეს ლოგიკურად და ფაქტიურად დააყენოს სსრ კავშირიდან თავისი გამოსვლის საკითხი. ხოლო ასეთი საკითხის დასმა შეუძლიან მხოლოდ ისეთ რესპუბლიკას, რომელიც, ვთქვათ, ესაზღვრება უცხოეთის რომელიმე სახელმწიფოს და, მაშასადამე, ყოველი მხრიდან არ არის გარშემორტყმული სსრ კავშირის ტერიტორიით. რასაკვირველია, ჩვენში არ არიან ისეთი რესპუბლიკები, ფაქტიურად რომ აყენებდნენ სსრ კავშირიდან გამოსვლის საკითხს. მაგრამ რაკი მოკავშირე რესპუბლიკას რჩება სსრ კავშირიდან გამოსვლის უფლება, მაშინ ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ ეს უფლება არ გადაიქცეს ფარატინა და უაზრო ქაღალდად. ავიღოთ, მაგალითად, ბაშკირეთის ან თათართა რესპუბლიკა. ვთქვათ, ეს ავტონომიური რესპუბლიკები გადავიყვანეთ მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში. შეეძლოთ თუ არა მათ ლოგიკურად და ფაქტიურად დაეყენებინათ სსრ კავშირიდან თავიანთი გამოსვლის საკითხი? არა, არ შეეძლოთ. რატომ? იმიტომ, რომ ისინი ყოველმხრივ გარშემორტყმული არიან საბჭოთა რესპუბლიკებითა და ოლქებით და, კაცმა რომ სთქვას, მათ სსრ კავშირის შემადგენლობიდან არსად წასვლებათ. **(საერთო სიცილი, ტაში)**. ამიტომ ასეთი რესპუბლიკების გადაყვანა მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში სწორი არ იქნებოდა.

მეორე მხრივ, საჭიროა, რომ ერონვნება, რომლის სახელიც საბჭოთა რესპუბლიკას ეწოდება, წარმოადგენდეს ამ რესპუბლიკაში ცოტად თუ ბევრად კომპაქტურ უმრავლესობას. მაგალითად, ავიღოთ, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა. იგი არის განაპირა რესპუბლიკა. მაგრამ ყირიმელ თათრებს არა ჰყავთ უმრავლესობა ამ რესპუბლიკაში, პირიქით, — ისინი იქ უმცირესობას წარმოადგენენ. მაშასადამე, უმართებულობა და ულოგიკობა იქნებოდა ყირიმის რესპუბლიკის გადაყვანა მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში.

მესამე: საჭიროა, რომ რესპუბლიკა არ იყოს ძალიან პატარა თავისი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, რომ მას ჰყავდეს მოსახლეობა, ვთქვათ, არა ნაკლებ, არამედ მეტი თუნდაც ერთი მილიონისა, რატომ? იმიტომ რომ უმართებულო იქნება იმის ფიქრი, თითქოს პატარა საბჭოთა რესპუბლიკას, რომელსაც მოსახლეობის მინიმალური რაოდენობა და უმნიშვნელო არმია ჰყავს, შეეძლოს ჰქონდეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის იმედი. მგონი ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ იმპერიალისტური მტაცებლები სწრაფად ჩაიგდებდნენ მათ ხელში.

მე ვფიქრობ, რომ თუ ეს სამი ობიექტური ნიშანი არ არსებობს, სწორი არ იქნებოდა ამ ისტორიულ მომენტში დავაყენოთ ამა თუ იმ ავტონომიური რესპუბლიკის მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში გადაყვანის საკითხი.

4) შემდეგ წინადადება შემოაქვთ ამოვშალოთ მე-22, 23, 24, 25, 26, 27, 28, და 29 მუხლებში დაწვრილებითი ჩამოთვლა მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრატიულ-ტერიტორიული დაყოფისა მხარეებად და ოლქებად. მე ვთიქრობ, რომ ეს წინადადებაც მიუღებელია. სსრ კავშირში არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან დიდის ხალისით და დაუღალავად ხელახლა გამოსჭრან მხარეები და ოლქები და ამით არევდარევა და რწმენის უქონლობა შეიტანონ მუშაობაში. კონსტიტუციის პროექტი ასეთი ადამიანებისათვის ჰქმნის ლაგამს. და ეს ძალიან კარგია იმიტომ, რომ აქ, ისე როგორც სხვა ბევრ რამეში, ჩვენში საჭიროა რწმენის ატმოსფერო, საჭიროა სტაბილობა, სიცხადე.

5) მეხუთე შესწორება ეხება მე-33 მუხლს. მიზანშეუწონლად სთვლიან ორი პალატის შექმნას და წინადადებას იძლევიან მოისპოს ეროვნებათა საბჭო. მე მგონია, ეს შესწორება აგრეთვე სწორი არ არის. ერთპალატიანი სისტემა ორპალატიანზე უკეთესი იქნებოდა, საბჭოთა კავშირი რომ ერთიანი ნაციონალურ სახელმწიფოს წარმოადგენდეს. მაგრამ საბჭოთა კავშირი არ არის ერთიანი ნაციონალური სახელმწიფო. საბჭოთა კავშირი, როგორც ცნობილია, არის მრავალეროვანი სახელმწიფო. ჩვენ გვაქვს უზენაესი ორგანო, სადაც წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის ყველა **მშრომელის საერთო ინტერესები** დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა. ეს არის კავშირის საბჭო. მაგრამ საბჭოთა კავშირის ეროვნებებს საერთო ინტერესებს გარდა აქვთ კიდევ **თავისი განსაკუთრებული, სპეციფიკური** ინტერესები, რომლებიც დაკავშირებული არიან მათს ნაციონალურ თავისებურებებთან. შეიძლება თუ არა ამ სპეციფიკური ინტერესების უგულებელყოფა? არა, არ შეიძლება. საჭიროა თუ არა სპეციალური უზენაესი ორგანო, რომელიც სწორედ ამ სპეციფიკურ ინტერესებს ასახავდეს? უთუოდ საჭიროა. არავითარი ეჭვი არაა, რომ ასეთი ორგანოს გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ისეთი მრავალეროვანი სახელმწიფოს მართვა, როგორიცაა საბჭოთა კავშირი. ასეთ ორგანოს წარმოადგენს მეორე პალატა, სსრ კავშირის ეროვნებათა საბჭო.

მიუთითებენ ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოთა საპარლამენტო ისტორიაზე, მიუთითებენ იმაზე, რომ ორპალატიანმა სისტემამ ამ ქვეყნებში მხოლოდ მინუსები მოგვცა, რომ მეორე პალატა ჩვეულებრივ რეაქციის ცენტრად და წინსვლის საწინააღმდეგო მუხრუჭად გადაგვარდებაო. ყველაფერი ეს მართალია. მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ ამ ქვეყნებში პალატებს შორის არ არის თანასწორობა. როგორც ვიცით მეორე პალატას ხშირად მეტ უფლებებს აძლევენ, ვიდრე პირველს, და შემდეგ, როგორც წესი, მეორე პალატა ეწყობა არადემოკრატიული გზით, ხშირად მისი წევრების ზევიდან დანიშვნის გზით, უეჭველია, ეს მინუსები არ იქნება, თუ გავატარებთ თანასწორობას პალატებს შორის და მეორე პალატას მოვაწყობთ ისევე დემოკრატიულად, როგორც პირველს.

6) შემდეგ კონსტიტუციის პროექტისათვის იძლევიან დამატებას, რომელიც მოითხოვს ორთავე პალატის წევრთა რაოდენობის გათანასწორებას. მე ვფიქრობ, ამ წინადადების მიღება შეიძლებოდა. იგი გვაძლევს, ჩემის აზრით, აშკარა პოლიტიკურ პლუსებს, რადგან ხაზს უსვამს პალატების თანასწორობას.

7) შემდეგ მიდის კონსტიტუციის პროექტის დამატება, რომლის ძალით წინადადებას იძლევიან იმგვარადვე ავირჩიოთ დეპუტატები ეროვნებათა საბჭოში, როგორც კავშირის საბჭოში, პირდაპირი არჩევნების გზით. მე ვფიქრობ, რომ ამ წინადადების მიღებაც შეიძლებოდა. მართალია, მას შეუძლიან ზოგიერთი ტექნიკური უხერხულობის შექმნა არჩევნების დროს. სამაგიეროდ იგი დიდ პოლიტიკურ მოგებას მოგვცემს, რადგან იგი ასწევს ეროვნებათა საბჭოს ავტორიტეტს.

8) შემდეგ მიდის მე-40 მუხლის დამატება, რომლის ძალით წინადადებას იძლევიან მივანიჭოთ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს უფლება გამოსცეს დროებითი საკანონმდებლო აქტები. მე ვფიქრობ, რომ ეს დამატება არ არის სწორი და არ უნდა მიიღოს ყრილობამ. ბოლოსდაბოლოს საჭიროა ბოლო მოეღოს იმ მდგომარეობას, როცა კანონმდებლობს არა ერთი რომელიმე ორგანო, არამედ მთელი რიგი ორგანოები. ასეთი მდგომარეობა ეწინააღმდეგება კანონების სტაბილობის პრინციპს. ხოლო კანონების სტაბილობა ახლა უფრო მეტად გვჭირდება, ვიდრე ოდესმე. საკანონმდებლო ძალაუფლებას სსრ კავშირში უნდა ანხორციელებდეს მხოლოდ ერთი ორგანო, სსრ კავშირის უზენაესი საბჭო.

9) შემდეგ შემოაქვთ კონსტიტუციის პროექტის მე-48 მუხლის დამატება, რომლის ძალით მოითხოვენ, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე არჩეულ იქნას არა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ, არამედ ქვეყნის მთელი მოსახლეობის მიერ. მე ვფიქრობ, რომ ეს დამატება არაა სწორი, ვინაიდან იგი არ შეესაბამება ჩვენი კონსტიტუციის სულს. ჩვენი კონსტიტუციის სისტემით სსრ კავშირში არ უნდა იყოს ერთპიროვნული პრეზიდენტი, რომელსაც აირჩევს მთელი ხალხი, უზენაესი საბჭოს თანაბრად, და რომელსაც შეეძლება თავისთავად დაუპირისპიროს უზენაეს საბჭოს. საბჭოთა კავშირში პრეზიდენტი კოლეგიალურია, — ეს არის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ჩათვლით, არჩეული არა მთელი მოსახლეობის, არამედ უზენაესი საბჭოს მიერ და ანგარიშვალდებული უზენაესი საბჭოს წინაშე. გამოცდილება და ისტორია გვიჩვენებს, რომ უზენაესი ორგანოების ასეთი აგება ყველაზე უფრო დემოკრატიულია და უზრუნველჰყოფს ქვეყანას არასასურველი შემთხვევითობისაგან.

10) შემდეგ მიდის შესწორება იმავე მე-48 მუხლისათვის. იქ ნათქვამია: გადიდდეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობა თერთმეტამდე იმ ანგარიშით, რომ თვითეული მოკავშირე რესპუბლიკიდან იყოს ერთი მოადგილე. მე ვფიქრობ, რომ ამ შესწორების მიღება შეიძლებოდა, ვინაიდან იგი აუმჯობესებს საქმეს და შეუძლიან მხოლოდ განამტკიცოს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ავტორიტეტი.

11) შემდეგ მიდის შესწორება მე-77 მუხლისათვის. იგი მოითხოვს მოეწყოს ახალი საერთო — საკავშირო სახალხო კომისარიატი, — თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარიატი. მე ვფიქრობ, რომ საჭირო იქნებოდა ამ შესწორების მიღებაც **(ტაში)**, ვინაიდან მომწიფდა დრო იმისათვის, რომ გამოვყოთ ჩვენი თავდაცვის მრეწველობა და მივცეთ მას სათანადო გაფორმება სახალხო კომისარიატის სახით. მე მგონია, რომ ეს მხოლოდ გააუმჯობესებდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეს.

12) შემდეგ მიდის კონსტიტუციის პროექტის ასოცდამეოთხე მუხლის შესწორება, რომელიც მოითხოვს ამ მუხლის შეცვლას იმ მიმართულებით, რომ აიკრძალოს რელიგიურ წესთა შესრულება. მე ვფიქრობ, რომ ეს შესწორება უარყოფილ უნდა იქნას, როგორც ჩვენი კონსტიტუციის სულის შეუსაბამო.

13) დასასრულ, კიდევ ერთი შესწორება, რომელსაც ცოტად თუ ბევრად არსებითი ხასიათი აქვს. მე ვლაპარაკობ შესწორებაზე კონსტიტუციის პროექტის ასოცდამეთხუთმეტე მუხლისათვის. იგი წინადადებას იძლევა ჩამოერთვას საარჩევნო უფლებები კულტის მსახურთ, ყოფილ თეთრგვარდიელთ, ყველა ყოფილ ადამიანსა და პირს, რომელნიც კი საერთო სასარგებლო შრომას არ ეწევიან. ანდა, ყოველ შემთხვევაში, —შეიზღუდოს ამ კატეგორიის პირთა საარჩევნო უფლებანი,—მიენიჭოთ მათ მხოლოდ პასიური საარჩევნო უფლება, ე. ი. უფლება აირჩიონ, მაგრამ არ იქნან არჩეული. მე ვფიქრობ, ეს შესწორებაც უარყოფილ უნდა იქნას. საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა საარჩევნო უფლებანი არამშრომელ და ექსპლოატატორულ ელემენტებს არა უკუნითი უკუნისამდე, არამედ დროებით, განსაზღვრულ პერიოდამდე. იყო დრო, როცა ეს ელემენტები აშკარა ბრძოლას აწარმოებდნენ ხალხის წინააღმდეგ და წინააღმდეგობას უწევდნენ საბჭოთა კანონებს. საბჭოთა კანონი მათი საარჩევნო უფლების ჩამორთმევის შესახებ იყო საბჭოთა ხელისუფლების პასუხი ამ წინააღმდეგობის გაწევაზე. მას შემდეგ ცოტა დრომ როდი განვლო. განვლილ პერიოდში ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ექსპლოატატორული კლასები მოსპობილი არიან, ხოლო საბჭოთა ხელისუფლება უძლეველ ძალად გადაიქცა. ხომ არ მოვიდა დრო გადაისინჯოს ეს კანონი? მე ვფიქრობ, რომ ეს დრო მოვიდა. ამბობენ, ეს საშიშიაო, რადგან ჩვენი ქვეყნის უზენაეს ორგანოებში შეიძლება გაძვრნენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული ელემენტები, ზოგი ვინმე ყოფილი თეთრგვარდიელებიდან, კულაკებიდან, ხუცებიდან და ა. შ.; მაგრამ, კაცმა რომ სთქვას, რისა უნდა გვეშინოდეს აქ «Волков бояться, в лес не ходить» *) **(მხიარული გაცხოველება დარბაზში, მქუხარე ტაში)**. ჯერ ერთი, ყველა ყოფილი კულაკი, თეთრგვარდიელი თუ ხუცესი საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი არ არის. მეორე, ხალხმა კიდეც რომ აირჩიოს აქა-იქ მტრული ადამიანები, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ჩვენი საგიტაციო მუშაობა ძალიან ცუდად არის დაყენებული, და ჩვენ სავსებით დაგვიმსახურებია ასეთი სირცხვილი, ხოლო თუ ჩვენი საგიტაციო მუშაობა ბოლშევიკურად იწარმოებს, მაშინ ხალხი თავის უზენაეს ორგანოებში მტრულ ადამიანებს არ შეუშვებს. მაშასადამე, კი არ უნდა ვიწუწუნოთ, არამედ უნდა ვიმუშაოთ **(მქუხარე ტაში)**, უნდა ვიმუშაოთ და არა დაველოდოთ იმას, რომ ყველაფერი მზამზარეულად მოგვეცემა ადმინისტრატიულ განკარგულებათა წესით. ლენინი ჯერ კიდევ 1919 წელს, ამბობდა, რომ შორს არ არის ის დრო, როცა საბჭოთა ხელისუფლება სასარგებლოდ მიიჩნევს შემოიღოს საყოველთაო საარჩევნო უფლება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. მიაქციეთ ყურადღება: **ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე**. ამას იგი ამბობდა მაშინ, როცა უცხოელთა სამხედრო ინტერვენცია ჯერ კიდევ ლიკვიდირებული არ იყო, ხოლო ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა სასოწარმკვეთ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მას შემდეგ უკვე ჩვიდმეტმა წელმა განვლო. განა დრო არ არი ამხანაგებო, შევასრულოთ ლენინი მითითება? მე ვფიქრობ, რომ დრო აი რას ამბობდა ლენინი 191 წელს თავის შრომაში „რკპ (ბ) პრო გრამის პროექტი". ნება მომეცი წაგიკითხოთ:

„რკპ უნდა განუმარტავდე მშრომელ მასებს, წარმავალ ის ტორიულ საჭიროებათა არასწო რი განზოგადების თავიდან ას ცილებლად, რომ მოქალაქეთა ნა წილისათვის საარჩევნო უფლებ თა ჩამორთმევა სრულიადაც ა ეხება საბჭოთა რესპუბლიკაშ როგორც ეს ხდებოდა უმეტ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რე სპუბლიკებში, მოქალაქეთა განს ზღვრულ კატეგორიას, რომელ ნიც სამუდამოდ უუფლებოება ცხადდებიან, არამედ ეხება მხო ლოდ ექსპლოატატორებს, მხო ლოდ იმათ, ვინც წინააღმდეგ სო ციალისტური საბჭოთა რესპუ ლიკის ძირითადი კანონებისა ჯ უტობს თავისი ექსპლოატატორ ლი მდგომარეობის დაცვაში, კ პიტალისტურ ურთიერთობათა შ ნარჩუნებაში. მაშასადამე, საბჭ თა რესპუბლიკაში, ერთის მხრი სოციალიზმის ყოველდღიური გა მტკიცებისა და იმათი რიცხვ შემცირებასთან ერთად, ვის ობიექტურად შესაძლებლობა აქ დარჩეს ექსპლოატატორად, ან შ ინარჩუნოს კაპიტალისტური ურ თიერთობანი, თავისთავად მცირ დება საარჩევნო უფლებაჩამორ მეულთა პროცენტი. არა გვგონ ახლა რუსეთში ეს პროცენტი ო სამ პროცენტზე მეტი იყოს. მე რე მხრივ, სულ ახლო მომავა ში საგარეო შემოსევის შეწყვეტ სა და ექსპროპრიატორთა ექსპრ პრიაციის დამთავრებას შეუძლი გარკვეულ პირობებში, შექმნ ისეთი მდგომარეობა, როცა პრ ლეტარული სახელმწიფო ხელ სუფლება აირჩევს ექსპლოატ ტორთა წინააღმდეგობის დათ გუნვის სხვა ხერხებს და შემ ღებს საყოველთაო საარჩევ უფლებას **ყოველგვარი შეზღუ ვის გარეშე**". (ლენინი, ტ. მე-2 გვ. 94 პარტგამომცემლობის მოცემა. 1935 წელი).

მგონი ნათელია.

ასეთია საქმის ვითარება ს კავშირის კონსტიტუციის პროექტ სათვის შესწორებათა და დამატებ თა მხრივ.

VI

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მნიშვნელობა

თუ ვიმსჯელებთ საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგთა მიხედვით, რომელიც თითქმის ხუთ თვეს გრძელდებოდა, შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ კონსტიტუციის პროექტი ამ ყრილობის მიერ მოწონებული იქნება **(მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის, დარბაზი ფეხზე დგება)**.

რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა კავშირს ექნება ახალი, სოციალისტური კონსტიტუცია, აგებული გაშლილი სოციალისტური დემოკრატიზმის საფუძვლებზე.

ეს იქნება ისტორიული დოკუმენტი, რომელიც მარტივად და სხარტად, თითქმის ოქმის სტილით ლაპარაკობს სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ფაქტებზე, კაპიტალისტური მონობისაგან სსრ კავშირის მშრომელთა გათავისუფლების ფაქტებზე, სსრ კავშირში გაშლილი, ბოლომდე თანმიმდევარი დემოკრატიის გამარჯვების ფაქტებზე.

ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ის, რაზედაც ოცნებობდნენ და განაგრძობენ ოცნებას მილიონობით პატიოსანი ადამიანები კაპიტალისტურ ქვეყნებში, უკვე განხორციელებულია სსრ კავშირში **(მქუხარე ტაში)**.

ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ის, რაც განხორციელებულია სსრ კავშირში, სავსებით შეიძლება განხორციელდეს სხვა ქვეყნებშიაც **(მქუხარე ტაში)**.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ არაგვგონია შეიძლებოდეს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საერთაშორისო მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება.

ახლა, როცა ფაშიზმის მღვრიე ტალღა აფურთხებს მუშათა კლასის სოციალისტურ მოძრაობას და ტალახში სვრის ცივილიზებული მსოფლიოს საუკეთესო ადამიანთა დემოკრატიულ მისწრაფებებს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია იქნება საბრალმდებლო აქტი ფაშიზმის წინააღმდეგ, აქტი, რომელიც ლაპარაკობს იმაზე, რომ სოციალიზმი და დემოკრატია უძლეველი არიან. **(ტაში)**. სსრ კავშირის ახა კონსტიტუცია მორალური დახმარ ბა და რეალური საყრდენი იქნ ყველა იმათთვის, ვინც ახლა ბრძ ლას აწარმოებს ფაშისტური ბარ როსობის წინააღმდეგ **(მქუხარე ტ ში)**.

კიდევ უფრო დიდი მნიშვნელო აქვს სსრ კავშირის ახალ კონს ტუციას სსრ კავშირის ხალხთათვ თუ კაპიტალისტური ქვეყნებ ხალხთათვის სსრ კავშირის კონს ტუციას მოქმედებათა პროგრამ მნიშვნელობა ექნება, სსრ კავშირ ხალხთათვის მას აქვს მათი ბრძოლ შეჯამების, კაცობრიობის განთა სუფლების ფრონტზე მათ გამარ ვებათა შეჯამების მნიშვნელო ბრძოლისა და გაჭირვების განვლი გზის შედეგად სასიამოვნო და სა ხარულოა გვქონდეს ჩვენი კონს ტუცია, რომელიც ჩვენს გამარჯ ბათა ნაყოფზე ლაპარაკობს. სას მოვნო და სასიხარულოა ვიცოდ რისთვის იბრძოდნენ ჩვენი ადამია ბი და როგორ მიაღწიეს მათ მსო ლიო - ისტორიულ გამარჯვებას. სიამოვნო და სასიხარულოა ვიც დეთ, რომ სისხლს, რომელიც უხვ დაღვარეს ჩვენმა ადამიანებმ ამაოდ არ ჩაუვლია, რომ მან თავი შედეგები მოგვცა **(ხანგრძლივი ტ ში)**. ეს სულიერად აიარაღებს ჩვე მუშათა კლასს, ჩვენს გლეხობ ჩვენს მშრომელ ინტელიგენციას. წინ გვამოძრავებს და გვიმაღლე კანონიერი სიამაყის გრძნ ბას. ეს განგვიმტკიცებს რწმენას ს კუთარი ძალებისადმი და გვრაზმა ახალი ბრძოლისათვის კომუნიზმ ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლა **(მქუხარე ოვაცია, მთელი დარბა ფეხზე დგება, მჭექარე „ვაშა", ს ერთო შეძახილები: „გაუმარჯოს ა ხანაგ სტალინს!" ყრილობა ფეხ ამდგარი მღერის „ინტერნაცი ნალს". „ინტერნაციონალის" შესრუ ლების შემდეგ ოვაცია ახლდება, შ ძახილები „ვაშა", „გაუმარჯოს ჩვე ბელადს ამხანაგ სტალინს!")**.

„ლიტერატ. საქართველო"

---

*) მგლებისა გეშინიან — ტყეში ნუ წახვალ. რედ.

ს ტ ა ლ ი ნ

დ. გაჩეჩილაძე

1

გავყევი ფიქრებს, და წარსულის შავი აჩრდილი
ჩემს წინ წამოდგა, ციხეების მესმის ხველება;
აი, სივრცეში აილუბლა ჯორჯიაშვილი
თავმოგრეხილი, გადმომდგარი სახრჩობელიდან.

მე თითქოს ვხედავ: აყოლილნი ბედის ძიებას,
ხელში ბოხჩებით, პატიმართა მკრთალი ჩრდილები,
უკრაინიდან, რუსეთიდან, კავკასიიდან
კატორღისაკენ დაზოოკილნი მირიჩხინებენ.—

ო, ის ქვეყანა, ყოველ ბელტში სისხლი გამჯდარი,
შორი ციმბირი, გაყინული ვარსკვლავთ კრებული,
და ციხეები, ციხეები რკინის ფანჯრებით,
ბრძოლათა გზებზე ჩალამებულ სადგურებივით.

მაგრამ შენ—როგორც ვარსკვლავთმრიცხველს შორით უცნია
ფიქრში მნათობი, უხილავი—გაბრწყინებულა, —
მუდამ ხედავდი აღმოავალ რევოლუციას,
თუმცა სიშორის შავი ნისლი მაშინ ებურა.

და მისი ხილვით, ციხეების შავ ჯურღმულებში,
სადაც სიბნელით ღამურებიც გაფითრდებიან,
რამდენი წელი დაგილამდა კობა ჯუღაშვილს,
რამდენი დილა ჩაფიქრებულს დაგთენებია.

ან და, რამდენჯერ ტყვეობიდან გამოქცეული,
შემოვარდნილხარ მაღაროში ღამეს ელვიანს,
და შემოკრებილ მუშების წინ, აზრებით რჩეულს,
კატაკომბებში ხელამართულს გიმეტყველნია.

ამას ვინ მოთვლის, აღმართულო ზეცის თაღამდე,
დახავსებული ქვეყანა რომ ცეცხლით გაფერე;
შენი ბრძოლების ძვირფას წუთებს დღეს ვინ აღადგენს,
დროთა ნანგრევში ამ გაბნეულ ციცინათელებს!

ახლა კრემლში ხარ, ოქტომბერის ზეცას ნამეხარს
გადმოადევგ და ნათელივით ყველგან ვრცელდები,
ლენინთან ერთად უდიდესი ხელოვანი ხარ,
მარქსის აზრების სამჭედლოში გამობრძმედილი.

და სად სიმშილი ანათებდა ყვითლად სახეებს,
სადაც სიცოცხლე ციხეების ჩრდილში სჭკნებოდა,
მილიონები, აღდგენილნი შენი სახელით,
დღეს შესდგომიან ახალ ქვეყნის აღმშენებლობას.

2

მაგრამ თუ მტერი ნაცნობ ხმალთა აკაშკაშებით
გადამწვანებულ ჩვენს ჰორიზონტს ამოანათებს,
რომ დაარბიოს დიდებული ჩვენი სამშობლო,
ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრეს ვით მოძალადე,—

დიდო ბელადო, შენ აიწევ ზევით, სულ ზევით,
მთელ დედამიწას გადასძახებ, კაცი ვეება,
და შორს მინდვრებზე, ტრამალებზე, დროშათა რხევით
დაიძვრებიან არმიები ცოცხალ ტყეებად.

მტერს შეუტიონ, საავკაცოდ ლონემოკრებილს,
მთამ მთას შეგრგვინოს, ცამ სივრცენი შესძრას ქუხილით,
რომ ამ გრიგალში, შავ შტოების აბობოქრებით.
ათასწლოვანი ეცემოდნენ ძველი მუხები.

რომ გადმოინგრენ ძველი ქვეყნის ყველა ფუძენი,
სადაც ჯერ კიდევ მონობისა ისმის ვაება,
და ცაში ნასროლ ყუმბარების მწარე ზუზუნი
მომღერლის ჩანგზე აჟღერებულ სიმად გაებას.

მღეროდეს იგი, დედამიწას, სხივით შემოსილს,
გარს ევლებიან მშრომელები თვალბრწყინვალენი,
შთაგონებული კომუნიზმის ხათელ ეპოსით
მათ წინ მიუძღვის გამარჯვებით დიდი სტალინი.

სიმღერა ბედნიერებაზე

სანდრო ეული

წინადაც კი მზე მზეობდა.
მაგრამ ჩვენთვის,—არა,—
მზე ქოხმახებს არ წვდებოდა
ჩვენს მთებში და ბარად.
ეხლა ის მზე ჩვენ გვინათებს.
ცეცხლად დაიღვარა,—
ბელადის ხმა ძალას გვმატებს—
გულმა გაიხარა.

ბედნიერი ქვეყნის გმირებს
დილით შრომა ელის,—
მათ ქვეყანა გააკვირვეს,—
ყველა მათ უმღერის.

არ გვქონია არც ერთი დღე
მხიარული წინად,—
გვწამდა: ჩქარა გადაიღებს
სისხლიანი წვიმა...

და ასრულდა,—ბრძოლა ჩვენი
მტერს დაუჯდა ძვირად,—
და ეპოქის დიდი დღენი
ბედით ჩვენ გვხვდა წილად.

4. თუ სამშობლოს ცისკიდური
ნისლით დაიფარა,
ბედნიერი ხალხის სისხლი
ისევ დაიღვარა...
ცეცხლად წამსვე აინთება
ქვეყნის კიდით-კიდე,
კანონი და ხალხის ნება
ურყევია ვით კლდე,

—

ვიშ, რა დღეა, რა ხალისი
რა უსაზღვრო ლტოლვა,
ზამთარშიაც დგას მაისი,—
ყვავილების თოვა.

ისტორიული დღეები

შალვა დადიანი

რა დიდი დღეებია! რა ისტორიული ყრილობა!

კაცობრიობის აზროვნების მწვერვალზე როგორ სწორ-უპოვრათ გადმოიყურება საამაყო დოკუმენტი სტალინური კონსტიტუციისა.

უდიდესი სამართლიანობა და თავისუფლებაა ჩაქსოვილი ჩვენი ეპოქის ამ შესანიშნავ თხზულებაში.

რასაც საუკუნოებით ნატრობდა კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი, მისი უდიდესი ადამიანები, ამ თხზულებაშია გამოთქმული.

აქ თავ-მოყრილია სინამდვილიდან წარმომდინარე ყველა სათავეები ჩვენი დიადი სოციალისტურ მშენებლობისა.

მის მტკიცე ბურჯებზეა დამყარებული.

და მიტომ არის ეგრე ნათელი, ეგრე გენიალურად სადა, ეგრე დამაჯერებელი.

ყოველი მისი მუხლი ბგერს ახალ, ვაჟკაცურ სიმღერად.

ეს არის სიმღერა განთავისუფლებულ პრომეთეოსისა.

და განა შეიძლება დღეს დუმილი?

განა ყველანი არა ვგრძნობთ შემოქმედების ახალ ძალთა-ძალის მოზღვავებას?

„ცალ-ცალკე და ყველა ერთად“.

პირველად ეს ვაჟკაცური სიმღერა უკვე დაგუგუნდა კრემლის დიდ დარბაზში 1936 წლის ნოემბრის 25-ს.

დაუვიწყარი თარიღი!

მისი გრიალი გაისმის კიდით კიდემდე და იწვევს მთელ მსოფლიოს დაჩაგრულ კლასთ და ეროვნებათ თავის უფლების მოსაპოვებლად.

ეს დღეც დადგება.

მას უმღერა უკვე ჩვენმა დიადმა სოციალისტურმა სამშობლომ დიდ სტალინის მძლავრი გულ-მკერდით.

და მალე იმღერებს ამ ბედნიერ სიმღერას მთელი დანარჩენი მშრომელი კაცობრიობა.

მილიონების მისწრაფებათა მესაიდუმლე.

პავლე იაშვილი

დიდი სტალინის მოხსენების წაკითხვა, ხელახლა იწვევს სურვილს მისი მეორედ, მესამედ და მრავალჯერ წაკითხვისა. ბრძენი მოაზროვნე, ფოლადისებური ლოღიკის მქონე ადამიანი, უმახვილესი პოლემისტი, და იმავე დროს შეუდარებელი ოსტატი ნათელი თხრობისა, მილიონების მისწრაფებათა მესაიდუმლე და საუკეთესო გამომსახველი, ასეთია სტალინი ყოველთვის. ეს თვისებანი კლასიკურად მჟღავნდება მის დაუვიწყარ მოხსენებაში, ხალხთა საამაყო დოკუმენტის, საკავშირო კონსტიტუციის შესახებ. მთელი ქვეყნის მშრომელები შეჰხარიან სტალინის ახალ მოხსენებას და აქ კიდევ ერთხელ ჰპოვებენ თავის იმედს, ნუგეშს, ნატვრებს და საუკეთესო იარაღს ბრძოლისათვის. ქვეყნიერებამ კიდევ ერთხელ დაინახა, რომ ძლევა-მოსილი საბჭოთა კავშირი ურყევია, რომ ლენინ-სტალინის ბოლშევიკური პარტია არის ერთად ერთი ძალა, რომელიც იხსნის კაცობრიობას ჩაგვრისაგან, მონობისაგან, რომ კაპიტალიზმის შერყეული სიმაგრეები უნდა დაინგრნენ საბოლოოდ.

სულ რამდენიმე სიტყვით და მახვილი მაგალითებით გაანადგურა სტალინმა ჩვენი კონსტიტუციის ბურჟუაზიული კრიტიკოსები და უიმედო სკეპტიკოსები.

მილიონები დარწმუნდებიან, რომ ჩვენი კონსტიტუცია, რომელიც არის რეგისტრაცია ჩვენი გამარჯვებების, არის ერთად ერთი დასაყრდენი ჭეშმარიტ დემოკრატიის განხორციელებისათვის.

ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასთან, ჩვენი ქვეყნის გლეხობასთან, სტალინის სიტყვებით გათანაბრებულია ჩვენი მშრომელი ინტელიგენციაც. ჩვენ, საბჭოთა მწერლები, თვალსაჩინო ნაწილი ვართ ამ ინტელიგენციის. ჩვენ დიდ სიხარულთან ერთად იბადება ახალი მოვალეობაც. ახალის ძალით, ახალის შთაგონებით უნდა წავიდეთ ჩვენ იმ დაუცხრომელ შრომის გზით, რომელსაც ანათებს ჩაუქრობელი ლამპარი—კომუნისტური პარტია, და ხალხთა უსაყვარლესი ბელადი, მამა, მასწავლებელი და პირველი წინამძღოლი იოსებ სტალინი.

ოქტომბრის წიგნის ახალი ფურცელი

მიხეილ ჯავახიშვილი

25 ნოემბერს რადიოაპარატის წინ ვიჯექი და ჩვენი საყვარელი ბელადის მოხსენებას სულგანაბული ვისმენდი. დიდმა სტალინმა ეხლაც აღმაფრთოვანა თავის სიღრმით, სისადავით და სინათლით.

კონსტიტუციის ყოველი მუხლი ერთი მეორეზე უფრო მნიშვნელოვანია, ხოლო მთლიანად იგი და სტალინის მოხსენებაც ახალი ფურცელია ოქტომბრის წიგნისა, რომლის ბადალი ისტორიაში ჯერ არ დაწერილა.

ფაშისტურ ქვეყნებში პიროვნება გაითელა, დემოკრატიის ნატამალიც კი მოისპო, ხოლო საბჭოთა კავშირში სწორედ ამ დროს იფურჩქნება უფლება შრომისა, განათლებისა, ფარული არჩევნებისა და თანასწორობა ერებისა, სქესებისა. თავისუფლების და ბედნიერების ეს ხარტია სტალინმა შესანიშნავად დაასაბუთა. საბჭოთა კავშირი უძლეველია და მას არც გარეშე მტრისა ეშინიან და არც შინაურისა. ახალი კონსტიტუცია ლახვარივით მოხვდა სოციალიზმის მტრებს და ამავე დროს მშრომელი კაცობრიობის გულში და ხელში საბრძოლველ დროშად გაიშალა. ამ დროშის ქვეშ პიროვნება, მთელი სიღრმე-სიგანით გაიფურჩქნება და საბოლოოდ განმტკიცდება ის საყოველთაო ბედნიერი ცხოვრება, რომელსაც კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი საუკუნოების მანძილზე მხოლოდ ოცნებაში ზრდიდა.

სტალინმა მძაფრი პასუხი გასცა იმ ბრმა „კრიტიკოსებს“ რომელნიც ირგვლივ უნდობლობას სთესავენ. სკეპტიკოსი უკვე ათასჯერ მოტყუვდა და ეხლაც გაწბილდება. ჩვენი უსაყვარლესი ბელადის სიტყვა და საქმე ნაღდია.

გამარჯვების ტრიუმფი

ალიო მაშაშვილი

25 ნოემბერი — საბჭოთა კავშირის დიად ხალხთა ყრილობის ეს ბრწყინვალე თარიღი — უდიდესი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში. ამ დღეს საბჭოთა კავშირის ხალხებს, მთელ მშრომელ კაცობრიობას ბედნიერება ხვდა მოესმინა დიადი ბელადის სიტყვები საბჭოთა ქვეყნის სინამდვილის სიბრძნით შთაგონებული. ამხანაგი სტალინის სიტყვებით მსოფლიო ერთხელ კიდევ დარწმუნდა სოციალისტურ ქვეყნის ძლევამოსილებაში. სტალინური კონსტიტუცია საბჭოთა კავშირის უძლეველ ხალხთა მიღწევების დემონსტრაციაა. იგი საბრძოლო პროგრამაა კაპიტალისტურ ქვეყნების მშრომელ მასებისათვის.

სტალინურ კონსტიტუციაში აღბეჭდილი სოციალიზმის გამარჯვებები უფრო მეტად გააცოფებს ჩვენს მტრებს. ჩვენი მიღწევებით გაბოროტებულნი ისინი უკანასკნელ ძალღონით შეეცდებიან შეაჩერონ ისტორიის ბორბლის ტრიალი. მაგრამ ამაოდ: „საქმე ესე მათზე არაა დამოკიდებული“. კიდევ ილაყბებენ ბურჟუაზიულ „დემოკრატიის“ მოციქულები, რომ „გააკრიტიკონ“ სტალინური ქვეყნის კონსტიტუცია... მერე? რა ფასი აქვს მაგ ლაყბობას? „რეგვენთათვის“ ხომ კანონი არ იწერება?“

დაე, ხარობდეს საბჭოთა ქვეყანა სტალინური კონსტიტუციის შარავანდედით!

დაე, იბრძოდეს კაპიტალიზმის წინააღმდეგ მშრომელი კაცობრიობა სტალინური კონსტიტუციის ბაირაღით!

შესანიშნავი დოკუმენტის ბრწყინვალე განმარტება

ალ. აბაშელი

ჩვენი ქვეყნის ყოველი მხარე ძირეულად შესცვალა უდიდესმა პროლეტარულმა რევოლუციამ. საბოლოოდ აღმოიფხვრა კაპიტალიზმი და მოისპო ანტაგონისტური კლასები. მუშათა კლასი, გლეხობა და მშრომელი ინტელიგენცია ქმნიან ერთ მთლიან ჰარმონიულ საბჭოთა საზოგადოებას, სოციალისტურ საზოგადოებას. ოქტომბრის რევოლუციის ეს უზარმაზარი მონაპოვარი მტკიცე, მყარ კალაპოტში ჩასჭედა სტალინურმა კონსტიტუციამ, რომლის საყოველთაო განხილვას ასეთი აღტაცებით გამოეხმაურა საბჭოთა კავშირის მოსახლეობა და მასთან ერთად მთელი მშრომელი კაცობრიობა. ჩვენი საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის მოხსენება ამ კონსტიტუციის შესახებ წარმოადგენს ამ შესანიშნავი ისტორიული დოკუმენტის ბრწყინვალე განმარტებას და მისი საფუძვლების შეუდარებლის დამაჯერებლობით დასაბუთებას.

საბჭოთა მწერლობამ უნდა მოიკრიბოს მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგია, რათა ღირსეულად ასახოს სოციალისტური საზოგადოების დავაჟკაცება.

ძეგლი ახალი ცხოვრებისა

ვალერიან გაფრინდაშვილი

დიდი ბელადის მოხსენება საბჭოთა კონსტიტუციის შესახებ არის შესანიშნავი დასაბუთება ამ ისტორიული დოკუმენტისა. ეს კონსტიტუცია, რომელიც შთაგონებულია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა გამარჯვებებით და ბელადის მგზნებარე აზრით და რკინის ნებისყოფით, კიდევ ერთხელ ამჟღავნებს საბჭოთა კავშირის ძლიერებას, აჯამებს ჩვენს მიღწევებს და, როგორც ჩაუქრობელი კანდელი, წარუძღვება მსოფლიო პროლეტარიატს მის ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ. ჩვენმა ძლევამოსილმა ეპოქამ შექმნა ეს სტალინური კონსტიტუცია და ბელადის მოხსენებაში ოქროს სიტყვებით ამეტყველდა ეს საუკეთესო განძი მოწინავე კაცობრიობისა. გენიალურმა ბელადმა მოქანდაკის ჯადოსნური ხელით ჩამოაყალიბა ჩვენს წინაშე ეს შეუდარებელი კონსტიტუცია, როგორც გრანიტიდან გამოკვეთილი ძეგლი ახალი ცხოვრებისა.

ის დიდი როლი, რომელიც მინიჭებული აქვს კონსტიტუციაში საბჭოთა ინტელიგენციას, ჩვენს აღფრთოვანებას იწვევს და ჩვენ, მწერლები, გასკეცებული ენერგიით განვაგრძობთ მუშაობას ლიტერატურულ ფრონტზე, რომ გავამართლოთ ჩვენზე დამყარებული იმედები და დავიმსახუროთ სტალინური ეპოქის ხელოვანთა სახელი.

„ამხანაგებო! მრავალი საუკუნის წინათ უდიდესი მათემატიკოსი ოცნებობდა ეპოვნა წერტილი, რომ მასზე დაყრდნობით დედამიწის სფერო შემოეტრიალებინა. გავიდა საუკუნეები, და ეს დასაყრდენი არა თუ ნაპოვნია, არამედ შექმნილია ჩვენი ხელით. არ გავა ბევრი წელი, როცა ჩვენ თქვენთან ერთად, დავეყრდნობით რა სოციალიზმის მონაპოვარს ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, დედამიწის ორსავე სფეროს კომუნიზმის გზისკენ შემოვატრიალებთ“.

ს. მ. კიროვი.

ლენინგრადის პარტიული აქტივის 1933 წლის 17 იანვრის საერთო საქალაქო კრებაზე წარმოთქმული სიტყვიდან.

„როცა იხსენებ სერგეი მირონის-ძე კიროვის ბრძოლისა და მუშაობის წლებს, კვლავ თვალწინ გიდგება მისი დაუვიწყარი სახე მტკიცე, უდრეკი ბოლშევიკ-ლენინელის, შესანიშნავი ორგანიზატორის, მგზნებარე სახალხო ტრიბუნის, რომლის პიროვნებაში შეხამებული იყო გამჭრიახი პოლიტიკური ხელმძღვანელისა და ამავე დროს უდიდესი, ნამდვილი ბოლშევიკური სამეურნეო მუშაკის ნიჭი.

კიროვი სიცოცხლით სავსე იყო და მას უყვარდა სიცოცხლე, რომელიც წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის“.

ლავრენტი ბერია.

სერგეი კიროვი

ირაკლი აბაშიძე

მარად ცოცხალი,
უკვდავი და განუგმირავი,
ჰორიზონტებშიც
ჩაუტევი, ჩაუკეტელი,
კრემლის კედელში
სამუდამოდ ჩაწვა კიროვი.
და სამუდამოდ მაგარია
კრემლის კედელი.

მარად ცოცხალი
კრემლს დარაჯობს,
კედლებს ზვიადებს,
ბნელ სამარეში
ჩაუსვლელი, ჩაუკრავი,
ყოველთვის ასე
სახელოვან და უდიადეს
სადარაჯოზე მქუხარებდა
ჩვენი კიროვი.

მარად ცოცხალი
მხიარული, განუგმირავი,
დიდ ლენინგრადის აღტაცებას
ისევ მოიტანს,
დედა-ქალაქში ესალმება
ზეიმს კიროვი
და გადასცქერის
გახარებულ წითელ მოედანს.

შეჰყიჟინებენ,
ვარდს აყრიან კარგს და უნაზესს,
დროშებს ფრთიანებს
მოედანზე უხვად გადაშლილს,
დიდ მავზოლეის სიმაღლეში
ჩანს ტრიბუნაზე
ბრძენი ბელადი,
აღმართული რუხ მაზარაში.

თითქოს ბელადი
თანამებრძოლს ახლაც აქ ელის,
მისი რკინის ხმაც
საყვარელი ესმის ლოდინში,
მაგრამ არა ჩანს
განუხრელი ლენინგრადელი,
კრემლის კედელში
საუკუნოდ წევს მირონიჩი.

მარად ცოცხალი,
ურყეველი, განუგმირავი,
ჰორიზონტებში
ჩაუტევი, ჩაუკეტელი,
კრემლის კედელში
სამუდამოდ ჩაწვა კიროვი.
და სამუდამოდ
მაგარია კრემლის კედელი.

1936 წ.

მირონიჩი იცოცხლებს მუდამ

ორი წლის წინად ვერაგი მტრის მუხანათური ხელით თავის სახელოვან საბრძოლო პოსტზე დაეცა უშიშარი, მგზნებარე რევოლუციონერი, ლენინის და სტალინის ერთგული მოწაფე, ჩვენი მრავალერიანი სოციალისტურ სამშობლოს მშრომელთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი და დიდი მეგობარი სერგეი მირონისძე კიროვი.

დღეს, როცა სოციალიზმის ქვეყნის რჩეულ შვილთა ყრილობა ამტკიცებს ოცი წლის გმირულ ბრძოლით და შრომით მონაპოვარს, დიადი სტალინური კონსტიტუციის პროექტს, ჩვენი გონება ვერ ურიგდება იმ ფაქტს, რომ ამ საამაყო შვილთა შორის ვერ ვხედავთ ერთ-ერთ საუკეთესოთაგანს, სერგეი მირონისძე კიროვს, რომლის სიცოცხლე ამ კონსტიტუციისათვის ბრძოლის განსახიერებას წარმოადგენდა.

ამ ორი წლის წინად, როცა ტროცკისტულ-ზინოვიევური კონტრრევოლუციის ნაძირალები, ფაშიზმის ეს პირსისხლიანი ძაღლები, კიროვის მკერდს ტყვიას უმიზნებდენ, ეგონათ რომ ამით შეარყევდენ პარტიის ბოლშევიკურ დარაზმულობას, გასტეხდენ პარტიის სიმტკიცეს, მაგრამ გაუცრუვდათ იმედები ხალხის ამ დაუძინებელ მტრებს. ბოლშევიკური პარტიის რიგები არა თუ შედრკნენ, არამედ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ სტალინური ცენტრალური კომიტეტის და პარტიის საყვარელ ბელადის დიდი სტალინის გარშემო. კიდევ უფრო მეტი სიყვარულით, კიდევ უფრო მეტი თავდადებით პარტიასა და მის ბელადს რკინის კედლად შემოერტყნენ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხების მრავალ მილიონიანი მასები, სოციალიზმის მშენებელი ხალხი.

გავიდა ორი წელიწადი უკიროვოდ, მაგრამ განა ამ ორ წელიწადში აღმოჩნდება თუნდაც ერთი ისეთი დღე, რომელიც კიროვის ბრწყინვალე სხივით, კიროვის დიადი საქმით არ იყოს განათებული?

ეს დიდი სტალინელი პარტიის ხელმძღვანელთა რიგებს გამოაკლდა, მაგრამ განა კიროვი არა სჩანს თვითეულ სტახანოველში, რომელიც დაუფლებია ახალ ტექნიკას და იძლევა სოციალისტურ შრომის განსაცვიფრებელ ნაყოფიერებას?

ფიზიკურად ამხ. კიროვი ჩვენთან არ იყო, მაგრამ განა კიროვის ბოლშევიკური შეურიგებლობა, კიროვის რევოლუციური სიფხიზლე არ სჩანდა ყოველ საბჭოთა ადამიანში, როცა მუხანათი მტრის მზაკვრული მოღალატეობით განრისხებული ხალხი ერთხმად მოითხოვდა ტროცკისტულ-ზინოვიევურ ქვეწარმავალთა დაუნდობელ განადგურებას?

ორი წლის წინად მოსისხლე მტრის ვერაგულმა ხელმა ძვირფასი და პარტიის ხელმძღვანელთა სახელოვან რიგებს გამოსტაცა ამხ. კიროვი, მაგრამ განა კიროვის სიხარული, კიროვის აღტაცება არ ისმის საბჭოების დიად მერვე ყრილობის ყოველი დელეგატის სიტყვაში სტალინურ კონსტიტუციის სიდიადეზე?

დღესაც მხურვალე მოწოდებად, საბრძოლო ყიჟინად გაისმის სამი წლის წინად წარმოთქმული მისი სიტყვები:

„დე! იცოდეს ყველამ, ვისაც სურს თავისი უიმედო საქმეები საბჭოთა კავშირის ხარჯზე გამოასწოროს, რომ ჩვენ შევძლებთ მოვაწყოთ მტრის სრული განადგურება ფრონტზე, შევძლებთ გავაჩაღოთ პროლეტარული რევოლუცია იმპერიალისტური არმიების ზურგში, შევძლებთ გავაღვიძოთ მწვავე სიძულვილი მონათმფლობელებისადმი კოლონიებსა და ნახევრად კოლონიებში“.

დღეს კიდევ უფრო მძლავრად, ვიდრე ოდესმე ქუხს მირონიჩის მომწოდებელი ხმა,—ვიყოთ დაუნდობელი მტრისადმი, ახლო არ გავაკაროთ მტერი ჩვენი ქვეყნის საზღვრებს, ვიცოცხლოთ და ვიბრძოლოთ ჩვენს აყვავებულ საბჭოთა მიწაზე მხოლოდ იმისათვის, რომ განუმტკიცოთ ბედნიერი ცხოვრება საბჭოთა კავშირის ხალხებს, ლენინ-სტალინის დიად ეპოქის შთამომავლობას.

კიროვი იცოცხლებს ჩვენს ყოველდღიურ შრომასა და ბრძოლაში, კიროვი ცოცხლობს და იცოცხლებს მანამდე, ვიდრე არ შესწყდება კაცობრიობის ბრძოლა საუკეთესო მერმისისათვის.

პროლეტარული რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი საბჭოთა ხალხის საამაყო შვილი, ჩვენი მშობლიური სერგეი კიროვი იცოცხლებს მუდამ.

კულტურის სასახლე ფოთში

კოლხიდის დედაქალაქს სამართლიანად შეუძლია იამაყოს თავისი თეატრის ახალი შენობით. არც ერთ სარაიონო ცენტრს, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერ-კავკასიაში, არ მოეპოვება ასეთი სათეატრო შენობა. იგი წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე თავისი გრანდიოზულობით, ზვიადობით და მოკაზმულობით.

მნახველს აოცებს ამ თეატრის ნაგებობა ჯერ თავისი გარეგნული სიდიადით და შემდეგ შინაგანი მორთულობითა და რაციონალური გამოყენებით.

ეს ვარდისფერი გოლიათი მრავალი ათი კილომეტრის მანძილზე მოსჩანს როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდან. განსაკუთრებით წარმტაცია იგი შორიდან ღამით, როდესაც თეატრის ყველა ჰალი ანთებულია და ოთხივე მხრივ ელვარე სხივი გამოკრთის მისი ყველა სართულის მრავალი სარკმელიდან.

ჩვენი ახალი თაობა დღეს შეუპოვრად ებრძვის კოლხიდის პრეისტორიულ ჭაობებს, აყვავებულ ბაღებად აქცევს ჭაობისაგან წართმეულ მრავალ ათასს ჰექტარს, ქმნის ახალს, შეძლებულსა და კულტურულ ცხოვრებას.

კოლხიდის მშენებლობის გრანდიოზულ მასშტაბებს სწორედ ისეთი ბუმბერაზი მოცულობის კულტურის სახლი შეეფერებოდა, როგორიც მიიღეს ფოთის მშრომელებმა.

რა იპყრობს მნახველის თვალს ფოთის თეატრის ახალ გარეგნობაში? უპირველეს ყოვლისა, ტენდენცია მისი მშენებლობისა — გამოეყენებინათ ეს კულტურის სახლი საჯარო მიტინგების, მანიფესტაციების, ზეიმების, პოლიტიკური ცხოვრების მაღალ ტრიბუნად. აღმოსავლეთის მხრიდან სასახლეს თაღიან-კამარიანი კედლის გასწვრივ მიშენებული აქვს ფართო და გრძელი აივანი, ორივე მხრიდან განიერი კიბეებით ჩამოსული ეზოში. ეს აივანი გადმოჰყურებს ვრცელ მოედანს, რომელიც ქალაქის სუბტროპიკული მცენარეებით აყვავებულ ბაღს აკრავს.

მაგრამ არქიტექტორის დიდი ნიჭი და გონებამახვილობა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება, როდესაც შენობის შინაგან განწესრიგებას გაეცნობით. აქ რამდენიმე სართულად არის გაყოფილი სასახლე. პირველ სართულში მოთავსებულია თეატრის სცენა მბრუნავი წრით და ფართო, შვიდას-ადგილიანი დარბაზი, მოხდენილი ლოჟებით. სცენას აკრავს მსახიობთა და რეჟისორთა ოთახები, დეკორაციის საწყობი, არტისტთა ფოიე. დარბაზს დერეფანი აქვს შემოვლებული, უდიდესი გემოვნებით მოხატული და მოკაზმული. დარბაზში კედლები შემკულია მოხდენილი კოლონადებით და ძველი ქართული ორნამენტებით, სადაც ოსტატურად არის ჩაწნული ახალი კოლხიდის ფლორის ნიმუშები.

ქვედა სართულში მოთავსებულია ბუფეტი, გასახდელი, თამბაქოს მოსაწევი ოთახები, სამკითხველო, ბიბლიოთეკა.

ზემო სართული დათმობილი აქვს კონფერენც-ზალას, კინოს დარბაზს და სხვა ოთახებს.

სულ მაღლა, გუმბათის ირგვლივ, აივანია მოწყობილი, საიდანაც იშლება ჰორიზონტები და მოსჩანს კავკასიონის თოვლით დაფენილი კედლები, გურიის მთები, პალიასტომის ლურჯი სარკე, სამეგრელოს დაბლობი, შავი ზღვის თვალუწვდენი ბზოკარი მკერდი...

რამდენი გემოვნება, რამდენი გამჭრიახობა, ცოდნა, ფიქრი და ნიჭია ჩაქსოვილი ამ შესანიშნავი ძეგლის ყოველ დეტალში! ინჟინერი ტერ-სტეფანოვი, ავტორი ამ სამაგალითო ძეგლისა, წარმოგვიდგება ამ ნამუშევრით, როგორც დიდი მასშტაბის ხუროთმოძღვარი და მხატვარი.

ფოთის მშრომელნი სიამაყით შეჰხარიან კულტურის თავიანთ სასახლეს. დიაღაც, მათ აქვთ საამაყო და თავის საქები ობიექტი! ფოთის პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაკები, რომელნიც იყვნენ ჩაბმულნი ამ დიდ მშენებლობაში, უდიდესი და გულწრფელი მადლობის ღირსნი არიან საქართველოს საბჭოთა საზოგადოებრიობის მხრივ.

ა. ლ.

პირველი ჭრილობა*)

იაკინთე ლისაშვილი

ლით სოლომონი გავიდა ეზო-თემ-შარის ნაპირას გამართულ მიაშურა, ანკარა წყლით პირი ბანა და იქვე ჩამოჯდა.

და. რაღაც ჯანსაღი ნაკადი ნდა ამ ცივ წყალს მოხუცის ებში. თითქოს თვით ბუნების ხლებელ წვეთს იერთებსო ი. თითქოს მოხუცის მდორე, სისხლს აახლებდა ეს ცივი !

ი, გადავსწყვიტე, შევდივარ ტივში! კი, უკვე შევდივარ!— სოლომონის ზურგს უკან არაკა ვიღაცამ.

ომონი იქით მიბრუნდა. თვა-ვლო საშუალო ხნის, გაბურ- ესტატე გურამაძეს, რომლის ული თვალები ნათლად მოწ- რომ ის ღამე მან უძილოდ ა.

შეეკითხა, რომ მიპასუხებს?" ა სოლომონმა და გაიღიმა. ტე მიუხალოვდა ღარს, უნა- გამოთლილ ქვაზე ჩამოჯ-ყებული ამბავი განაგრძო.

თი ღამე არაფერია. საკით- მოვარკვიე.

დიხარ?

დივარ!—გადაწყვეტით მიუ-ტემ.—დავგლახდი კაცი, რა ლოსოფია სჭირდებოდა აქმეს. გამოყეყეჩებული გი- შორიდან, გაბრუებულ ტები ფრინავდა.

ყოჩაღ, ესტატე! თუ ეს , მეც მოგილოცავ.

დ-მოვიხედე და შემეშინ-ე მეგონა, ყველანი ჩამომ- რიყეზე მარტო დამტოვეს ლოდ ვიღრჩევი. გუშინ კო- ბიჭებმა მინდვრები გას- საღამოზე ცეცხლი დაანთეს რები დააგუგუნეს. ჯგუფმა დააბინავა და იქაც სიმღერე-ეს. მესამე ჯგუფმა შემა , და იქაც სიმღერები. ვიგრ- გაიყო, ფიქრები გამეხა. რტო და მიწას დავყურებ-ონ! ჩემი მეგობარი და ძმა მიერიდან აღარ მოგე-

ომონი სიამოვნებით უსმენდა ს. გრძნობდა, რომ ესტატე ამბობდა, სწორედ იმაზე ობდა, რაც მან იგრძნო და გრძნობდა, რომ ახლა ირ ქვაზე ჩამომჯდარი ეს- აღარ არის, რაც იყო გუ-დღეს სხვანაირ ესტატეს

ალო? ერთმა ღამემ რო-ბრუნა ადამიანი...

ცოდა, თუ ასეთი ყოჩაღი ჩვენი გიორგი!—ბოლოს მატა ესტატემ.—გაძვალ-ლ კაცმა თითქოს ხორცი კი, კარგათ მიდის თქვენი საქმეები. აბსუს ბიჭობას! კოლექტივმა დაამარცხა ჩვენი სევდები. კი, მე თანახმა ვარ.

ესტატემ ამბავი უკვე მოათავა და ჩამქრალი ჩიბუხი ხელის გულზე დაბერტყა.

სოლომონმა ისევ ესტატეს ფერმკრთალ სახეს შეხედა და თვალწინ წარმოუდგა მთელი წარსული, რომლის სუსხს ესტატე გადურჩა და ახლა იმავე წარსულისაგან ძლივს ახერხებდა იგი გაქცევას. თითქოს ეს, სიღრმეში ჩაცვენილი თვალები ახლაც კი ატარებდა იმ ძველ სიმძიმეს და ამ მიმხმარ შუბლიდან იმ ძველმა ტკივილებმა ოფლად გამოჟონა.

„ჰო, ჩემო ესტატე! რათ გინდა ის. რა მოგიტანა დაბეჩავებისა და დარბევის გარდა"—იფიქრა სოლომონმა და ისევ ესტატეს თვალი გაუსწორა.

— ჰო, ახლა ხომ ჩვენი ხარ. ასე სჯობია. კერძო სიხარულს ჩვენთან ჭირიც კი აჯობებს. ახლა მე გეტყვი: უკან რომ მიიხედო, ზიზღით მიაფურთხე. ყველაფერი წინ არის, წინ. წარსულის კივილს ყურს ნუ ათხოვებ.

უკვე იღვიძებდა მთელი სოფელი: საქონლის ბღავილი, ძაღლების მოხშირებული ღრენა და ყეფა. ადამიანთა ჩოჩქოლის ხმები. ზარი დარეკეს.

სოლომონი სწრაფად წამოდგა, სახლისაკენ აჩქარებით წავიდა. ესტატეს გასაგონად წარმოსთქვა:

— ჰო, კარგი დრო გასულა. უკვე გვეძახიან.

— კი, კი. მე მოვალ, მე ჩქარა მოვალ!—თავის მხრივ მიაძახა ესტატემ, ისიც წამოდგა და სახლისაკენ გასწია.

რამდენიმე კაცმა და ქალმა აჩქარებულის ნაბიჯებით ჩაიარა იმავე გზაზე.

უკვე ნოდარიც გარეთ გამოვიდა და ისიც გვერდზე მიუხედავად უკან გაედევნა წინ წასულ ხალხს. ნაბიჯებიდანაც კი კარგად სჩანდა, რომ მისი ფიქრები ახლა სხვა არის, რომ ეს ფიქრები და აზროვნების მანძილი ახლოს თავდებოდა—ერთ წერტილს უმიზნებდა და იქვე წყდებოდა. ნაბიჯებს მაინც მიჰყავდა იგი, მაგრამ ამას ჭკუა არ ახლდა, აზრი არ ახლდა.

ახლოს.

აი, ეს არის, მივიდნენ კიდეც. იქ, რამდენიმე კაცი შეგროვილა. ისმის ჩოჩქოლი. ჯგუფებად დაიყვნენ და უკვე წავიდნენ.

კოლექტივის თავმჯდომარე გიორგიც აქვეა და თავის გრძელ ხელებს მოუსვენრად ატრიალებს ჰაერში. იგი ჯავრობდა და ხმა მაღლა უსაყვედურებდა იმათ, ვინც ჩაძინებული თვალებით მოვიდა და ფეხს ძლივს ადგამდა.

— მე ვამბობ, რომა, შე ოჯახქორო, ღამურა ხომ არ ჩაგვარდნია თვალებში, აღარ გაიღვიძებ?—მიმართა გიორგიმ დაბალ, სქელ ახალგაზრდას, რომელსაც თვალი ეხუჭებოდა და ნახევრად დაღებული პირიდან ლორწო სდიოდა.

— მე?—თითქოს ახლა გაიღვიძა, გაკვირვებით იკითხა დაბალმა გენომ და თვალი გამოახილა. ამ დროს ვიღაცამ ჩამოიარა, გენოს ხელი მაგრა მოხვია და წაიყვანა.

— წამოდი, გენო!—ჩასძახა მან და გენოც ბაჯბაჯით გაჰყვა ბრიგადირს.

ამ სამარცხვინო სურათის ნახვაზე ნოდარიც დარწმუნდა, რომ თავმჯდომარის საყვედურს ველარ აიცდენდა. ისევ მექანიკურად აუჩქარა ნაბიჯს და შეეცადა დასწეოდა თავის ბრიგადას. გიორგიმ გვიან შენიშნა ის და უკან ჩამორჩენილ ნოდარს საყვედური თვალით აუწყა.

ნოდარი უკვე დაეწია თავის ბრიგადას, რომელსაც სოლომონი წინ მიუძღოდა. ის მძიმე ნაბიჯებს რწმენით მიადგამდა და მთელის მკერდით თავისუფლად სუნთქავდა. მან ახლა უკან მიიხედა, სახე შეილრუბლა და მანაც თავისი დიდრონი თვალებით საყვედური აუწყა შვილს.

ნოდარი თითქოს შეკრთა ამ შემოხედვამ, გუშინდელი იჭვები კვლავ გაუცოცხლდა, ახლანდელ, უადგილო ფიქრებსაც გონების თვალით ზევიდან დახედა, — სირცხვილი იგრძნო.

რათ უნდა მომხდარიყო ასეთი რამ? რა აკლია ნოდარს, რით არის იგი სხვაზე უარესი, რომ ასე ულირსად იგრძნოს თავი!—მამის შემოხედვაც კი აშინებდეს და გულში ჩხვლეტას აგრძნობინებდეს?.

აი ეს ქვეყანა: ნისლის თმებით შევარცხნილი მთები და ხეობები. ცივი, ანკარა მდინარეები! სულში ჩასული, რაღაც შინაგანი გრძნობით გამტკბარი ჩანაჩქერის ხმები! რა არის კიდევ, რა უნდა იყოს კიდევ საჭირო, ამაზე დიდი?—ამხანაგები? სიცოცხლითა და სიხარულით აღსავსე მათი სახეები, მხიარული ყიჟინა, სიმღერები, მოსწრებული სიტყვები —ყველაფერი აქ არის, აქ! მათი ცხოვრება ჯანსაღია და ისე სრული, როგორც ის ბუნება, რომლის წიაღში ისინი იშვენ და ცას შეხედეს. მათი ცხოვრების ახალი გზებიც ისეა შეფრქვეული, იმავე ულრმეს, განუსაზღვრელად დიდი სიხაროლით, როგორც მათ გარშემო მდებარე მთები ნისლის ფერფლით!

და აქ კაცმა ვერ იგრძნოს შვება? რა არის იგი, რომელიც შინაგასი გუგუნით გულის ყოველ ძარღვს თავისაკენ. ეზიდება და ყოველივეს განადგურებით ემუქრება?!

დასძლევს თუ არა ამას ნოდარი, გაიმარჯვებს თუ არა საშინელ ძალაზე, რომლის ხმა, რომლის მუსიკა სულ სხვა ქვეყნიურ ჰანგებს აჟღერებს?!

მდინარეები.

თითქოს ნოდარის ძარღვებში გარბოდა ახლა ეს პატარა, რაღაც თავის საკუთარ ხმაზე აჩხრიალებული მდინარეები.

უკან ჩამორჩენილი ნოდარი უკანასკნელად შეუერთდა გზაზე ვეება ბუმბულივით აჯორებულ ნისლს. ადამიანები შიგ ჩაიკარგნენ და ხანგამოშვებით რათი თავები ზღვაში ტალღებგადასულ კუნძულებივით ამოიწევდნენ.

კიდევ კარგა ხანს სცურავდნენ ისინი ამ ნისლთა ზღვაზე. უეცრად შეჩერდნენ, სამუშაო იარაღი მხრებიდან ჩამოიღეს და ნათხარ არხთან ერთად დაირაზმნენ.

ნისლი [illegible].

დილის მზე თბილ წყაროსავით შეეპკურა მათ სახეებს.

ისევ ციოდა.

სოლომონმა დაჰყო სამუშაო. ყოველ ჯგუფს თავისი საქმე გაუჩნდა... სხეულის განუყრელ ნაწილად შეიერთეს სამუშაო იარაღი და საერთო ძალით მიწას ეკვეთნენ. მიწას შეებრძოლა თვით სოლომონიც, რომლის დამჯდარი, პირსავსე გამომეტყველება წარის ყოველ დაკვრაზე ახალი რწმენის, იმედების შადრევანს ღვრიდა.

ხანი გავიდა.

დაუდეგარმა ახალგაზრდობამ დამძიმებულ შრომის პასუხად სიმღერის ცეცხლი გააჩაღა და რამდენადაც მძიმდებოდა მისი შრომა, იმდენადვე მაღლდებოდა მისი სიმღერა.

მხოლოდ ნოდარი სხვავდებოდა ყველა მათგან. ხმას არ იღებდა. თავჩაქინდრული ნათხარ მიწას ღრმად ჩასცქეროდა და გააფთრებით ურტყამდა ბარს ქვიან ნიადაგს.

კარგია, მიწას ენა რომ არ აბია. პასუხს ვერ იტყვის. ნოდარს კი აქვს ენა, აქვს ფიქრები, აქვს სურვილები, — საკუთარი გატაცებები.

რამდენიც გნებავთ, ჩაასხით ამ მიწაში—ყველა ეს ფიქრი, ყველა სურვილი, — მისწრაფებები. სულ ერთია, პასუხს ვერ მიიღებთ და ეს შავი მიწა ყველაფერს აიტანს.

რამდენი საუკუნე ჩასძახოდა ადამიანი ამ ულრან მიწას, რომ მისი პასუხი ერთხელ მაინც მიეღო, მაგრამ ამაოდ!

ბოლოს კი ისევ უხმოდ, ისევ უსიტყვოდ [illegible] შეგიერთებს და ამას ჰქვია მიწის პასუხი.

ნოდარს ეგონა, რომ ოდნავი მსგავსება მაინც კი არის: რამდენად ღრმა და უძიროა ეს დედამიწა, იმდენად ღრმა და უსაზღვროა მისი ფიქრები.

მეგობრის ხმამ შეაკრთო ნოდარი. ის გამოერკვა. რა უნდათ მასთან, რატომ არ ეშვებიან ამხანაგები? ის ხომ მუშაობს გააფთრებით, თავდავიწყებით. და სხვა კიდევ რა არის საჭირო? სიმღერა და სიცილ-თამაში ყველასათვის ხომ არ არის სავალდებულო?

შრომის ხმაური უფრო მძაფრდებოდა, უფრო მჭიდროდ ინასკვებოდა და შეუმჩნევლად მათ თვალის წინ ხახას აღებდა ვეება არხი.

აი, უკვე მიწას დაანარცხეს ცამდის აწვდილი ლამაზი ფიჭვი, რომელიც არხის არეში მოხვდა. მისი გრძელი, ცრემლნადენი ფესვები რამდენიმე ადგილას ბარითვე გაჩეხეს და ბეგობზე დაჰყარეს.

— ხომ ამოვაგდეთ კულაკის ფესვები!—იხუმრა ერთმა თმახუჭუჭა, [illegible] თვალება ახალგაზრდამ და სხვებმაც სიცილით გასცეს პასუხი.

უკვე სადილობის დრო მოახლოვდა. მთის მწვერვალიდან ფიჭვნარის რაყაში გაცრილი სხივები ესხმოდა მიწაზე დახრილ მუშათა ზურგეებს, რომლებიც ისე გულმოდგინედ, თავგამეტებით არღვევდნენ რიყეს, თითქოს დედამიწა უნდა გახვრიტონო.

მუშაობა შეჩერდა.

ოფლად დაღვრილ, გახურებულ სხეულებს ორთქლის ბუღი ხარბად ასდიოდა.

სოლომონმა ჩოხის კალთით შეიშრო სახეზე ღვარად დასხმული ოფლი და სამუშაოების შემოწმებას შეუდგა. შემოწმება თავიდან დაიწყო და ბოლომდე დაჰყვა. გამოირკვა, რომ უმრავლესობამ სადილობამდე ერთი დღის ნორმას გადააჭარბა. იყო ზოგიერთი ჩამორჩენილიც, რომელთა მცირე ჯგუფს გენოც ეკუთვნოდა. იგი თითქოს ძალიან ცდილობდა, ხელსა და მთელ ტანს შეუსვენრად ამოძრავებდა, მაგრამ საქმე ძლიერ ცოტა გამოსდიოდა.

განსაკუთრებით ნოდარის მუშაობამ გააოცა სოლომონი: მას თითქმის ყველაზე მეტი მალა დაეხარჯა, ყველაზე მეტი გაეთხარა მიწის წაალი, მაგრამ ალაგ-ალაგ არხის კედლები უადგილოდ იყო შეჭრილი.

არასოდეს ასეთი რამ არ მოსვლია მას. იგი ყოველთვის ახერხებდა მოწინავეთა რიგებში დგომას და პირველობას. ახლა კი რა დაემართა?

სოლომონს გული უკვდებოდა, ვერ ინელებდა, როდესაც უცქეროდა თავის ერთადერთი შვილის—ნოდარის „წახდენას" (ასე იტყოდა ხოლმე სოლომონი მსგავს შემთხვევაში). ის კიდევ უხმოდ, დიდხანს დაჰყურებდა იმავე არხს, თითქოს ახლად გათხრილ საფლავთან დგასო.

მამის გაოცების მიზეზი ახლა თითქოს ნოდარმაც გაიგო და ეს ტანმოსული, მაღალი ჭაბუკი ისე მოიკუნტა, თითქოს ბურთად გადაიქცაო.

მამა უხმოდვე გაშორდა, რამდენიმე ნაბიჯი მოსხლეტილად გადასდგა წინ, ზევით ცას შეხედა, ღრმა ამოსუხთქვით ოფლიან შუბლზე ხელი გადისვა.

გამშეშებულ ნოდარს იგივე, თმახუჭუჭა ჭაბუკი მიუახლოვდა. ახედდახედა და სამალადევი ღიმილით ხმადაბლა ჩაურთო:

— სიყვარულმა იელვა, ყმაწვილო?

—რაო?!—თითქმის დაიყვირა ნოდარმა და თვალები აანთო.

— ეთერი, ეთერი!—უფრო ხმამაღლა, თან ბრაზის ჩართვით მიაძახა ისევ ჭაბუკმა და აღშფოთებულ ნოდარს ხედვა გაუსწორა.

ნოდარს თითქოს ჩაქუჩი ჩაჰკრეს თავში—თვალებზე ბნელი გადაეფარა, ტანი აუთროლდა და თავის ძველ მეგობარ კოტე მშვიდობაძეს ცოფიანივით ეცა უეცრად. კოტე გაუძალდა, თვითონაც ხელი მაგრა ჩასჭიდა, მაგრამ ნოდარი ისე გააფთრებით უჭერდა ყელში, რომ ძველი მეგობარი კინაღამ წაალრჩო.

შეიქნა ხმაური, აურზაური. მოჩხუბარნი ჩქარა გააშველეს. ნოდარი ჯერ კიდევ გონს არ მოსულიყო, როდესაც მამის მრისხანე თვალებს შეხედა.

— ჰო, გაგიჟდი ხომ!?—კარგა ხნის შემდეგ საყვედურით მიმართა შვილს. რამდენიმე ნაბიჯით გაშორდა, ისევ შემობრუნდა და იმავე ადგილას გაშეშებულ, თავჩახრილ შვილს მიუახლოვდა.

— ჰო, შენ ამ გზით დაიღუპები, დაიღუპები! — დაუმატა სოლომონმა რაღაც ჯერ კიდევ დაფარული გულის ტკივილით და გაეცალა.

მამის და შვილის ამ სცენას ყველანი დამუნჯებით, უმოძრაოდ უსმენდნენ, თუმცა ამ სიმუნჯესა და უმოძრაობაშიც ბევრის დანახვა შეიძლებოდა. ახლა თითქოს მთელი ეს კოლექტივი ერთხმად ამბობდა: „უნდა დავაცადოთ. შვილია. პირველი სიტყვა მამას ეკუთვნის, შემდეგ კი ვნახოთ"...

ყველანი ერთ ვეებერთელა ნიგვზის ხესთან დასხდნენ. თავიანთ ოჯახებიდან ქალების თუ ბავშვების მიერ მოტანილ სადილს შეექცნენ.

თითქმის მთელი სადილობის მანძილზე ხმამაღალი სიტყვა არავის უთქვამს და იგრძნობოდა, რომ რაღაც უსიამოვნო ამბების ჩრდილმა გაიარა მათ წინაშე.

დიდი სიჩუმე სადილის შემდეგ ისევ ახალგაზრდა ბიჭებმა დაარღვიეს პირველად და სიმღერა ააგუგუნეს. სიმღერას მოჰყვა ცხარე ტაში და სიცილ-თამაში, რომლის ხმაურმა მოხუცებიც კი ფეხზე დააყენა და მძიმე გულები აამსუბუქა.

თითქოს ეს აუცილებელი პირობა იყოს, თითქოს სხვანაირად არ იყოს შესაძლებელი, თუ ახალგაზრდობის ჯანსაღ სხეულებში დაგროვილ სიხარულის ტალღები არ დაიცალა, გასასვლელი გზა არ მიეცა. რომ ისევ აგორდეს ახალი ტალღები, ისევ ამაღლდეს სიხარულის დიადი ძალა,—კვლავ დაიცალოს და ასე მუდამ.

სიცოცხლის ძალაც ხომ ამაშია: სიხარული ტკივილებად შეიძლება გადაიქცეს, თუ მისი „ხარჯვა" კაცმა ვერ შესძლო. და ეს ფრთაშესხმული ახალგაზრდობა ხელგაშლილად „ხარჯავდა" სიცოცხლის ამ ძვირფას მარგალიტებს. მათი არსებობა, მათი სიცოცხლე, ჰგავდა იმ მდინარეს, მთიდან მოდენილ, ანკარა მდინარეს, რომლის ხმაური ახლა მათ სმენას წვდებოდა. ხმაშეწყობილი, სუნთქვა-შეერთებით ვიდოდნენ ისინი ამ წარმტაც გზაზე და ყოფნის ზღვაში ერთად ილვრებოდნენ.

ისევ გაჩაღდა ახალი შრომა.

ისევ გაანათა ქვებზე დახლილმა ბარმა და წაკატებმა.

ნ „ძახილი მთაში".

ილიას საღამოები

მაუდის ფაბრიკაში

თბილისის მშრომელი მასები ცხოვე ინტერესით ხვდებიან ლიტერატურუ საღამოებს, რომლებსაც აწყობს საქა თველოს მწერალთა კავშირის მასობრ განყოფილება ილია ჭავჭავაძის შემოქმ დების საპოპულარიზაციოდ.

22 ნოემბერს ილიას საღამო გაიმარ აბრეშუმის ფაბრიკის კლუბში. ლოზუნგ ბით მორთული დარბაზი გაჭედილი იყ მუშებით და ინჟინერ-ტექნიკური პერს ნალით.

როცა ფაბკომის თავმჯდომარემ საღამ გახსნილად გამოაცხადა, დიდხანს არ შ წყვეტილა ტაში დიდი კლასიკოსის ილი ხსოვნის პატივსაცემად. აუდიტორიამ დი დი ყურადღებით მოისმინა ამხ. ბენიტ ბუაჩიძის მოხსენება. ამხ. ბუაჩიძემ და ხასიათა ილია ჭავჭავაძე, როგორც დიდ მხატვარი და ნაციონალურ-რევოლუციო ნური მოძრაობის შესანიშნავი მოღვაწ მომხსენებელმა აღნიშნა პარტიისა და ხე ლისუფლების განსაკუთრებული ყურადღე ბა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მ მკვიდრეობისადმი.

დასასრულ პოეტებმა წაიკითხეს ილი ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, რასაც ხალ ხი აღტაცებით შეხვდა.

მილიციის კლუბში

23 ნოემბერს მილიციის კლუბში გაი მართა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისად მი მიძღვნილი დიდი საღამო. დაესწრო ხუთასამდე მსმენელი: მეთაურები, მილი ციონერები, მათი ოჯახის წევრები დ მოსამსახურენი.

კლუბი სპეციალურად იყო მოწყობილ ლოზუნგებით და პლაკატებით: „ილია, როგორც ახალი ქართული ენის ერთ-ერთი ფუძემდებელი", „ილია, როგორც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უდიდესი პოპულარული მოღვაწე და მწერალი" და სხვ.

მოხსენება ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ გააკეთა ამხ. ბენ. ბუაჩიძემ.

ორდენოსანმა მწერალმა ამხ. მიხ. ჯავახიშვილმა გაუზიარა მსმენელებს თავისი მოგონებანი ილიაზე.

დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ილიას ლექსებმა, რომლებიც გ. ქუჩიშვილმა, ვ. გორგაძემ, ირ. აბაშიძემ და კ. ბობოხიძემ წაიკითხეს. ადგილობრივი ლიტწრის წევრმა ამხ. შელიამ წაიკითხა საკუთარი ლექსი მწერლებისადმი მიძღვნილი.

ილიას პორტრეტი

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" გამომცემლობამ გამოსცა ილია ჭავჭავაძის პორტრეტი. პორტრეტი დახატულია მხატვარ თ. ჩუდეცკის მიერ, დიდი ზომისაა და ღირს სამ მანეთად.

იგივე გამომცემლობა ამზადებს გამოსაცემად გ. გაბაშვილის მიერ დახატულ ილიას ფერად პორტრეტს.

ილიას საღამო ბათომში

ნოემბერში აჭარის საბჭოთა მწერლების კავშირის ინიციატივით განათლების მუშაკთა სახლში მოეწყო ილია ჭავჭავაძის საღამო.

ილიას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენება გააკეთა ბესო ჟღენტმა.

ილიასადმი მიძღვნილი საღამოები გაიმართება აჭარის მოწინავე წარმოებებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

დისკუსია „ლაშაურ საღამოებზე"

5 დეკემბერს საღამოს დაიწყება დისკუსია რ. გვეტაძის რომანზე „ლაშაური საღამოები". მომხსენებელი მიხ. ჯავახიშვილი.

„ლაშაური საღამოები"

ვ. წულუკიძე

გვეტაძის „ლაშაური ი", რომელიც მიმდინარე ურნალ „მნათობში" იბეჭ-მავე ავტორის სხვა ორ მოთხრობასთან ერთად ალკე წიგნად გამოიცა. ური საღამოების" კომპო-აღრესად თავისებურია. მოვლენების შერჩევა, და ერთმანეთთან მათი ება. „ლაშაური საღა- მოთხრობილია ერთი ომელიც თავიდან ბოლო-ევს ნაწარმოებს, მაგრამ ამ თხრობაში შეჭრილია მდენიმე ნოველა, როგორც დამთავრებული ნაწარ-ელია გარკვევა, თუ რა აქვს ამ ნოველებს ნაწარ-თავარ ღერძთან, რა არის რია მათი სუჟეტური ფუნ-ლი ნაწარმოების მიმართ. რად ეს ნოველები ერთმა-ენათესავებიან და არც რთს რაიმე გარკვეულ

ნ „ლაშაური საღამოების" ები მწერლები არიან, რომელთაც ეკუთვნის ამ ელი ნოველების ავ-ნდა ვიფიქროთ, რომ მოთხრობები წარმოდ-რიან რომანის პერსონაჟ-ალთა) დასახასიათებლად, მათი მხატვრული პო-ტერატურული მიდრე-ემოვნების, შემოქმედე-რაფების გამოსამჟღავნებ-საჩვენებლად. სხვა დანიშ-რომანში მათი შეტანის რთლება, ჩემის აზრით, არ

ბა ეს მოსაზრება შე-იქნება ავტორმა ამ ახალ ით თავად გადაუხადა ლი ხარკი ფორმალიზმს, ური კომპოზიციის, თავი-უჟეტური ხერხების გამო-ურვილს.

რამ ცხადია: ეს სოლივით ნოველები არღვევენ ისე-ნებული სიტუაციების ვრობას და ქმნიან ნაწარ-რთ მთლიანი მოქმედე-ლობის გარკვეულ შთაბე-რაც მეტად აძნელებს ის მხატვრულ ანალიზს ამ, ზედმეტია მსჯელობა, თუ რა იყო მხატვრის განზრახვა. როგორც დობროლიუბოვი ამბობდა, მხატვრულმა კრიტიკამ უნდა გამოარკვიოს არა ის, თუ რას ფიქრობდა მხატვარი როცა ნაწარმოებს ქმნიდა, არამედ ის, თუ რას ლაპარაკობს ობიექტიურად თვით ნაწარმოები, რას ეუბნებიან მკითხველს მწერლის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები, სინამდვილის რა მხარეები და მოვლენები გამოხატა მწერალმა, რამდენად მნიშვნელოვანია ის საგნები და ფაქტები, რომელთაც მწერლის ყურადღება მიიპყრეს, რა საზოგადოებრივი ღირებულება აქვთ მათ, მხატვრული სიმართლის რა ძალით არიან ისინი მოცემულნი. თუ ნაწარმოები ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მწერალი ჩასწვდომია სინამდვილის სიღრმეს, მოვლენათა არსებით მხარეს და თავისი ნაწარმოების სახით მოუცია მხატვრული მასალა თანამედროვეობის დიდი პრობლემების წამოყენებისა და გადაჭრისათვის.

⁂

დროის ის ნაკვეთი, რომელიც აღებულია „ლაშაური საღამოების" ფონად, არის ჩვენი სინამდვილის შესანიშნავი წლები. ეს არის დრო პირველი ხუთწლედის დამთავრებისა და მეორე ხუთწლედის დაწყებისა. ეს ის დროა, როცა ჩვენში, საბჭოთა საქართველოში, თავდება რიონჰესის, ფერომარგანეცის ქარხნის და მრავალი სხვა სამრეწველო საწარმოს მშენებლობა, რკინისგზის ელექტროფიკაცია, როცა მიმდინარეობს ჭიათურის, ტყიბულის მაღაროების რეკონსტრუქცია, იწყება გრანდიოზული მუშაობა კოლხიდის ჭაობების ამოსაშრობად, როცა გლეხური მოსახლეობის თითქმის ნახევარს კოლმეურნეობები აერთიანებენ, როცა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, ფეხს იკიდებს აგროტექნიკა, როცა შავიზღვის სანაპიროები იმოსება ჩაისა და სუბტროპიკული მცენარეების პლანტაციებით, როცა საქართველო ხდება წერა - კითხვის მთლიანი მცოდნეობის რესპუბლიკად, ახალ სოფელს ათასობით ეზრდებიან ტრაქტორისტები, აგრონომიბი, ზოოტექნიკოსები, როცა სოფელსა და ქალაქს აზვირთებულ ტალღად მოედვა სოციალისტური შეჯიბრება, როცა ყოველი რაიონი თავის საკუთარი გაზეთის გამოშვებას იწყებს, როცა ჩვენში ერთი - მეორეზე იხსნება სამეცნიერო - საკვლევო დაწესებულებები და იზრდება საქართველოს მეცნიერება, მწერლობა, ხელოვნება.

აი ამ დროს ჩვენი ცხოვრების აზვირთებულ ოკეანეში სჩანს ერთი პატარა მიკროკუნძული — პოეტ ლაშა თვარელის ბინა ბესიკის ქუჩაზე, მაღალჭერიანი, ფართოფანჯრებიანი ოთახი, იშვიათი ნივთებით მორთული, ფაქიზი ხელით მოვლილი. ამ ოთახში წევს ავადმყოფი ლაშა, ხოლო მისი ლოგინის მახლობლად, განიერ ბუხარს უსხედან ლაშას თანამეკალმენი — პოეტები რაიბული, პაატა, გულბაათი, გივი, მშვენიერი სქესის ერთად-ერთი წარმომადგენელი ამ წრეში—ინჟინერი ქალი ზეინაბი და ავადმყოფის შესაქცევად მასლაათობენ. მერე რაზე? ნუ ვენდობით რაიბულის ლიტონ განცხადებას, თითქოს ისინი ბაასობდნენ პოლიტიკაზე, ქვეყნის ჭირვარამზე. არც ერთი იმ „სერობიდან", რომელსაც ეს მობრძენებული მწერლები ყოველ გამოსასვლელ დღეს აწყობენ, არ სჩანს, რომ მღელვარე ცხოვრების ამბებს დაერღვიოს ლაშას მელანქოლიური სიმშვიდე, დაბადებულნი „არა ცხოვრების მღელვარებისა, არა ანგარებისა და ბრძოლებისათვის, არამედ ტკბილი ხმებისათვის", ისინი მღერიან სიყვარულის სიმღერებს, მოკაზმული ენით ჰყვებიან ამბებს, ერთი მეორეზე უფრო გასაოცარს.

პირველ სერობაზე გულბაათი უამბობს შეკრებილთ ერთი წყვილის რომანტიულ თავგადასავალს, თუ როგორ ემსხვერპლა ერთი ქართველი ხალხოსნის ილიას სიყვარულს ლამაზი ქალის მზევინარის სიცოცხლე და ლამის თვით ილიაც შეეწირა დაღუპული სატრფოს ნათელ ხსოვნას. ქალწული მზევინარი რაინდს ილიას შემთხვევით გადაურჩენია ცეცხლში დაღუპვისაგან, ილია მოუხიბლავს ქალწულის გარეგნობას, უსაზღვროდ დავალიბულ ქალს უარი ვერ უთქვამს ცოლად გაყოლაზე; ქალის რაღაც გაურკვეველი დარდის გასაქარვებლად ილიას მასთან ერთად დასავლეთის ქვეყნები მოუვლია, მაგრამ უკან დაბრუნებისას, სტამბოლში ქალი მოულოდნელად გარდაცვლილა, მისი გვამი მალულად წამოუღია გემით, მაგრამ შეუტყვიათ და ცხედარი წყალში გადაუგდიათ. მას თან გადაჰყოლია ილიაც, სტიქიასთან გმირული ბრძოლით ნაპირზე გამოუტანია ცხედარი და თავის სოფელში დაუმარხავს. ოცი წლის შემდეგ ცოლის ძველი წერილების გადათვალიერების დროს ილიას შეუტყვია, რომ მზევინარს სხვა ჰყვარებია და თავის უმანკოებაც პირველად სხვისთვის გაუმეტებია.

ეს რომანტიული ამბავი უსაზღვრო შთაბეჭდილებას სტოვებს ჩვენს გმირებზე. მსჯელობენ, კამათობენ, აფრქვევენ სენტენციებს სასიყვარულო რომანების კითხვით გაბრუებული გიმნაზიელების ფილოსოფიურ სალაროდან ნასესხებ ასეთ მარგალიტებს; „სიყვარულის გრძნობა ყველა გრძნობაზე უფრო მიწიერიცაა და ბიწიერი", „სიყვარული ადამიანს ძალას მატებს, ცხოვრებას აზრსა და ლაზათს აძლევს", „გასაკიცხია მხოლოდ ის, ვინც სიყვარულს მრუშობად აქცევს, ან შეეცდება დაფაროს ღალატი", „უკადრისი და არაკეთილშობილური ქცევაა, როცა ცდილობ დაარწმუნო ერთი შენს გულწრფელობაში, ნამდვილად კი სხვა გიყვარს", — აი რა ბრძნული აზრები უტრიალებთ თავში ჩვენს გმირებს ასეთი ამბების მოსმენის შემდეგ. სიყვარულისა და ერთგულების „პრობლემა" განსაკუთრებით სულიერ სიმშვიდეს უკარგავს რაიბულს. მასზე მუშაობს მისი ტვინი დღე და ღამე, შინ და გარეთ.

მეორე „სერობაზე" მოყოლილი ამბავი ასეთ „ღრმა, თავსამტვრევ" იდეებს არ შეიცავს, იგი, ასე ვსთქვათ, ფაქტოლოგიური ლიტერატურის სფეროდანაა და წარმოადგენს ლაშას რევოლუციურ თავგადასავლის ერთ მომენტს. მსოფლიო ომის პირველ წელს ტფილისის სათავადაზნაურო კლუბში ჟანდარმთა პოლკოვნიკის მოსაკლავად მიგზავნილი ლაშა თავის იშვიათი გარეგნობით ჰხიბლავს მეფის ნაცვლის ნათლულს — ულამაზეს მანდილოსანს. ლაშა ჯერ ბანქოს თამაშობს, დრაგომიროვების და ხატისოვების [illegible] ლაქიებს ურიგებს ბანქოში მოგებულ უამრავ ფულს, შემდეგ შეუდგება მოხიბლული ქალის ტრფიალს, და მთელი ისტორია თავდება იმით, რომ ლაშა დრაგომიროვის მაგივრად, კლავს მოხუც თავადს [illegible] დადეშქელიანს, ამ ქალის ძველ მოტრფიალეს, რომელმაც ლაშაზე ხანჯლით წაიწია.

მესამე სერობაზე ჩვენი გმირები ერთობიან გივის მიერ მოყოლილი ანეგდოტით, თუ როგორ [illegible] ერთმა ფარმაცევტმა, [illegible] მთელი საზოგადოება [illegible], [illegible] ერთი დიდი ტიკი, ცემწვარი გოჭი, [illegible] და სხვა [illegible] გაბაიღეულად.

[illegible] ერთი მუდმივი მონაწილეთაგანი პოეტი პაატა არ ივიწყებს საბჭოთა სინამდვილეს, მისი ნაამბობის სახით ამ განმარტოებული კუნძულის მობინადრეებში იჭრება [illegible] თანამედროვეობაც.. იგი ჰყვება ამბავს, თუ როგორ აფერხებდა ერთი დაბეჩავებული გლეხის კოლექტივში შესვლას შიში იმისა, რომ მას ოქროსფერ მამალს ჩამოართმევდნენ... ასეთ გამოხმაურებას პოულობს ამ წრეში ის ღრმა პროცესი, რომელსაც იმ დროს ჩვენი გლეხური მეურნეობა განიცდიდა. ასეთია ამ კალმოსანთა ჯგუფის შემოქმედების ნიმუშები, თვალისმომჭრელი ორნამენტებით შემკობილი, მეტაფორებით მოკაზმული, დიდი გულმოდგინეობით და პოეტური გატაცებით წარმოთქმული.

რად დასჭირდა ისინი ავტორს? ხომ არ ფიქრობდა ამით დაენახვებინა მკითხველისათვის მწერალთა ერთი ჯგუფის სრული იდეური სილატაკე, მისი ჩამორჩენა თანამედროვეობისაგან, განკერძოება ცხოვრებისაგან და კარჩაკეტილობა? ხომ არ უნდოდა ეჩვენებინა ავტორს, რომ მწერალთა ასეთი განაპირებას საბჭოთა ქვეყნის მშენებლობის ამოცანებისაგან მოსდევს ლიტერატურული ჩამორჩენა, მხატვრული გემოვნების დაცემა, თხზვა ისეთ ნაწარმოებთა, სადაც ჰარბობს ბანალური ეგზოტიკა, გაცვეთილი მელოდრამატიულობა, მოშაქრული ხალხოსნური ხასიათები, სუჟეტურ მდგომარეობათა ნაწვალევი სირთულე, ენის გადაჭარბებული მჟღერალა ფერადოვნება და მსუბუქი, გასართობი ლიტერატურის სხვა [illegible] ტრადიციები, რომელნიც ასე [illegible] ხომ არ გვითხრა ამით ავტორმა, რომ [illegible] არ შეუძლიათ [illegible] შექმნა, იმდენად დაბალია მათი [illegible], იმდენად შეზღუდულია მათი ინტელექტი, იმდენად ვიწრო და დახშულია ის წრე, სადაც ისინი ტრიალებენ.

⁂

მართლაც, რა ამოძრავებს, რა საზოგადოებრივი მოვლენა აღელვებს მათ გულსა და გონებას? ეს არა სჩანს ფაქტებიდან, რა პრაქტიკულ საქმიანობას ეწევიან? არავითარს, გარდა იმისა, რომ სწერენ რაღაცას, პერიოდულად იკრიბებიან სამასლაათოდ, ლაყბობისაგან გამომშრალ ხახას ლიკიორით ისველებენ და სიყვარულობანას ეთამაშებიან [illegible] ქალს ზეინაბს, რომელსაც უნდა ითქვას, რომ ისიც ამ წრის სისხლთაგანი და ხორცთაგანია. ვერც აქ დავუჯერებთ რაიბულს, თითქოს ზეინაბი წარმოადგენდეს საქმიან მოწინავე ადამიანს, თითქოს იგი თეთრად ათენებდეს რიონჰესის მშენებლობაზე, თითქოს ნათელი გონებითა და დაკვირვებით აფასებდეს მოვლენებს. განა ნათელი გონების ადამიანი ასე ხალისით გაატარებდა თავის თავისუფალ დროს ამ ფუქსავატთა წრეში, ან ნათელი გონების ადამიანს, პრაქტიკულ საქმიანობით დატვირთულს, სერიოზულ მშენებელს მოიგუებდა და შეიკედლებდა ეს უსაქმურთა კორპორაცია?

„რაყიფებს" ხიბლავს არა ზეინაბის მოწინავეობა, არამედ მისი „მაღალი თეძოები", მისი ცრუ სერიოზულობა, არტისტული ოსტატობა, მისი მოჩვენებითი პროტესტი (როცა მას უნებლიეთ თუ ნებით ჰკოცნიან). „რაყიფებს" მოსწონთ ის, რომ ზეინაბი მოხარულია მოუსმინოს იმ ამბავს, „თუ როგორ მხურვალედ, გამმაგებით დაეწაფა ლაშა მეფის ნათლულის ბაგეს". „რაყიფებს" იზიდავს და აღიზიანებს ამ ქალის საიდუმლო წარსული, რომელიც ისევე გასაოცარია, როგორც ყველაფერი ამ რომანში. ზეინაბის წარსული არავინ იცის. არავინ იცის, თუ ცხოვრების რა გზა განვლო, ვიდრე იგი ამ დონემდე მიაღწევდა. ზეინაბმა თავისი წარსულის საიდუმლოება გაანდო დღიურს, რომელიც დაიკარგა. შემთხვევით ეს დღიური იპოვა რომანის გმირმა რაიბულმა: დღიურს აკლია წინა და უკანა ფურცლები, ასე რომ რაიბულმა არ იცის, რომ ეს დღიური დაწერილია სწორედ იმ ზეინაბის მიერ, რომელსაც ასე აღმერთებს ეს ხუთი „რაყიფი". რაიბული დიდი [illegible], ნაწილ-ნაწილ საიდუმლოდ კითხულობს დღიურს (წაკითხვის ასეთი გაჭიანურება და წაკითხულის სხვებისთვის არგაზიარება ავტორს ალბათ დასჭირდა იმისათვის, რომ [illegible] კვანძი ნაადრევად არ გახსნილიყო, თორემ მთელი დღიურის და მერე ასეთი დაინტერესებული ადამიანური დოკუმენტის წაკითხვა ერთი ხელის მოსმით შეიძლებოდა) და ეცნობა ამ ქალის საშინელ, შემზარავ ბედს. რა არ გადახდენია თავს მწარე ობლობასა, შიმშილსა და სიტიტვლეში გაზრდილი 10 წლის გოგო გაუპატიურებია სულითა და ხორცით გახრწნილ ჯალათს, ლოთს მამინაცვალს, საფლავებიდან ამოღებული მკვდრების ტანსაცმლით მოვაჭრეს — ყოფილ ვექილს, რომელიც ამ შემზარავი აქტის დროს თავს დაკვდომია გაუბედურებულ გერს, გოგოს მტკვარში გადავარდნა უცდია, მაგრამ იშველებია მისი სკოლის კომკავშირელი უშანგი, შეუხიზნავს, მაგრამ, დაუკმაყოფილებია რა თავისი ჟინი, მასაც ხელი უკრავს. ორი თვის შემდეგ გოგოს უგრძვნია ორსულობა (მამინაცვლისაგან). აქ წყდება დღიური: შემდეგში (დღიურში ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით) რაიბულისათვის ირკვევა, რომ სწორედ ეს გოგოა ის ზეინაბი, რომელსაც ჩვენ ვხვდებით რომანის პირველ თავშივე.

რა გზა გაიარა ყველასაგან მიტოვებულმა, ფეხმძიმე, უმწეო ქალიშვილმა თავისი უბედურების კულმინაციური წერტილიდან, ვიდრე მოწინავე ადამიანად - ინჟინერად გახდებოდა? ეს მრავალმნიშვნელოვანი პერიოდი შეუვსებელ ხარვეზად რჩება ზეინაბის ბიოგრაფიაში. ეს კი უფრო საინტერესო იყო საბჭოთა მკითხველისათვის, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ყოველდღიური პრაქტიკიდან კარგად იცის, რომ რევოლუციურ სინამდვილეს ბევრი

(დასასრული იხ. მე-6 გვ.)

კინოფილმი „დარიკო"

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ სახკინმრეწვის კინოფაბრიკამ ამ უკანასკნელ ხანებში გადაჭრით გარგაქმნა და გააძლიერა თავისი მუშაობა. ის პროდუქცია, რომელიც ამ ბოლო დროს მან გამოუშვა, მაჩვენებელია მისი შეუჩერებელი ზრდის, წინსვლის. ამის საუკეთესო ილიუსტრაციას წარმოადგენს თუნდაც ახალი ფილმი — „დარიკო".

„დარიკო" ეგ. ნინოშვილის მოთხრობების ფონზე იშლება. სხვა ქართველ კლასიკოსებს შორის ეგ. ნინოშვილს ამ მხრივ ბედმა გაუღიმა. თეატრმაც და კინომაც სცადეს ნინოშვილის მიერ შექმნილი სახეების გაცოცხლება. უკანასკნელი დროის ცდებიდან აღსანიშნავია ს. დოლიძის მიერ შესრულებული ფილმი „დარიკო". ე. ნინოშვილის სოფლის მრავალფეროვანი ტიპაჟი, ღრმა სოციალური აზრი, მკვეთრი დრამატიზმი, სინამდვილის შეცნობის სიღრმე, — ყოველივე ეს შესანიშნავ პირობებს წარმოადგენს ცოცხალი ფილმისა თუ სცენური სანახაობის შესაქმნელად.

პირველი, რაც ამ ახალ ფილმს გაასხვავებს ე. ნინოშვილის დრამატიზირების სხვა ცდებისაგან და რაც ამხ. ს. დოლიძის რეჟისორულ გამოგონებლობას, მხატვრულ გემოვნებასა და, რაც მთავარია, მოვლენათა სოციალური შინაარსის ცოდნას უნდა მიეწეროს, არის შემდეგში: ფილმში ასახული სოციალური კონფლიქტი მოცემულია დინამიურად, მოცემულია განვითარებაში, კანონზომიერი პერსპექტივით, რეჟისორი სამართლიანად სცილდება მოთხრობების „სიმონას" და „მოსე მწერლის" მიერ შემოხაზულ სოციალურ ფარგლებს და მოქმედება სრულდება არა ისე, როგორც აღნიშნულ მოთხრობებში, არამედ ვითარდება ფართო ჰორიზონტების გადაშლით: ფილმში მოცემულია ბრძოლის პერსპექტივები.

ეს არის დიდი ღირსება ფილმისა, იგი განტვირთულია ჩვეულებრივი კინემატოგრაფიული შტამპისაგან და გურიის სოფლის ნამდვილ სურათს წარმოადგენს, სურათს, რომელიც გვიხატავს სოციალურ უკულმართობას, დავით დროიძეთა ბატონობას, უსამართლობას და ამავე დროს ჩაგვრელთადმი დაპირისპირებულ ძალას — მშრომელი გლეხობის გულისწყრომას, რაც შემდეგში, საკუთარი ძალის შეგნების ზრდასთან დაკავშირებით, რევოლუციური ცნობიერების თანდათანობით ზრდასთან დაკავშირებით, აშკარა და დარაზმულ ბრძოლაში გადადის.

დიდ მწერალს მ. გორკის არა ერთხელ აღუნიშნავს ჩვენი წარსულის ცოდნის აუცილებლობა. ჩვენი ახალი თაობა, რომელიც დიდი ოქტომბრის თავისუფალი ჰაერით სუნთქავს და რომელსაც წარსულის სუსხი არ განუცდია, უნდა იცნობდეს, თუ როგორი თანდათანობით, რა სასტიკი და დაუცხრომელი ბრძოლით შემზადდა კაცობრიობის განმათავისუფლებელი დიდი რევოლუცია ოქტომბრისა. უნდა იცნობდეს ჩვენი გლეხობის მძიმე მდგომარეობას წარსულში და მის შეუჩერებელ ბრძოლას დროიძეების უღლის გადასაგდებად.

ეს ფილმი მხატვრული ზომიერების ზუსტი დაცვით, მხატვრული გემოვნებით, გვაცნობს რევოლუციის მოსამზადებელ პერიოდს, გლეხობაში რევოლუციური თვითშეგნების შეტახის პერიოდს, გლეხობასა და მუშებს შორის მჭიდრო კავშირის შექმნის პერიოდს და მუშების ავანგარდულ მდგომარეობას გაჩაღებულ დიდ სოციალურ კონფლიქტებში.

ფილმის ღირსებას უნდა მიეწეროს ის საფრთხის მხატვრულად დაძლევაც, რომელიც ყოველ რეჟისორს ელობება ხოლმე ისტორიული ხასიათის სცენარის დამუშავების დროს, სახეში მაქვს ნაკლები წინააღმდეგობის გზით სვლის საფრთხე და წმინდა ინდივიდუალისტური, იდეალისტური ხასიათის ფილმის შექმნა. ისევ სოციალურ მოვლენებში, როგორსაც ფირალობა წარმოადგენდა გურიაში, არა რომანტიული ეგზოტიკის მოცემა, არამედ მისი სოციალური ფესვის გამოძებნა და მოვლენის ამ მხარის გამახვილება. ფილმი „დარიკო" ამცდარია ამ საფრთხეს. მასში დარაზმულია სოციალური უკულმართობით უკმაყოფილო გლეხობის გმირული ნებისყოფა და მოცემულია ამ უკმაყოფილების ღრმა სოციალური აზრი.

ფილმის მესამე ღირსება, რაც აგრეთვე უკეთესი მხრით განასხვავებს მას სხვა ქართულ ფილმებისაგან, არის ქართველი გლეხ-ქალის პრესტიჟის ამაღლება, მისთვის იმ ბუნებრივი და საპატიო ადგილის მიჩენა, რომელიც მას წარსულ კლასობრივ ბრძოლებში ეჭირა, ნაცვლად მუდამ ცრემლშეუშრობელი, პატივაყრილი, გაუპატიურებული და ბედს დამორჩილებული ქართველი ქალისა, როგორადაც მას ჩვენი ეკრანი ხატავდა. დარიკოს სახით მოცემულია გმირი მებრძოლი ქალი, რომელიც არა თუ არ იხრის ქედს უკულმართობის წინაშე, არამედ ხალხის აბობოქრებულ სტიქიურ გულისწყრომას რევოლუციურ კალაპოტში აქცევს და ამ მოძრაობას სათავეში უდგება. ამ მხრივ თავიდან აცილებულია ქართველი ქალის წარსულის ფალსიფიკაცია. ქართველი გლეხი ქალი აქ მოცემულია როგორც ბრძოლის ორგანიზატორი, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის. ესეც რეჟისორის მიერ ჩვენი წარსული ბრძოლის სწორი ისტორიული გაგების შედეგად უნდა ჩაითვალოს.

ფილმის შემდეგი ღირსებაა: ჩვენი სოფლის ყოფის წვრილმანი თვისებების ცოდნა. რეჟისორს მჭრელი თვალი აქვს, რის მეოხებითაც იგი ეკრანზე აცოცხლებს შესანიშნავი ყოფაცხოვრებითი ხასიათის დეტალებს. ეს დეტალები არავითარ შემთხვევაში არ ამძიმებენ ფილმს, პირიქით, მათ მეტი სიცოცხლე და ფეროვანება შეაქვს მასში.

შემდეგ: ფილმს თამამად შეიძლება ხალხური ვუწოდოთ, იმდენად ახლოა იგი ხალხის გულთან თავისი უშუალობით, დანიშნულებით, მარტივი და ამავე დროს მაღალხარისხოვანი მხატვრული ენით და შესრულების ხერხებით. ფილმში დროულად და რიგზეა გამოყენებული ხალხური სიმღერები, შესანიშნავი ნადური (კოლექტიური თოხნის დროს) ცეკვა, საკრავები, გმირული, თავბრუდამხვევი საბრძოლო სიმღერები და სხვა.

მშვენივრად არის შერჩეული ტიპაჟი. რეჟისორი და აქტიორთა კოლექტივი განსასახიერებელ პიროვნებათა კლასობრივ ბუნებას კარგად იცნობენ. მაგალითად, კულაკი დავით დროიძე (შ. ღამბაშიძე) არ წარმოადგენს თოფ-ხანჯლით შეიარაღებულ და ლოჯებ გადმოყრილ საფრთხობელა რამეს.

ფილმში არის ისეთი კადრები, რომლებიც წარუხოცელ შთაბეჭდილებას სტოვებენ მაყურებელზე. ღრმა ემოციურ ზეგავლენას ახდენენ მასზე— თავიანთი მხატვრული ეფექტით და იდეური დანიშნულებით. ასეთია ბოქაულისა და მოსე მწერალის დამალვა დავით დროიძის სალორეში (ღორებისა და ამ პატიოსან გვამთა მხატვრული ანალოგია), მთელი სცენა ქორწინებისა დავით დროიძის ბრწყინვალე დარბაზში (მოახლოვებული შურისძიების გრძნობა და დაძაბული მოლოდინი), პატიმართა გამოთხოვება გადასახლების წინ მშობლებთან და ნათესავებთან (გულშემზარავი და მაყურებელში შავი წარსულისადმი ღრმა ზიზღისა და სიძულვილის გამომწვევი), პოლიტპატიმართა გადასახლება ციმბირში (აქაც ხაზის გასმა მთავარი მოვლენისათვის, არა ინდივიდუალური ტერორი, არამედ იმ სისტემის მოსპობა, რომელიც არსებულ უკულმართობას ხელს უწყობს) და მართლაც შესანიშნავი კადრი, რომელიც მაყურებელში ჟრუანტელს იწვევს — შორეული ციმბირი. მატარებელი მიჰქრის, თოვლით დაძონძილი ნაძვნარი და ფიჭვნარი თეთრ ზოლად მიჰყვება თვალს. ცივა, ყინავს. ვაგონში სიკვდილის პირას მისული პოლიტპატიმარი ახველებს, დედას ნატრულობს. ამ უკანასკნელის შემოშვებასაც ახერხებენ პატიმრები. შვილი სთხოვს „ნენას" ნანა უმღეროს, და ნენა უმღერის ნანას, შორეულ, ყინვიან და თოვლიან ციმბირში. შვილი ამ ტკბილი სიმღერის ხმებში კვდება. ძლიერი კადრია, არა სანტიმენტალური, არამედ ღრმად სოციალური. მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს კადრი, თვით სიმღერაში რომ მეტი სითბო, გული იხმოდეს.

რეჟისორის გამარჯვებას ხელს უწყობენ აქტიორებიც. პირველ რიგში აღსანიშნავია თამარ ციციშვილი, რომელიც ფილმში მთავარ გმირს —დარიკოს როლს ასრულებს. აზრიანი და მხატვრული თამაშით იგი გაოცებას იწვევს, რამდენადაც პირველად გამოდის ეკრანზე და ისიც ასეთს პასუხსაგებ როლში. დარიკოს გარეგანი („მიაპყრო დიდრონი შავი თვალები") და შინაგანი დრამატიზმით აღსავსე სახე, ყოველი მოძრაობის, ჟესტის ღრმა გააზრება, ყოველი ნაბიჯის მიზანდასახულება, ქალურ ლირიზმთან ერთად გმირული საწყისის გამახვილება და მათი შეთანხმება ერთმანეთთან,—ასეთია დარიკო თამარ ციციშვილის მიერ გაცოცხლებული ეკრანზე.

შ. ღამბაშიძის თამაში უკვე მოვიხსენიეთ. მათ უნდა მიემატოს ნუცა ჩხეიძე (სიმონას დედა), ზაქარიაძე (სიმონა), ჟორჟოლიანი (მოსე მწერალი), ხინთიბიძე და მთელი კოლექტივი. ყოველი მათგანი მკვეთრ ტიპს ქმნის, განსაკუთრებულად უნდა გამოიყოს მაინც ჟორჟოლიანი.

ფილმის გამარჯვების თანაავტორად უნდა ჩაითვალოს ოპერატორი შალვა აფაქიძე. მისი მუშაობა ამ ფილმში ღირსია ცალკე წერილისა და დაწვრილებითი სპეციალური გარჩევის, ისეთი სითბოთი, საქმის სიყვარულით და ცოდნით განირჩევა იგი. ჯერ ერთი, შერჩეულია საუცხოვო პეიზაჟი. პეიზაჟი აქ მოცემულია, არა როგორც ფონი, როგორც დამხმარე ელემენტი, არამედ როგორც მომქმედი ძალა, გასულიერებული, მგრძნობი და შემცნობი. ყოველი კადრი ოპერატორის მიერ გაკეთებულია მაღალი მხატვრული სტილით, მკვეთრად, სავსე სინათლითა და ბრწყინვალებით. ამასთან მოცემულია სუფთად და მხატვრული გემოვნებით. კადრების გადაღების მხრივ ეს ფილმი საუკეთესოთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს.

ღირსშესანიშნავია ფილმის მუსიკალური გაფორმება, რომელიც ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ამხ. ი. ტუსკიას ეკუთვნის. ჩვეულებრივი ოსტატობით აქვს მას გამოყენებული ხალხური საკრავები (ჩონგური) და ხალხური სიმღერები. ყოველივე ეს მოცემულია, როგორც ფილმის არა საილუსტრაციო მასალა, არამედ როგორც მთავარი იდეის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ელემენტი. „დარიკო" თავისი მხატვრული ღირსებით და იდეური გამართულობით ჩვენი კინემატოგრაფიის წინსვლის მომასწავებელია.

შალვა აფხაიძე

ნ. ბარათაშვილი და პოლონელი პოეტი ზაბლოცკი

ლევან ასათიანი

პოეტის, თეატრალური კრიტიკოსისა და პუბლიცისტის მიხეილ იროთველისძის თუმანიშვილის არქივის გადასინჯვის დროს მისმა ვაჟმა, ცნობილმა ჟურნალისტმა გიორგი თუმანიშვილმა, მეტად საგულისხმო წერილები აღმოაჩინა თავის დროზე. ეს წერილები ეკუთვნოდა პოლონეთის ცნობილი აჯანყების მონაწილეს, საქართველოში გადმოსახლებულ და სამხედრო სამსახურში გაწვესებულ ახალგაზრდა ნიჭიერ პოეტს თადეოზ ლადი-ზაბლოცკის. წერილები, რიცხვით სამი, მიმართული იყო მიხეილ თუმანიშვილისადმი. ეს კორესპონდენცია დღესაც საინტერესოა ჩვენთვის, რადგან საკმაოდ აშუქებს 30-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის ურთიერთობას პოლონეთის ნაციონალურ - რევოლუციური მოძრაობის ცალკეულ წარმომადგენლებთან, რომელთაც სასჯელი ჩვენს ქვეყანაში მოიხადეს.

ზაბლოცკის წერილები მ. თუმანიშვილისადმი თავის დროზე გამოქვეყნებული იყო როგორც რუსულ, ისე ქართულ პრესაში, ასე რომ ჩვენ აქ მათ მთლიანად აღარ მოვიყვანთ*). ჩვენ გვინდა შევეხოთ ამ წერილებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იქ იხსენიება ნიკო ბარათაშვილი და შუქი ეფინება მისი ბიოგრაფიის ზოგიერთ დეტალს, ამ შემთხვევაში მის ურთიერთობას საქართველოში გადმოსახლებულ პოლონელ მეამბოხეებთან და ინტერესთა იმ სფეროს, რომელიც ბარათაშვილის თაობას აკავშირებდა პოლონეთის ნაციონალურ - რევოლიუციური მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენლებთან.

ლადი - ზაბლოცკის წერილების პუბლიკაციის დროს მისმა რედაქტორმა (ალბათ, გ. მ. თუმანიშვილმა) შენიშვნის სახით გამოაქვეყნა მოკლე ცნობები თვით პოლონელი პოეტის შესახებაც.

„ნიჭიერი პოლონელი პოეტი თად. ლადი - ზაბლოცკი, კითხულობთ შენიშვნაში, გასული საუკუნის 30-იან წლებში ცხოვრობდა კავკასიაში, სადაც იგი გადმოსახლებული იყო და სამხედრო სამსახურში ითვლებოდა. აქ იგი დაუახლოვდა კავკასიის მოწინავე ახალგაზრდობას: პოეტ ნიკ. მელიტ. ბარათაშვილსა და მის ამხანაგებს გიმნაზიიდან — თ. მ. ბ. თუმანიშვილს და სხვებს. ზაბლოცკი გარდაიცვალა 1847 წელს თბილისში სრულიად ახალგაზრდა. მისი ნაწერები იბეჭდებოდა გამოჩენილი პოლონელი მწერლის კრაშევსკის „ათენეუმში", პოდბერეცკის ყოველწლიურ გამოცემაში და აგრეთვე სხვაგანაც, ხოლო 1845 წელს მისი ნაწერები ცალკე წიგნათ იქნა გამოცემული პეტერბურგში. მისი პოეტური ნიჭი გამოსჭვივის ამ წერილებშიაც, განსაკუთრებით უკანასკნელში".

როგორც ამწერილებიდან ირკვევა, ახალგაზრდა პოლონელ პოეტს განზრახული ჰქონია ქართული ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლა და სპეციალური შრომის დაწერა ამ თემაზე. ესა სჩანს მისი პირველი წერილიდან, რომელიც დათარიღებულია 1838 წლის 1-ლი ოქტომბრით და გამოგზავნილია დედოფლის წყაროდან (ახლანდელი წითელი წყარო). მოგვყავს ნაწყვეტები წერილიდან:

„თქვენ არ მაცნობეთ, რა ენაზე გაქვთ ის მასალა, რომლის საშუალებითაც შეიძლება შევადგინო ქართული ლიტერატურის მოკლე ისტორია. თუ რუსულ ენაზეა. მაშინ განთავისუფლებთ შრომისაგან, რადგან, როგორც კი შემთხვევა ნებას მომცემს, მე თვითონ გავეცნობი ამ მასალას. თუ ქართულზეა, მაშინ გთხოვთ თქვენ მომაწოდოთ მოკლე აღწერა..."

„...თქვენი ლექსი „ფიალა" გადავთარგმნე პოლონურ ენაზე*) და, როგორც მგონია, საკმაოდ კარგად. თუ თქვენ მოისურვებთ, შემდეგ წერილთან ერთად გამოგიგზავნით უსათუოდ..."

„...გემუდარებით, თავადო, მითხარით, დაცულია თუ არა რაიმე ისტორიული ამბავი ან მემატიანეს ცნობა თამარის ციხის შესახებ, რომელიც აქ ჩვენს დედოფლის წყაროშია? მოსძებნეთ და თუ შეგხვდებათ, მაცნობეთ, თუ ღმერთი გწამთ...".

„...ვარლამოვს მოახსენეთ ჩემი პატივისცემა და დაავალეთ მას სალამი გადასცეს ჩემგან ბ. სტოცკის, ძალიან კარგ ადამიანს, რომელსაც პატივი მაქვს რეკომენდაცია გაუწიო თქვენთან".

ამ ნაწყვეტებიდან სჩანს, რომ გადმოსახლებულ პოლონელ პოეტს ახლო ურთიერთობა ჰქონია არა მარტო მიხ. თუმანიშვილთან, არამედ ნ. ბარათაშვილის სხვა მეგობრებთანაც, როგორიც იყო მაგ. გარსევან ვარლამოვი, არაერთხელ მოხსენებული ნ. ბარათაშვილის წერილებში და მისი დროის სხვა მასალებში, თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა ჟურნალ „ყვავილის" თანამშრომელი და პუშკინის „ონეგინის" უიღბლო მთარგმნელი მოწაფეობის დროს. ამავე წერილში მოხსენებულია ვინმე სტოცკი. შეიძლება ესეც ერთი გადმოსახლებული პოლონელთაგანი იყო, სარწმუნოდ არ შეგვიძლია ვთქვათ. შემდეგ წერილში მისი გვარი იხსენიება ნ. ბარათაშვილთან და ვარლამოვთან ერთად. სჩანს, ლადი-ზაბლოცკის რეკომენდაციას ფუჭად არ ჩაუვლია და ეს სტოცკიც ნ. ბარათაშვილის წრეს დაუახლოვებია და მეგობრად შეუთვისებია.

მეორე წერილში, რომელიც 1838 წლის 6 ნოემბრით არის დათარიღებული, პოლონელი პოეტი სწერს მ. თუმანიშვილს:

„ნულარ შესწუხდებით იმ მასალის გამოგზავნისათვის, რომელიც მე მჭირდება საქართველოს განახლებისა (?) და მის ლიტერატურულ ნაწარმოებთა ისტორიის შესადგენად. ამ მოკლე ხანში ვიმედოვნებ ჩამოვიდე თბილისს, სამუდამოდ დასაბინავებლად. მაშინ, თუ ნებას
მომცემს ჯანმრთელობა, შეისწ
ვლი ქართულ ენას და გადავსინჯ
თქვენ მიერ შეგროვილ მასალ
რომელიმე ლიტერატურის ნამდვ
ლი ისტორიის დასაწერად საჭირ
კაცმა იცოდეს ამ ლიტერატურ
ენა, თითონ გადასინჯოს და
დაკითხოს ყველაფერი, უამისო
ხეირიანი არაფერი გამოუვა ხელ
დან..."

„...თქვენი ლექსის „ფიალა"
თარგმანს თქვენი სურვილისამე
ეხლა გიგზავნით. მომიტევეთ, რ
ცოტაოდნად დედანს დავშორდი
ნუ მიძღვნით მადლობას თარგმან
სათვის. თქვენი ლექსი იმდენად კ
გია და ორიგინალური, რომ მ
თარგმნით მე იმედი მქონდა ჩ
აღტაცება გამეზიარებინა ჩემი
ნამემამ ლეებისათვის. ეს არის ჩ
მიუდგომელი აზრი, რომელსაც მა
ტო თქვენ კი არ გიცხადებთ. არ
მედ ყველას წინაშე აღვიარებ.
სალამი გადაეცით ერთობით
ვადს **ბარათოვს**, ვარლამოვს
სტოცკის.

მესამე წერილი თ. ლადი-ზ
ლოცკისა დაწერილია თითქმის ერ
წლის შემდეგ — 1839 წლის
ივლისს, ციხე-სიმაგრე კუბაში.
შეეხება პოეტის პირად ცხოვრებ
ავტორი აცნობებს მ. თუმანიშვი
თავის მძიმე გაჭირვებას სამხედრ
სამსახურში და იმ უნუგეშო ს
ლიერ განწყობილებას, რომელს
მოუცავს მისი არსება. ბარათში პ
ეტური სტილით არის აღწერი
სამშობლოდან უცხო ქვეყანაში გა
მოხვეწილი ადამიანის განცდებ
წერილი თავდება ჩვეულებრივი მ
კითხვით, სადაც ისევ მოწიწებ
არის მოხსენებული ნ. ბარათაშვილ

„...მომიკითხეთ სოლტანოვსკი, გ
დაეცით, რომ ჩქარა ჩამოვალ. თ
ვად ბარათოვს მოახსენეთ ჩ
უგრძნობიერესი მადლობა ხსოვნი
თვის და ულრმესი პატივისცე
ხანდახან მომიგონეთ".

ეს არის უკანასკნელი ჩვენთ
ცნობილი წერილი პოლონელი პო
ტის ლადი-ზაბლოცკისა. მისი შ
მდეგი ცხოვრებისა და ბარათაშ
ლის წრესთან შეხვედრის შესახ
ხელსახები ჯერჯერობით არაფე
ვიცით. არსებობს მხოლოდ ერ
მკრთალი ცნობა იმის შესახებ, რ
თბილისში ჩამოსვლის შემდ
ლადი-ზაბლოცკი უფრო დაუახლო
და ჩვენს ახალგაზრდა პოეტებს
მათი საშუალებით თბილისის ქა
თულ მოწინავე საზოგადოებას. ი
მეუნარგია თავის მიერ შედგენ
ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფია
სწერს ერთ ადგილას:

„მწერლობის სიყვარული პო
ცხოვრებაშიაც გამოჰყვა. სკოლ
ამხანაგების მაგიერობას აქ უწე
ნენ ის რამდენიმე მწერლობის მ
ყვარე პირნი, რომელნიც ხვდებო
ნენ სხვადასხვა დროს. ესენი იყვნ
ავთანდილოვი, დიმიტრი ყიფიან
მიხ. თუმანიშვილი, გიორგი ერ
თავი, ლევან მელიქიშვილი, პლ
ტონ იოსელიანი, ალექსანდრე ო
ბელიანი... ზოგიერთი ქართუ
მწერლობის მოყვარე პოლონელ
როგორიც იყო ზაბლოცკი, სვიმ
მაჩაბელი, ლუკა ისარლიშვილი
სხვადასხვა*).

თ. ლადი - ზაბლოცკი, ნ. ბა
თაშვილის მსგავსად, როგორც
მოდ იყო ნათქვამი, სრულიად ახა
გაზრდა გარდაიცვალა. მან მხ
ლოდ ორი წლით მეტი იცოცხ
თავის მეგობარზე. სამაგიეროდ
ღმა ორივე პოეტს ერთნაირი აღ
სრული — სამშობლოს გარედ სი
დილი განუმზადა.

---

*) «Польский поэт Лады-Заблоцкий на Кавказе» (Переписка его с кн. Мих. Биртв. Тумановым), გაზ. «Закавказье», 1911 წ.

აგრეთვე: დ. — „საინტერესო წერილების აღმოჩენა", გაზ. „თემი", 1911 წლ., № 51. („თემში" წერილების ტექსტი შემოკლებულად არის მოყვანილი).

*) მიხ. თუმანიშვილის ლექსის „ფიალა"-ს პოლონური თარგმანი შესულა თ. ლადი-ზაბლოცკის ნაწერების ლეიპციგის გამოცემაში (იხ. „მიხ. თუმანიშვილის რჩეული ლექსები", 1881 წ. გვ. 10).

*) ნ. ბარათაშვილის თხზულება, ფირცხალავას გამოცემა გვ. XLII

„ლაშაური საღამოები"

(დასასრული)

ოცხალი ძალა ამოუთრევია არიერ-
ოდიდან, შევიწროვებულთა და
ამცირებულ ბანაკიდან, და აუხელია
თვის თვალები, მიუცია ცხოვ-
ების მიზანი, ჩაუბამს ახალი ქვეყ-
ს მშენებელთა რიგებში. ზეინა-
ს ისტორიიდან ამოღებულია ნამ-
ვილად ამაღელვებელი პროცესი,
თლის მეოხებითაც ეს უპატრონო
ლი ჩამორჩენილ [illegible] ადა-
აიდან ქვეყნის დიდი გარდაქ-
ის შეგნებულ, აქტიურ მონაწი-
დ გახდა. ავტორი არ ამბობს,
გრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ
ლუპენისაგან ზეინაბი იხსნა ეპო-
მ, ჩვენმა სინამდვილემ, იხსნა
იერობა ადამიანებმა, იმ ძალებმა,
მელნიც ყველაზე მეტად ტიპი-
ნი არიან საბჭოთა საზოგადოე-
სათვის, იმ საზოგადოებისათვის,
ამიანში რომ ენერგიას, ნებისყო-
ს, გამბედაობას ავითარებს,
მანში არ არიან არც ეს ადამი-
ბი, არც მათი ზეგავლენა, არა
ნს იმ თვისებების გამომუშავების
ოცესი, რომლებსაც ავტორი (თუ
ი გმირი რაიმული) დეკლარა-
ლად მიაწერს ზეინაბს და რომ-
ბიც ავტორის მიერ ზეინაბის სა-
ი განზრახულ ტიპს უეჭველად
ალურს და დამაჯერებელს გახ-
და.

რ. გვეტაძემ გვერდი აუხვია იმ
ნების მხატვრულ ასახვას, რომ-
იც ახალ ადამიანს ზრდიან, ვი-
მდა იმ მოსაზრებით, რომ ამ
მთხვევაში ნაწარმოები თითქოს
მაინტერესებელი აღარ იქნებოდა.
რალი გაიტაცა სუჟეტურმა მოუ-
დნელობამ, ყოველდღიური მა-
ბრივი მოვლენების ნაცვლად გა-
დევნა რაღაც უცხო, ყოვლად
ვიათ, ძალზე ეფექტიურ მოვლე-
ის მოცემას. ამით რ. გვეტაძის
არმოებმა დაჰკარგა ღირსება,
მელსაც ყველაზე მეტად აფა-
ს საბჭოთა მკითხველი: „ლაშა-
ი საღამოები" არ წარმოადგენს
არმოებს საბჭოთა სინამდვილეზე.
ციალისტური რეალიზმის პრინ-
ზე აგებული ნაწარმოების და-
ნტერესებლობა არ იქმნება ძვე-
-ძველი ლიტერატურული ხერ-
ით, არაჩვეულებრივი თავგადა-
ვლით, საშინელებათა აღწერით,
ოცარი ზღაპრებისა და საარაკო
ების გადმოცემით, კერძოობითი
მთხვევის გაზვიადებით. საბჭოთა
ტერატურას დამაინტერესებლობას ვერ მოუპოვებთ თუნდაც უაღრესად [illegible] ლიტერატურული საშუალებით. საბჭოთა ნაწარმოების დამაინტერესებლობა რევოლუციური სოციალისტური სინამდვილის სირთულესა და სილამაზის გაშუქებაში, თვით საბჭოთა ხალხის ენტუზიაზმსა და პათოსში.

საბჭოთა ეპოქამ იცის გრანდიოზული ძვრები, აღსავსე ცხოვრების ნამდვილი დრამატიზმით, ათასფერი კოლიზიებით, მწვავე კონფლიქტებით. სწორედ ეს უნდა შეამჩნიოს მწერლის მახვილმა თვალმა და მაშინ საჭირო არ იქნება მამინაცვლის მიერ გერის გაუპატიურების ნატურალისტური სცენები, არც საფლავებიდან მკვდრების ამოღების ანტიესთეტიური სურათები, მკვდრის ტანსაცმლით ვაჭრობის ანტიჰიგიენიური ეპიზოდები.

არა მარტო რ. გვეტაძის ამ ნაწარმოების, არამედ სხვა ავტორთა ნაწერების წაკითხვის დროსაც შესამჩნევი ხდება, რომ როგორც კი ნაწარმოების კონფლიქტების ხაზი მოშორდება და დაცილდება ჩვენი სინამდვილის რეალურ კონფლიქტებს, მწერალი იძულებული ხდება გმირები შეაყენოს ოთხფეხებზე და ჩაადენინოს უცნაური აქტები.

—:—

როცა რ. გვეტაძე ამბებს აგებს მისთვის კარგად ნაცნობ ჩვეულებრივ ყოველდღიურ ფაქტებზე, იგი რეალისტურ ხედვას ამჟღავნებს და უფრო მეტ ეფექტსაც ახდენს. მაგალითად, ჩეხოვისებური შტრიხებით არის დახატული „ლაშაურ საღამოებში" ძველი სასამართლოს ჩინოვნიკის (ვეზირის) გარეგნული პორტრეტი, ხასიათი, ოჯახური ცხოვრება, კარმიდამო. რა სასაცილოა და ამავე დროს რა ღრმა სევდის აღმძვრელი ვეზირის დამოკიდებულება ცოლთან, მეზობლებთან, მისი ზრუნვა მომავალი პირადი კეთილდღეობისათვის.

მხატვრულად მართალია ლეღენდერას სახე. ეს არის ძველი სოფლის უკულმართობის ნაშთი. ლეღენდერა თავმოყვარეობას მოკლებული გონება - ჩლუნგი პარაზიტი გლეხია, რომელიც ახალმა ვითარებამ, კოლმეურნეთა გავლენამ ადამიანური ცხოვრებისათვის გამოაღვიძა და იდიოტობისაგან განკურნა. კოლექტივისაგან ლეღენდერას განზე დგომის მიზეზი არ არის მამლის დაკარგვის შიში. აქ მთავარია მისი დაუოკებელი სიზარმაცე და გონებაგაუხსნელობა. ახალი ცხოვრების ფერხულში მის მსგავსთა ჩაბმა არ ხდება ისე იოლად, ეს უფრო მეტ მუშაობას მოითხოვს, ვიდრე ავტორს წარმოუდგენია. შეიძლება რ. გვეტაძემ მამლის ანეგდოტური ამბავი შეიტანა იმ მიზნით, რომ დაემტკიცებინა იმ პირის ზერელობა, რომელიც ამ ამბავს ჰყვება.

ავტორს მოხერხებულად ჰყავს დახატული რევოლუციისაგან განაწყენებული სხვა პატარა ადამიანები და დეკლასობრივი ელემენტები: ლოთი მაწანწალა, სუფრიდან სუფრაზე რომ გადადის რესტორნებში და კლასიკოსთა ლექსებით რომ დეკლამატორობს, კერძების მიმტანი ქვრივი ქალი — ნათავადარის ასული, წოდებრივი სიამაყე რომ უელავს თვალებში და მუშტრებს რომ უმადური თავაზიანობით უმასპინძლდება; ყოფილი გოროდოვოი ნიკალა მწვანე დაჭყლეტილი სახით, ჩუტყვიანი და თხელი წვერით ღორის ყბებზე, უცხოეთში „განსწავლული" ახალგაზრდა ინჟენერი აბო, ფუქსავატი, მეტიჩარა, ყბედი, პატეფონისა და ფოქსტროტების დიდი მოტრფიალე, სიტყვებს რომ უცხოურ კილოს აძლევს და მრუში თვალებით უცქერის ყოველ გამვლელ ქალს; ამირიდონი - რუსთველის პროსპექტის ხშირი სტუმარი, მუდამ მოწყენილი, ყველაფრისადმი ინდიფერენტულად და ირონიულად განწყობილი, ყველას მქირდავი და დამცინავი, პედანტი და ცინიკოსი.

ამ პატარა ადამიანთა შორის მხატვრული შესრულების მხრივ ყველაზე მკვეთრია. თუ პათოლოგიურ მომენტებს გამოვრიცხავთ, ძველი გენერალი, ეს პლიუშკინივით ძუნწი. წარმოუდგენლად მრუში დესპოტი. ნამდვილი მხეცი, რომელსაც ალბათ არასოდეს არ ქონია სირცხვილის გრძნობა.

—:—

მაგრამ ეს პატარა ადამიანები ლანდები არიან ან უკვე გამქრალი. ან ძლივს მობოგინე ჩვენს სინამდვილეში. ისინი როდი არიან დამახასიათებელნი ჩვენი ეპოქის იმ ნაკვეთისა და საბჭოთა სინამდვილის იმ უბნისათვის, რომელიც აღებულია რ. გვეტაძის ნაწარმოებში.

მთავარი ის იყო, რომ ავტორს მოეხდინა ამდროისათვის დამახასიათებელი პროცესების გარდატეხა თავის მთავარ გმირთა ფსიქოლოგიაში, მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ მისი პერსონაჟები თითქმის სრულიად არ ეხმაურებიან ამ მოვლენებს. ისინი თითქოს თავისი დროის გარედ დგანან. რ. გვეტაძის მიერ მოხაზულ მთავარ ფიგურებში ვერ ვხედავთ იმ თვისებებს, რომლებიც ნაწარმოებში მოცემული მომენტისათვის ჩვენი მწერლების დიდმა ნაწილმა გამოიმუშავა ხანგრძლივი შინაგანი ბრძოლისა და თავის თავზე მუშაობის შედეგად, თვისებებს, რომლებმაც ქართველი მწერლობის დიდი უმრავლესობა იდეურად და პრაქტიკულად დაუკავშირა მუშათა კლასის რევოლუციურ საქმეს. რ. გვეტაძის მიერ დახატულ გმირებს (მწერლებს) არ მოეპოვებათ ის იდეიურობა, რომელიც იპყრობს მოწინავე ადამიანის მთელ არსებას, განსაზღვრავს ადამიანის მთელ პრაქტიკულ საქმიანობას. ამდიდრებს მის ფსიქიკას, აძლევს ცხოვრების აზრს, შეაქვს მასში შემოქმედებისა და ბრძოლის სიხარული. ნაწარმოებში არ სჩანან მოქმედების ადამიანები, ბრძოლის ადამიანები, რომელნიც თავიანთ არსებაში ატარებენ მომაკვდინებელ სიძულვილს საზოგადოებრივი ბოროტებისადმი, მგზნებარე სიყვარულს და თავდადების გრძნობას იმ საქმისადმი, რომელიც ახალ, უკლასო საზოგადოებისთვის კეთდება.

რ. გვეტაძის კალმოსნებისათვის უცხოა საბჭოთა მწერლის საპასუხისმგებლო როლი, გარკვეული საზოგადოებრივი იდეალისათვის მებრძოლი მწერლის როლი.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ამ შეგნებას მოკლებული მწერალი დამახასიათებელი და ტიპიური იყო ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების ქართული სინამდვილისათვის? ამის მტკიცება ფაქტიური მდგომარეობის დამახინჯება, ლიტერატურული განვითარების ისტორიის გაყალბება იქნება.

დიდი ისტორიული ბრძოლისაგან განზე დგომა, ვიწრო ლიტერატურული ამოცანებით შემოფარგვლა, ძველი ლიტერატურული ტრადიციებით გატაცება 30-იან წლებში უკვე განვლილი ეტაპი იყო იმ კორპორაციის პოეტებისათვისაც კი, რომელსაც თვით რ. გვეტაძე ეკუთვნოდა. რასაკვირველია, რეციდივები მაშინაც იყო და ახლაც შეიძლება განმეორდეს, მაგრამ ეს მოცემული უნდა ყოფილიყო როგორც კერძოობითი და არა როგორც საზოგადო მოვლენა.

რ. გვეტაძე გვაძლევს კომკავშირელის უშანგი კახიძის სახეს. მისი როლი უფრო უარყოფითია, ვიდრე დადებითი. კომკავშირელ კახიძის დამოკიდებულება ახალგაზრდა უპატრონო ქალისადმი ეწინააღმდეგება ფაქტებს, სინამდვილეს, ეწინააღმდეგება მოზარდი თაობისადმი სიყვარულით გამსჭვალულ იმ დიდ აღმზრდელობით მუშაობას, რომელსაც კომკავშირი და მისი საუკეთესო წარმომადგენლები ეწეოდნენ და ეწევიან ახალგაზრდობაში. რ. გვეტაძეს არ ეყო პლასტიკური ძალა გამოეკვეთა უშანგი, როგორც ცოცხალი ადამიანი. ვხედავთ მხოლოდ სილუეტს, გაურკვეველ კონტურებს, რომლებიც დიდხანს არ რჩება მკითხველის მეხსიერებაში.

რაც შეეხება ზეინაბს, ნაწარმოების ცენტრალურ ფიგურას, ვიმეორებ, ავტორს იგი არ გამოუვიდა ისეთი, როგორიც მას სურდა. ამ ქალის სულიერი სამყარო, მოქმედება და ნამდვილი მისწრაფება არ შეესაბამება იმ სიტყვიერ დახასიათებას, რომელსაც რომანის გმირები აძლევენ მას. ეს მოხდა იმიტომ, რომ ავტორმა თავის პერსონაჟებს ჩამოათვლევინა მხოლოდ ამ ქალის, როგორც ახალი ადამიანის, დამახასიათებელი თვისებები, იმის მაგივრად, რომ ავტორს ეჩვენებინა, თუ როგორ ვითარდებოდა. როგორ იქმნებოდა მასში ახალი ადამიანის ხასიათი.

⁂

მიუხედავად უდაო მხატვრული ნიჭისა, მიუხედავად მახვილი რეალისტური ხედვისა ზოგიერთ შემთხვევაში, მიუხედავად გამომგონებლობისა თავისებური კომპოზიციის შექმნის საქმეში, რ. გვეტაძემ „ლაშაურ საღამოებში" მოგვცა ჩვენი სინამდვილის არა არსებითი მოვლენები, არა ძირითადი პროცესები, არამედ შემთხვევითი, მესამეხარისხოვანი, ფართო საზოგადოებრივ მნიშვნელობას, აქტუალურ სიმახვილეს მოკლებული ამბები.

ამიტომ „ლაშაური საღამოები" არ წარმოადგენს ისეთ ნაწარმოებს, რომელიც შეიცავდეს თანამედროვეობის მნიშვნელოვანი პრობლემების მხატვრულ განსხეულებას.

„ალკაზარი" რუსთაველის თეატრში

რუსთველის სახელობის ორდენოსანმა თეატრმა დასადგმელად მიიღო დრამატურგ გიორგი მდივანის ახალი ორიგინალური პიესა „ალკაზარი".

პიესა წარმოადგენს დრამას თანამედროვე ესპანეთის მშრომელთა გმირული ბრძოლის თემაზე. პიესის შინაარსად აღებულია ერთ-ერთი უმძაფრესი მომენტი რესპუბლიკელთა ჯარის ბრძოლისა ფაშისტ-გენერლების ხროვასთან —ციხე-სიმაგრის ალკაზარის აღება, სადაც, როგორც ცნობილია, ფაშისტურ ბანდებს მძევლებად, საფარის სახით, დამწყვდეული ჰყავდათ მშრომელ ესპანელთა ქალები და ბავშვები.

პიესის იდეურ-მხატვრულ მიზანდასახულობას წარმოადგენს საერთაშორისო ფაშიზმის სისხლიანი სახისა და მუშათა კლასის შეუპოვარი ბრძოლის ჩვენება.

რუსთველის თეატრი უკვე შეუდგა ამ პიესაზე მუშაობას. „ალკაზარს" სდგამს რეჟისორი დიმიტრი ალექსიძე, მხატვარი— ს. ქობულაძე, მუსიკას პიესისთვის სწერს კომპოზიტორი ივანე გოკიელი. საჭირო ქორეოგრაფიული ნაწილების მოსამზადებლად მოწვეულია ცნობილი ბალეტმეისტერი ვახტანგ ჭაბუკიანი.

პიესის პრემიერა ნაჩვენები იქნება იანვრის პირველ რიცხვებში.

ძველი საქართველოს პოეტი ქალები

მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის საქართველოს ფილიალმა გამოსცა ლ. ასათიანის წიგნი „ძველი საქართველოს პოეტი ქალები". წიგნში მოთავსებულია შემდეგი პოეტი-ქალების შემოქმედება: ქეთევანის, მარიამ-მაკრინესი, მანანასი, სალომესი, მაია გაბაონისა, მარიამის, ქეთევან ბატონიშვილის, თეკლესი. ტექსტებს დართული აქვს ვრცელი გამოკვლევა, კომენტარიები, ლექსიკონი და ბიბლიოგრაფია.

გარეგანი ყდა, ტიტული და თავბოლოხატულობა გუდიაშვილს ეკუთვნის. წიგნი კარგად არის გამოცემული და ღირს 10 მანეთად.

„პირველი საბჭოთა სპექტაკლი"

მარჯანიშვილის თეატრის მუზეუმმა
მოსცა დ. ჯანელიძის წიგნი „პირვე
საბჭოთა სპექტაკლი".
წიგნში მოცემულია „ცხვრის წყარ
წარმოდგენის მოკლე ისტორია. აწერი
თუ რა პირობებში მოუხდა კოტე მარ
ნაშვილს საქართველოში პირველი საბ
თა სპექტაკლის, ლოპე დე ვეგას „ცხვ
წყაროს" დადგმა. ამხ. ჯანელიძეს წიგ
შეუტანია ამ სპექტაკლზე მოსკოვისა
ტფილისის ჟურნალ-გაზეთებში მოთა
ბული რეცენზიები და ცნობილ მოღვ
თა აზრი სპექტაკლის ღირსების შესახ
წიგნში მოთავსებულია კოტე მარჯ
შვილის უცნობი პორტრეტი, ლოპე
ვეგას პორტრეტი და თამარ ჭავჭავა
სურათი ლაურენსიას როლში.
წიგნი კარგად არის გამოცემული. თ
ტრის მუზეუმს საგულისხმო საქმე და
წყია. იგი შემდეგშიაც ფიქრობს პატ
წიგნებად გამოსცეს ცალკეული თვალს
ნო სპექტაკლების მოკლე მიმოხილვებ
ეს წიგნები ქართული თეატრის ის
რიისათვის საუკეთესო მასალა იქნე
დღეს კი თეატრში მისულ საბჭოთა მა
რებელს ნათელ წარმოდგენას მიცემს ს
ქტაკლის წარმოშობაზე და მის მნიშ
ლობაზე.

მონოგრაფია ვლადიმერ მესხიშვილის შესახებ

რეჟისორმა აკაკი ფაღავამ დასწერა მ
ნოგრაფია სახალხო არტისტის ვლადი
სარდიონისძე ალექსი-მესხიშვილის შ
ხებ, მონოგრაფია შეიცავს მესხიშვი
ბიოგრაფიას, მისი სასცენო მოღვაწეო
ისტორიას სასცენო შემოქმედების შეფ
ბის — განსცენირებულ სახეთა ანალი
დართვით, მესხიშვილის თეატრალური
საზოგადოებრივი მოღვაწეობის განხილ
—საერთო საზოგადოებრივი პოლიტიკ
ეკონომიური და თეატრალური გარემ
ვის ანალიზის ფონზე.
მონოგრაფიას დაბეჭდავს გამომცემ
ბა „ფედერაცია". დაბეჭდვამდი ავტ
თავის ნაშრომს გააცნობს ფართო თეატ
ლურ და სალიტერატურო წრეებს, გან
კუთრებით მესხიშვილის თანამედროვე მ
ღვაწეებს.

პ/მგ. რედაქტორი: **აკ. თათარიშვილი**
პ/მგ. მდივანი: **ნიკოლოზ ჩაჩავა.**

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული — 10375